

I S S N : 0763 - 7247

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# გუგაბი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში

პარიზი N° 17 PARIS

ოქტომბერი 1988 OCTOBRE



\*\*\*\*\*

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,  
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,  
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,  
შენ ხარ აღმზრდელი დვთაებამდე კაცთ ბუნებისა“ - ილია

ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე - მთელი ქვეყანა,  
და, რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,  
არ შემიძლია მეც, განა?! - აკაკი

„ხარს ვგეგვარ ნაილადარს, რქით მიწასა ვჩხვერ ვბუბუნებ,  
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვლულუნებ“ - ვაჟა

\*\*\*\*\*

საქართველოს დამოუკიდებლობის ბექდვითი ორგანო უცხოეთში  
„გ უ შ ა გ ი“ 42 ნომრიდან აგრძელებს „თავისუფლების ტრიბუნას“

ჩვენი დევიზია: სამშობლო და თავისუფლება!

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი

მისამართი: G. TSERETELI - „GOUCHAGUI“  
8, Rue DES MARCHAIS  
75019 PARIS  
Tel. 46-07-08-14

\*\*\*\*\*



თ ა ვ ი დ ა თ ა ვ ი

თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში არსებულმა, კაცთა მოდემისტვის ჯერ უნახავმა და გაუგონარმა ტირანიამ უამრავი თავსატეხი პრობლემა გაუჩინა და დაუგროვა ჩვენ ხალხს, რომელთა საჯაროდ ხსენებაც კი სასტიკად იღვევებოდა და ახლა, როცა სიტყვის ცოტაოდენი თავისუფლების დრო დადგა, მათ ისე წამოყვეს თავი ყოველი მხრიდან, როგორც ნაწვიმარზე სოკოებმა. დღეს ყველა ქართველ მამულიშვილს პირზე აკერია: დავითგარეჯა, მეექვსე საუკუნის ეს უიშვიათესი ქართული კულტურის ძეგლი, რომელიც საოკუპაციო სამხედრო უწყებას საარტილერიო პოლიგონად დაუდგენია უკვე ათეული წლებია და, მაშასადამე, შეგნებულად ანადგურებს, ტრანსკავკასიის რკინიგზა, რომელიც ქართველი ხალხის უკითხავად დაიწყეს და რომლის რეალიზაციაც დიდ ეროვნულ უბედურებას უქადის ჩვენს სამშობლოს, სამცხე-ჯავახეთი, ქართული ეროვნული სხეულის ეს ჭეშმარიტი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ქართული ქრისტიანიზმის აკვანი და ეროვნული ერთობის ყოფილი მოწინავე საღროშო, რომელიც ახლა მისი მკვიდრი მცხოვრებლებსაგან დაუცბლიერებით და რომელსაც გაუცხოეთლობის, მშობელ სხეულიდან მოგლეჯის საფრთხე ემუქრება, აფხაზები, რომლებსაც ძმა ქართველების წინააღმდეგ აქეზებენ და ამხედრებენ, ბათუმი და საერთოდ საქართველოს შავი ზღვისპირეთი, ეს ჩვენი ნამდვილი სიამაყე, ჩვენი ეროვნული რივიერა, რომელიც მწვავე ეკოლოგიურ დაზიანებას განიცდის, ეკონომიკა, რომელიც მოსკოვში იგეგმება და მპყრობელი ქვეყნის ინტერესებით, დედაენა და სწავლა-განათლება, რომლის ბედიც ასევე უცხოელ მპყრობელთა ხელთაა და ა. შ. და ა. შ...

ყველა ეს საჭირბოროტო ეროვნული მნიშვნელობის საკითხები ამჟამად არამც თუ ინტელიგენტური სჯა-ბაასის საგანია, არამედ მის პრაქტიკულ გადაჭრისთვისაც ირაზმება კედევაც ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდობა და საერთოდ საქმით (და არა სადღეგრძელოებით) ქართველი მამულიშვილები. ამ დარაზმულობის იქ მიმდინარე ამბებმა ჩვენამდეც მოაღწიეს, „გუშავი“ №15-ში უკვე მკითხველებს ვაუწყებთ ილია ჭავჭავაძის სახელობის პატრიოტული საზოგადოების დაარსების ამბავი, ხოლო ოკანასკნელ მე-16-ე ნომერში კი—ცნობა





\*\*\*\*\*

დაქციო კოლეგია ყოფილიყო მთელი გამგეობა, რაზედაც ჩანს, მან უარი თქვა და საზოგადოების გამგეობა დასტოვა.

რასაკვირველია: ყოველი პატრიოტული მოძრაობის გათიშულობა-დანაწევრება საზიანოა ქვეყნისათვის და, მაშასადამე, სამწუხაროა. მაგრამ ჩვენ მას დრამატულ ხასიათს არ ვანიჭებთ. ჯერჯერობით ორ სექციას შორის განსხვავება მხოლოდ სამოქმედო მეთოდებში შეიმჩნევა და ამას ალბათ ემატება და აძლიერებს ლიდერთა შორის სიმპათია-ანტიპათიის შესაძლებელი არსებობა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისინი დასახულ მიზნებისათვის ბრძოლას ერთად თუ ვერა, პარალელურად მაინც გააგრძელებენ, ერთმანეთს კინკლაობას და ცილისწამებას არ დაუწყებენ. ის ფაქტი, რომ მერაბ კოსტავა ორივე ფრაქციის აღმასრულებელ ორგანოში ჩანს, მაჩვენებელია იმისა, რომ მას განხეთქილება საბოლოოდ არ მიაჩნია. ჩვენი ოპტიმიზმის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ 21 და 22 სექტემბერს თბილისში გამართულ საპროტესტო მანიფესტაციების შესახებ დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების მიერ გადმოცემულ ცნობებში მანიფესტანტების წარმომადგენლებად მოხსენებული იყვენ ორივე ფრაქციის ლიდერები: თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე და ზვიად გამსახურდია. მაშ, „ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების დასაცავად“ ილია ჭავჭავაძის მთელი საზოგადოება სოლიდარულად ერთად გამოსულა თბილისის ქუჩებში.

**II.** სასიხარულო, უფრო მეტიც, აღმაფრთოვანებელია მეორე ცნობა, რომელიც ბნ თენგიზ გუდავასაგან მივიღეთ სექტემბრის უკანასკნელ დღეებში და რომლის მიხედვითაც, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება— **IV** დასის წიაღიდან ახლად შობილა „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, რომელიც მიზნად ისახავს „ბრძოლას (დემოკრატიული საშუალებებით) საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად და ცხოვრების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ ყოფაში პლიურალიზმის დასამკვიდრებლად. როგორც დეკლარაციაშიცაა ნათქვამი, ეს არაა ახალი პარტიის შექმნა, არამედ ძველი, ისტორიული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობის განახლება, ახალ მდგომარეობასთან შეთანხმებულად.

ჩვენ სულით და გულით მივესალმებით ჩვენს სამშობლოში ისეთი პოლიტიკური საქმიანობის გაჩაღებას, რომლის მიზანიცაა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი პარტიის დაარსება დროულიცაა და საჭიროც და რომ ყველა

იმ ეროვნული სატკივრებისაგან განკურნება, რომელიც სამართლიანად ასე აწმფოთებს ყველა ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვიტს. მისი ძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში. აქედან გამომდინარე, თავიდა-თავი ქართველი კაცის ბრძოლისა იყო და რჩება ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის და ეს იყო თავიდათავი დიდი ილიას მოღვაწეობისაც. მისი ბარბაროსული მკვლელობის შემდეგ ჩვენმა მამებმა შეძლეს რუსთა მპყრობელობიდან თავის დაღწევა, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს განხორციელება. მაგრამ სამი წლის შემდეგ—1921 წლის თებერვალ-მარტში— ხიშტებით ისევ წაგვართვა იგი რუსეთმა, ამჯერად ბოლშევიკურმა. ეროვნულ პარტიებში დარაზმულმა ქართველმა ხალხმა გმირულად იბრძოლა სამი წლის განმავლობაში, ხან პოლიტიკურად ხან იარაღით ხელში ბრძოლის ველზე, უხეშად შელახული ქართველი ხალხის საერთაშორისო უფლებების აღსადგენად და ამ ბრძოლამ თავის აპოგეას 1924 წლის აგვისტოში მიაღწია. ამ დაუფიწყარ საამაყო დღეებს წელს ზუსტად 64 წელი გვაშორებს. დიდება იმ ბრძოლის ჭაბუკ გმირებს!

მას შემდეგ, გამძვინვარებულმა მტერმა უწყალოდ დაარბია ქართველი ხალხიცა და მისი ეროვნული პარტიებიც. ეროვნული განთავისუფლებიკ დროშის ფრიალი შეუძლებელი გახდა მშობლიურ მიწა-წყალზე და მან თავი დროებით (რომელიც ასე ხანგრძლივი გამოდგა!) უცხოეთს შეაფარა. აწი კი დროა, რომ ეს დროშა ისევ სამშობლოში აიტაცონ და წარმატებით ატარონ. აგერ კიდევაც გვესმის ამ მედროშეთა სასიხარულო ყიფინა. ვინ იქნება ჩვენ შორის ისეთი დაკარგული, რომელიც მათ ძახილს სიხარულით არ გამოეხმაურება!?

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

ე რ ო ვ ნ უ ლ — დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

ჩ ვ ე ნ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების საკოორდინაციო ცენტრის წევრები, ვაცხადებთ, რომ ჩვენი საზოგადოების რიცხოზრივი და თვისოზრივი ზრდა, საქართველოს მრავალ რაიონებში საზოგადოების ფილიალების შექმნა, საზოგადოების მიერ ჩატარებული რიგი



საპროტესტო აქციებისა, სწრაფი და ეფექტური გავრცელებული გამოცემითი ლიტერატურის და აგრეთვე ახალი პოლიტიკური რეზერვების უკვე ქმნის პირობებს ისეთი ხასიათის პოლიტიკური პარტიის შექმნისას, რომელზედაც ოცნებობდა და კიდევაც გადადგა კონკრეტული ნაბიჯები ილია ჭავჭავაძემ.

**ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დაარსება არ ნიშნავს ილია ჭავჭავაძის (IV დასი) საზოგადოების ლიკვიდაციას.** პირიქით, ჩვენ ვიბრძოდით და მომავალშიც ვიბრძოლებთ ამ საზოგადოების განმტკიცებისათვის. დღეისთვის ი. ჭ. საზოგადოებას, როგორც დასაყრდენს ჩვენი პარტიისა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ი. ჭ. საზოგადოება არის ის ერთადერთი ნიადაგი, საიდანაც ჩვენი პარტია იწოვს თავის ძალებს და ივსებს თავის რიგებს.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების საკოორდინაციო ცენტრის ხუთი წევრი: **გიორგი ჭანტურია, ბათიაშვილი ირაკლი, წერეთელი ირაკლი, ფავლენიშვილი იასონ, ხუხუნაიშვილი ვანო** რჩებიან საზოგადოების საკოორდინაციო ცენტრის წევრებად და ამავე დროს წარმოადგენენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრებს. საკოორდინაციო ცენტრის დანარჩენი ოთხი წევრი: **მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდია, თეიმურაზ ჯანელიძე და არკადი მარკოზია** კი უხელმძღვანელებენ ი. ჭ.-ს საზოგადოებას, რომელიც ედ პარტიას უზრდის კადრებს და წარმოადგენს მის დასაყრდნობ ორგანიზაციას.

**ეღპ წარმოადგენს დიდი ილიას სულიერი ღვაწლის ნაყოფს, გამგრძელებელს ჩვენი საუკუნის ოციან წლებში მომქმედ იმ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საუკეთესო ტრადიციებისას, რომელმაც საქართველოს მისცა ისეთი ღირსეული შვილები როგორც: რევაზ გაბაშვილი, სპირიდონ კედია, დათა ვაჩნაძე და სხვები.**

ჩვენი პარტია თავის უმაღლეს ამოცანად სახავს: **იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, დემოკრატიული, პარლამენტარული და ქრისტიანული საქართველოსათვის.**

ჩვენ უკუვაგდებთ ყოველგვარ ძალადობას და ვიმოქმედებთ როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა ერს აქვს მისი მომავლის არჩევის უფლება და არავინ არაა უფლებამოსილი უკარნახოს ამა თუ იმ ერს თუ როგორი უნდა იყოს მისი მომავალი.

ყველა ხალხი თვით ირჩევს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობას, რომელიც მას მისთვის მისაღებად მიაჩნია. ქართველმა ხალხმა ეს



არჩევანი გააკეთა 1918 წლის 26 მაისს, როცა თავისი ხმით დემოკრატიასა და პლიურალიზმს, თავისუფალ საქართველოში.

26 მაისი გაანადგურა ბოლშევიკურმა ხიშტმა, მაგრამ თავისუფლების იდეა და დემოკრატია დაუმარცხებელია ქართველ ხალხში. ადრე თუ გვიან სამოცდაათი წლის წინად გაკეთებული არჩევანი რეალობა გახდება და საქართველო დაიკავებს საპატიო ადგილს მსოფლიოს დემოკრატიულ ხალხთა ოჯახში.

გამოვდივართ რა ჰელსინკის შეთანხმებიდან და სხვა საერთაშორისო უფლების დოკუმენტებიდან, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა წარმოადგენს სამართლიან და სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილებას ქართველი ხალხისათვის; აშკარა აუცილებლობას, რადგანაც საქართველო დღეს დგას ფიზიკური და სულიერი მოსაპოვის საფრთხის წინაშე, დემოკრაფიული წონასწორობის ხელოვნური დარღვევა, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ეკოლოგიური ომი, ადამიანის უფლებათა სისტემატიური დარღვევა, ქართველი მოსახლეობის შევიწროება საქართველოს საზღვრებს გარეთ და ზოგიერთ საქართველოს რაიონებშიც, ქართული ენის ფაქტიური შევიწროება საზოგადოებრივი ყოფის ნებისმიერ სფეროში, ქართული ჯარის უყოლობა და ზემოდან დაგეგმილი ქართული კულტურის დაცემა, ინსპირაცია ქართული ეკლესიის დაქვეითებისა, ქართველი ხალხის უფლებათა შელახვა, მისი სურვილების სრული უგულებელყოფა ჩვენ გვაყენებს უზარმაზარ საფრთხის წინაშე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავის მიზანს ხედავს არა მარტო ამ ჩიხიდან გამოსვლაში, არამედ საქართველოს სრულ და საბოლოო დამოუკიდებლობის აღდგენაშიც.

„ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს ჩვენი თავი“. დიდი ილიას ეს მოწოდება დღესაც დროული და აქტუალურია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამის პრაქტიკულად განსახორციელებლად.

მიწა, რომელიც ქვეშაირტების თესლით განაყოფიერა ანდრია პირველმოციქულმა, სადაც განისვენებს ქრისტე-მხსნელის მეორე მოწაფის სიმონ ქანაანელის წმიდა ნაწილები, მიწა, რომელიც მრავალ მოწამეთა და გმირთა სისხლითაა განბანილი, წმინდაა, წმინდაა ისევე როგორც ის მიწა, რომელზედაც იდგა მოსე წინასწარმეტყველი.

ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი და წმინდა მამები და, რომლის სახელმწიფო-

ებრიობა სათავეს იღებს ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე, იმსახურებს თავისუფლებას; ქვეყანა, რომელიც მრავალ საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი ციტადელი იყო ქრისტიანობისა აღმოსავლეთში, რომელიც იცავდა ევროპას მუსულმანთა აგრესიისაგან და, რომელსაც დროშა არ დაუხრია ყველაზე ძნელ და სახიფათო წუთებშიაც კი, იმსახურებს დამოუკიდებლობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იქნება დიდი ისტორიული უსამართლობის გამოსწორება. ამისთვის ღირს იცოცხლო, იბრძოლო და მოკვდე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება,

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

თბილისი, 30 აგვისტო 1988 წლისა.

\* \* \*

პ რ ო გ რ ა მ ა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში, თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში, ქართველი ხალხისთვის ცხადი გახდა შემდეგი:

- 1) საქართველოს კომპარტია და ეგრედ წოდებული „საქართველოს მთავრობა“ არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ძალებს და ყველაფერში უსიტყვოდ ემორჩილებიან კრემლს. მათ არამც თუ საგარეო პოლიტიკა არ გააჩნიათ, არამედ საშინაო საქმეებშიც ყოველმხრივ შებორკილნი არიან.
- 2) ქართველი ერი ფაქტიურად დატოვებულია უხელისუფლოდ. მას წართმეული აქვს თავდაცვის საშუალება, უგულუბელყოფილნი არიან მისი სურვილები და მისწრაფებები, ქართველი ერისა და საქართველოს ბედს წყვეტს მოსკოვი.
- 3) საქართველოს არ ჰყავს ჯარი, არ გააჩნია ტრადიციული დროშა და გერბი, არა აქვს პარლამენტი, სახელმწიფოებრიობა და იგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ქვეყანას, არამედ—უცხო ქვეყნის ნაწილს. საქართველოს ყველა საჰირობო საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.
- 4) ერის სულიერი ცხოვრება ჩამკვდარია, ეკლესია ფაქტიურად იმყოფება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. ამის შედეგია ზნეობის დაცემა, ადამიანისაგან საკუთარი ღირსების გრძნობის დაკარგვა.
- 5) საქართველოს დემოგრაფიული წონასწორობის ხელოვნური დარ-



ღვევების გზით მიმდინარეობს ქართველი ხალხის როგორც ეროვნულ-საზოგადოებრივი, მიზანდასახული მოსაზრება-განადგურება.

6) უწყალოდ ნადგურდება საქართველოს ბუნება, ქვეყანა დგას ეკოლოგიურ კატასტროფის წინაშე.

7) ქართული ენა არამც თუ სახელმწიფო ენას არ წარმოადგენს რესპუბლიკაში, არამედ ის ფაქტიურად შევიწროებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროებშიც.

8) ქართული კულტურა, მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, იმყოფება მეტად დაბალ დონეზე.

9) საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემა საჭიროებს არა რეფორმებს ან რაიმე კოსმეტიკურ საშუალებებს, არამედ სრულ საფუძვლიან გარდაქმნას.

10) ქართველი პატრიოტები იდევნებიან, მათ არა აქვთ შესაძლებლობა საჯარო გამოთქვან მათი აზრი და გაავრცელონ იგი. ისინი იმყოფებიან დამსჯელი ორგანოების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. მათ წინააღმდეგ იყენებენ რეპრესიებს, პროვოკაციებს, ადმინისტრატულ ღონისძიებებს. მათ მიმართ ავრცელებენ ცილისწამებებს და სხვა...

11) ხელისუფლება ყველაფერს შვრება საქართველოს გასარუსებლად.

12) საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წაერთვა მისი ისტორიული მიწა-წყლის ნაწილი და, ქართველი ერის ინტერესების მხედველობაში მიუღებლად, უგულვებელყოფილი იქნა რა საქართველოს მთლიანობა, დაერიგა მეზობლებს. ამის გარდა, საქართველოში შექმნილი იქნა სამი ავტონომიური ერთეული, და ეს მაშინ, როცა: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური მხარის ტერიტორიები დასაბამიდან საქართველოს კუთვნილი ისტორიული ტერიტორიებია, ხოლო „აქარის ავტონომიური რესპუბლიკა“ ფაქტიურად შექმნილია მხოლოდ რელიგიური პრინციპების მხედველობაში მიღებით, რაც ათეისტურ სახელმწიფოს პირობებში სრულ მოულოდნელობას წარმოადგენს.

13) საქართველო რუსეთის კოლონიას წარმოადგენს ეკონომიკური თვალსაზრისით. საქართველოს ეკონომიკა ნაწილს წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკისას. აქედან გამომდინარე, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება რუსეთის ინტერესებითაა განპირობებული და არა საქართველოსი.

14) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ძალით დამყარდა, რად-

განაც ქართველი ხალხისთვის მიუღებელი იყო როგორც საქართველოს  
 ის ნაწილად გახდომა ისე ტოტალიტარიზმი. ქართველი ხალხისთვის  
 და, იბრძვის და იბრძოლებს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

\* \* \*

### მ თ ა ვ ა რ ი ნ ა წ ი ლ ი

- ა) ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების (IV დასი) მოწინავე რაზმს, საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა ყველაზე რადიკალურ პოლიტიკურ გაერთიანებას.
- ბ) საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მიზანს წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მშვიდობიან საშუალებებით და მრავალპარტიულობის დამკვიდრება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრების სფეროებში.
- გ) ე. დ. პარტიის იდეოლოგიას წარმოადგენს თ ე ო დ ე მ ო კ რ ა ტ - ი ა, რაც ტრადიციულ დემოკრატიულ ღირებულებებთან ერთად გულისხმობს ეკლესიის წამყვან როლს მორალის საკითხებში და პოლიტიკურის კონტროლს.
- დ) ჩვენი დევიზია: „საქართველო ქართველებისთვის“, რაც არაერთაზრდითაა შემთხვევაში არ ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიურ ერთეულთა უფლებების შელახვას ან მათ პოლიტიკურ თავისუფლების შეზღუდვას.
- ე) ჩვენ ვთანამშრომლობდით და ვთანამშრომლებთ დემოკრატიულ ძალებთან: რუსეთის, ესტონეთის, ლიტვის ლატვიის, უკრაინისა და სომხეთის. ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს და თავისუფლებას ან ერთად მივალწევთ, ანდა ვერც ერთი ჩვენთაგანი. ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამშრომლობას არა მარტო სსრკ დემოკრატიულ ძალებთან, არამედ აგრეთვე საზღვარგარეთის ყველა ქვეყნის მხრიდან პროგრესულ ანტიტოტალიტარულ ძალებთანაც. ისტორიული კანონზომიერება და ობიექტური რეალობა ცხადად გვიჩვენებს, რომ დაპყრობილ ერთა განთავისუფლება ახლოა. საჭიროა მხოლოდ ხალხის დარაზმვა, ძალთა გაერთიანება და მოქმედების კოორდინაცია.
- ვ) ე. დ. პარტიისათვის უცხოა ყოველგვარი ძალმომრეობა. ის იბრძოლებს მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით: მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები, ეროვნული დაუმორჩილებლობის მოწოდებ

\*\*\*\*\*

ბები, თვითგამოცემითი ლიტერატურის გავრცელება, განცხადებები და სხვა. ჩვენი პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ღრდ იმუდებს ამყარებს რეფერენდუმებზე, რომელიც ხალხის ნება-სურვილის გამოცხადების აქტს გამოხატავს. ჩვენ ვეცდებით დავეწვით რეფერენდუმის პრაქტიკა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ მოვითხოვთ რეფერენდუმების ჩატარებას ქართველი ერის საჭირობოროტო საკითხებზე. უკანასკნელი რეფერენდუმი კი, რომელიც უნდა ჩატარდეს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და სხვა ექსპერტების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ, ქართველ ხალხს მისცემს შესაძლებლობას თავისი ნება გამოთქვას კითხვაზე: სურს თუ არა მას, რომ საქართველო დარჩეს სსრკ შემადგენლობაში.

- ზ) ე.დ.პ. იბრძვის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების საუკეთესო ეროვნული დემოკრატიული ძალების გაერთიანებისა და მათ პარტიულ საქმიანობაში ჩაბმისათვის.
- თ) ე დ პ ეროვნული მოძრაობა უნდა მიჰყავდეს მისი დასაყრდენი მასიური ორგანიზაციის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების (IV დასი) დახმარებით.
- ი) ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არავითარ შემთხვევაში არ წავა ხელისუფლებასთან კომპრომისზე.
- კ) ე. დ. პარტია ცნობს საკუთრების სამ ფორმას: სახელმწიფო, კოოპერატიულს და კერძოს. ეკონომიკის დეცენტრალიზაცია და საბაზრო ინტერესების გათვალისწინება წარმოადგენს საქართველოს ჯანსაღი ეკონომიკის წინაპირობას.
- ლ) ე. დ. პარტია აგრძელებს იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც ადგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამ საუკუნის პირველ მეოთხედში—იმ პერიოდის ყველაზე უფრო ეროვნული პოლიტიკური ძალა, და ამიტომ თვლის, რომ მოხდა არა ახალი პარტიის შექმნა, არამედ ძველის რესტავრაცია. რაც შეეხება რიგ განსხვავებებს საპროგრამო საკითხებში ძველსა და ახალ პარტიას შორის,— ეს შედეგია დროისა და ახალი პოლიტიკური მდგომარეობის. ჩვენ ვცნობთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ემიგრაციაში და ვთხოვთ ჩვენი მოქმედებების კოორდინაციის შესაძლებლობის შესწავლას.



## წ ე ს დ ე ბ ა

- I.** ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს ეროვნული განთავისუფლების ორგანიზაციების გაერთიანებას, რომლებიც დგანან ერთი პარტიის პოზიციაზე.
- II.** ე. დ. პარტიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტიის ყრილობა, ყრილობებს შორის კი—პარტიის მთავარი კომიტეტი.
- III.** ე. დ. პარტიის წევრად შეიძლება გახდეს მხოლოდ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების (**IV** დასი) წევრი, რომელმაც მუშაობით დაიმსახურა. პარტიის წევრი რჩება საზოგადოების წევრადაც.  
\* \* \*
- IV.** ე. დ. პარტიაში მიღება ხდება საკოორდინაციო ცენტრის რეკომენდაციით.  
\*
- V.** ე. დ. პარტიის წევრებს ეკრძალებათ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციების, დაჯგუფებების და პარტიების წევრობა.  
\*
- VI.** ე. დ. პარტიის წევრებს ეკრძალებათ ადგილობრივი კომიტეტის ან მთავარი კომიტეტის ნებართვის გარეშე პარტიის სახელით მოქმედება.
- VII.** პარტიის წევრებს ეკრძალებათ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის შესახებ ჩვენების მიცემა.
- VIII.** წესდების დარღვევის ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევისას მთავარი კომიტეტი უფლებამოსილია პარტიიდან გარიცხოს პარტიის წევრი.  
\*
- IX.** პარტია იყოფა კომიტეტებად—პირველად პარტიულ ორგანიზაციებად. თითოეული კომიტეტი აერთიანებს **5 -10** კაცს.  
\*
- X.** პარტიის კომიტეტები უშუალოდ ემორჩილებიან მთავარ კომიტეტს.  
\*
- XI.** თითოეულ კომიტეტს ხელმძღვანელობს კომიტეტის მიერვე არჩეული მდივანი.  
\*
- XII.** საკოორდინაციო ცენტრი წარმოადგენს ეროვნული მოძრაობის მმართველ ორგანოს. ის შესდგება ორი ნაწილისაგან: მმართველობა, რომელიც მართავს ი. ჭ. საზოგადოებას (**IV** დასი), და

\*\*\*\*\*



მთავარ კომიტეტსაგან, რომელც მართავს ერ. დემოკრატიულ პარტიას.

**XIII.** მთავარ კომიტეტში გაერთიანებულია ხუთიდან ცხრა კაცამდე. (აღებულ მომენტში—ექვსი კაცი: გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, იასონ ფავლენიშვილი, ვანო ხუხუნაიშვილი და თენგიზ გუდავა-საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარე.)

\*

**XIV.** მთავარ კომიტეტს ჰყავს: პარტიის თავმჯდომარე, პოლიტიკური მდივანი და მდივანი-ხაზინადარი, რომელთაც ირჩევს პარტიის ყრილობა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

\*

**XV.** მთავარი კომიტეტის ყველა წევრი სარგებლობს ვეტოს უფლებით მთავარი კომიტეტის კრებებზე.

\*

**XVI.** მთავარ კომიტეტში მოქმედობს ოფსეტის პრინციპი.

\*

**XVII.** მთავარი კომიტეტის კრებები იკრიბება ორ კვირეში ერთხელ.

\*

**XVIII.** მთავარი კომიტეტის დადგენილებები სავალდებულოა პარტიის ნებისმიერი წევრისათვის.

\*

**XIV.** პარტიის ყრილობა კანონიერია თუ მასში მონაწილეობს წევრთა საერთო რაოდენობის ორი-მესამედი მაინც.

\*

**XX.** პარტიის ყრილობები იწვევა ყოველ წელიწადში ერთხელ. დასაშვებია აგრეთვე რიგგარეშე ყრილობების მოწვევა.

\*

**XXI.** პარტიის ყრილობებზე ვეტოს უფლებით არაფინ არ სარგებლობს.

\*

**XXII.** ე. დ. პარტიის ყრილობებზე მოწვეული ი. ჭ.-ის საზოგადოების დელეგატები სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით.

\*

**XXIII.** ე. დ. პ.-ში აკრძალულია ყოველგვარი ფრაქცია და ნებისმიერი გამოვლინება ფრაქციულობისა ადკვეთილი უნდა იქნას პარტიის ყრილობისა და მთავარი კომიტეტის მიერ.

\*

\*\*\*\*\*

**XXIV.** ე. დ. პარტიის თანხები შესდგება მის წევრთა საწევრო გადასახადი, რომელიც თვეში ათი მანეთის ოდენობისაა, და აგრეთვე ი. ჭავჭავაძის საზოგადოების შემოსავლის ნაწილისაგან.

\*

**XXV.** ე. დ. პარტია ლეზულობს შემოწირულებებს.

\*

**XXVI.** პარტიის ფულადი ფონდი იხარჯება თვითგამოცემის ლიტერატურაზე, მოქმედებათა მომზადებაზე და პარტიულ დავალებით მივლინების ხარჯებზე.

\*

**XXVII.** პარტიის სალარო მდივან-ხაზინადარის განკარგულებაშია. თვეში ერთხელ ის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს აბარებს მთავარ კომიტეტს.

\*

**XXVIII.** პარტიის მთავარ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენს ჟურნალი „მოამბე“ („ვესტნიკ“), რომელიც ორ თვეში ერთხელ გამოდის.

\*

**XXIX.** ჟურნალი „საქართველო“ წარმოადგენს ბეჭდვით ორგანოს, როგორც ე. დ. პარტიისას, ისე ი. ჭ.-ის საზოგადოებისას და მის სარედაქციო კოლეგიაში შედიან, როგორც მთავარი კომიტეტის, ისე სამმართველოს წარმომადგენლები.

\*

**XXX.** საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის ორგანოა ჟურ. „მატიანე“.

\*

**XXXI.** გაზ. „საქართველოს ქრონიკა“ წარმოადგენს საკოორდინაციო ცენტრის ორგანოს ი. ჭ.-ის საზოგადოებისას (საზოგადოების სამმართველოს პლიუს ედბ მთავარი კომიტეტი). ის გამოდის ათ დღეში ერთხელ.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ინტერვიუ გიორგი ჭანტურიასთან

**კითხვა:** შეგიძლიათ წარმოგიდგინოთ მთავარი კომიტეტის წევრები?

**პასუხი:** რა თქმა უნდა! ირაკლი წერეთელი— ყოფილი პოლიტპატიმარი, დაბადებული 1962 წ. იყო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულ. III კურსის სტუდენტი, როცა გაა-

სამართლეს „საბჭოთა სახელმწიფო წყობისა და საზოგადოების ცი-  
ლისწამების“ ბრალდებით და მიუსაჯეს ოთხი წლის პატიმრობის განა-  
ნაკი. სტუდენტებში და საერთოდ ახალგაზრდობაში სარგებლობს ძა-  
ლიან დიდი ავტორიტეტით. მას შეიძლება ეწოდოს „მიტინგებისა და  
დემონსტრაციების სპეციალისტი“.

**ირაკლი ბათიაშვილი.** დაბ. 1961 წ. დაამთავრა საქარ-  
თველოს უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი. ის ერთ-ერთი  
ჩვენი მთავარი თეორეტიკოსია.

**ვანო ხუხუნიანი**— დაბ. 1963 წ. ბიოლოგი. ცხოვრობს  
და მუშაობს პატარა ქალაქ თერჯოლაში (ქუთაისის მახლობლად), ჩვე-  
ნი წარმომადგენელია მეორე ეროვნულ ძალა—„დემოკრატიულ კავში-  
რთან“, დასავლეთის კორესპონდენტებთან და სხ. ძალიან წარმატე-  
ბულად მოღვაწეობდა ი. ჭავჭავაძის საზოგადოების ქუთაისის ფილი-  
ალის საქმიანობაში, აქცია რა ის ჩვენი მოძრაობის უაქტიურეს რგ-  
ოლად.

**იასონ ფავლენიშვილი**— დაბ. 1964 წ. დაამთავრა ჩვენი  
უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი, მუშაობს საქ. მეცნიერება-  
თა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში.

**მე, გიორგი ქანტუია**— დაბ. 1959 წ. განქორწილებული,  
ცხრა წლის ვაჟიშვილის მამა, თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის  
ფაკულტეტადამთავრებული, პატრიოტული საქმიანობისათვის ასპირან-  
ტურიდან გამორიცხული, ვმსახურობ საქ. სახ. წიგნის პალატაში.  
ვარ ყოფილი პოლიტპატიმარი.

**კითხვა:** რაში მდგომარეობს, თქვენი აზრით, პარტიის შექმნის  
საჭიროება, სახელდობრ კი პოლიტიკური გაერთიანებისა?

**პასუხი:** ეროვნული განთავისუფლების შემდეგი განვითარება წარ-  
მოუდგენელი იქნება პოლიტიკური ავანგარდის გარეშე, პარტიის გა-  
რეშე. მინდა ხაზი გავუსვა შემდეგს. დასაწყისში ჩვენ დავაწევეთ  
მასიურ მოძრაობაზე და ამ მიზნით შეიქმნა ი. ჭ.—ის საზოგადოე-  
ბა, თავდაპირველად არაპოლიტიკური ორგანიზაცია. მაგრამ ჩვენ  
მივალწიეთ მასიურობას (ი. ჭ. საზოგადოება (IV დასი) დღეისთვის აე-  
რთიანებს არანაკლებ რვაას წევრს და აუცილებელი გახდა ავანგა-  
რდი ჯგუფის შექმნა, რომელსაც შეეძლება თავის თავზე მიიღოს  
ყოველგვარი დარტყმა, უხელმძღვანელოს მოძრაობას, შეადგინოს  
„მისი სტრატეგიული წვეტი და პოლიტიკური მარლი“. ამის ალტერ-  
ნატივი შეიძლება გამხდარიყო: ეროვნული მოძრაობის ამორფიულო-

ბა, დაბნეულობა და, საბოლოო ანგარიშში, სისუსტე. ახლა ხელოსნულდება, სურს ეს მას თუ არა, მთავარ ყურადღებას ჩვენზე გავაძლიერებ, ხოლო მასიურობა ი. ჯ. საზოგადოებაში გაიზრდება. არიან სხვა მიზეზებიც პარტიის შექმნის საჭიროებისა, რომლებზედაც ტელეფონით არ შემიძლია ვისაუბრო...

**კითხვა:** გასაგებია, ვია, გასაგები...აი კიდევ კითხვა, რომელიც დიდ მოწონებაშია აქ, დასავლეთში: როგორ აფასებთ თქვენ გორბაჩოვის „საჯაროობისა“ და „გარდაქმნის“ პოლიტიკას?

**პასუხი:** მე მათი არ მჯერა. მე არ მწამს შეცვლილი „დისიდენტების“. მე არ მჯერა, რომ ადგილი ექნეს რაიმე კარდინალურ ცვლილებას. მე ვფიქრობ, რომ ჩასასუთნეჟი ჰაერი, ის შემწყნარებლობა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს, ძალიან მალე შეწყდება. მით უფრო საჭიროა ჩვენი ხაზის განგრძობა, მომენტით სარგებლობა.

**კითხვა:** კარგადაა ცნობილი, თუ როგორ ალერგიას იწვევს სიტყვა „პარტია“ საბჭოთა ადამიანებში. ბევრი „დისიდენტი“, ალბათ ისინი, რომელთაც თქვენ „შეცვლილი“ უწოდებთ, უარს ამბობს სსრკ-ში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის სტრუქტურის შექმნის საჭიროებაზე. რას იტყვიან თქვენ ამის შესახებ? როგორ მიიღება მასაში პოლიტიკური პარტიის იდეა?

**პასუხი:** უაღრესად დადებითად! მე ხაზს ვუსვამ: პოლიტიკური ბრძოლის იდეა, პოლიტიკური პარტია ჩვენთან, საქართველოში, მიღებულია მხოლოდ დადებითად. ხალხი, რა თქმა უნდა, დაშინებულია. მათ უჭირთ, რომ აშკარად სიმპათია გამოგვიცხადონ, მათი აშკარა სოლიდარობა გაგვიმყვანონ, მაგრამ ისინი ჩვენ გვიგზავნიან ფულად შემოწირულებებს, ძალიან ბევრი გვიგზავნის ჩუმად, ყოველგვარი მაღლობის, ყოველგვარი ანგარიშის გარეშე. ეს ჩვენ გვაძლევს საშუალებას სსრკ-ში უპრეცედენტო მასშტაბით თვითგამოცემის გამოშვებისას. ამგვარად, „მოამბე“-ს მეშვიდე ნომერი გამოვიდა 800-ერთეული ტირაჟით, რაც, მაგალითად, 4-5 ჯერ აღემატება მოსკოვის „გლასნოსტ“-ის ტირაჟს. ეს ყველაფერი იმ ხალხის წყალობით, რომელიც ანონიმურად გვიგზავნის შემოწირულებას.

**კითხვა:** სიტყვამ მოიტანა, რას იტყვიან ქართულ დამოუკიდებელ პრესაზე. რა იცემა თქვენთან ამჟამად?

**პასუხი:** იცემა ბევრი და, როგორც ჩანს, ის თოვლის გუნდასავით მატულობს. მე დავასახელებ მხოლოდ მთავარ გამოცემებს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, როგორც ცნობილია, ორ ფრაქციად გაიყო

\*\*\*\*\*



21228

და თითოეული მათგანი სცემს მის ბეჭდვით ორგანოს. საზოგადოებრივ ბის ის ნაწილი, სადაც არიან პროფ. გურამ მამულია და მამულია ჩხეიძე, სცემს ჟურნალს, რომელსაც „ი ვ ე რ ი ა“ ეწოდება. იქ იბეჭდება უფრო ისტორიულ ხასიათის სტატიები. ჩვენი ნაწილი საზოგადოებისა, მეოთხე დასი კი სცემს შემდეგს: „საქართველო“, რომელსაც განაგებს საზოგადოების საკოორდინაციო ცენტრი, სარედაქციო კოლეგიაშია ორი ე. დ. პარტიის წარმომადგენელი (ბათიაშვილი, წერეთელი), ორიც საზოგადოების მმართველობიდან (მ. კოსტავა და ერთი სხვა), გამოვიდა პირველი ნომერი, მზადდება მეორე ნომერი; ჟურნალი „მ ო ა მ ბ ე“, რომელიც მანამდე ი. ქ. საზოგადოების ორგანო იყო, ახლა ხდება ე. დ. პარტიის საინფორმაციო ორგანოდ. მე ვარ მისი მთავარი რედაქტორი. „მოამბე“ იცემა ორ თვეში ერთხელ და უკვე გამოვიდა შვიდი ნომერი. ჟურნალი „მ ა ტ ი ა ნ ე“ წარმოადგენს ჰელსინკის ჯგუფის ორგანოს, რომლის მთავარი რედაქტორია ზ. გამსახურდია. გამოვიდა სამი ნომერი. ილიას საზოგადოების საინფორმაციო ორგანოა აგრეთვე „საქართველოს ქრონიკა“, რომელშიც იბეჭდება თანამედროვე ამბების მოკლე ინფორმაციები, გამოდის ყოველ ათ დღეში (გამოვიდა უკვე ცამეტი ნომერი) და მისი მთავარი რედაქტორია ქ-ნი ირინა სარიშვილი.

**კითხვა:** დიან, გაქანება არაა სახუმარო, მხოლოდ რამდენად რეალურია, შენი გაგებით, რომ დაბრუნდება დრო, როცა ხელახლა დაიწყებენ რეპრესიებს თავისუფალი სიტყვისათვის, ციხეებში გამოამწყვდევენ პატრიოტებსა და სამართალდამცველებს ისევე, როგორც ეს იყო წინად?

**პასუხი:** მე მგონია, რომ ეს დრო ძალიან ჩქარა იქნება. მე არ ვამბობ, რომ უბრალოდ დაბრუნდება ის, რაც იყო, ესე იგი დევნას დაუწყებენ ყველაფერ იმას, რასაც წინად დევნიდნენ... მაგრამ დამსჯელი მანქანა ამუშავდება იმიტომ, რომ მდგომარეობა გამოვიდა ხელისუფლების კონტროლიდან. ისინი ახლა სრულ დაბნეულობაში არიან და თუ რამე არ იღონეს, მათი საქმე ძალიან ცუდადაა, და რადგანაც მათ დიდი ფანტაზია არ გააჩნიათ, ისინი დაუბრუნდებიან ძველ მეთოდებს, მე ასე მგონია, მაგრამ ჩვენ მზად ვარც უარესისათვის და, ვიმედოვნებ, რომ მას შევხვდებით ღირსეულად. ჩვენი იდეის დამარცხება შეუძლებელია. ეს იდეაა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება—მრავალტანჯული დედის—საქართველოსი, და მისთვის, როგორც ეს ნათქვამია ჩვენი პარტიის დეკლარაციაში, ღირს ბრძოლაც,

საქართველოს  
დემოკრატიული  
ბიბლიოთეკა

სიკოცხლეც და სიკვდილიც.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ინტერვიუ, ა. წ. 15 სექტემბერს, თბილისთან  
სატელეფონო კავშირით აიღო თ ე ნ გ ი ზ გ უ დ ა ვ ა მ

\*\*\*

\*\*\*

ი. ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება

1988 წლის 18 აპრილს რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართული რედაქციის განცხადებაში ითქვა, რომ ა. წ. 13 მარტს თბილისიდან მათ მიიღეს შემდეგი ცნობა: 1987 წლის 11 დეკემბერს შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომელმაც მიიღო პროგრამა და წესდება. საზოგადოების გამგეობაში შედიან: ზ. გამსახურდია, გ. ჭანტურია, მ. კოსტავა, ი. ხუხუნაიშვილი, თ. ჯანელიძე, ი. წერეთელი. დაახლოებით იგივე ინფორმაცია გადმოიცა უფრო ადრე „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის მიერაც.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ თბილისიდან მიწოდებული აღნიშნული ინფორმაცია ყალბია და რადიოსადგურები შეცდომაში არიან შეყვანილნი. სინამდვილეში 1987 წლის 11 დეკემბერს თბილისში შემდგარმა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამფუძნებელმა კრებამ, რომელმაც მიიღო პროგრამა და წესდება, დამტკიცა საზოგადოების გამგეობა შემდეგი შემადგენლობით:

ც. არდაშელია, მ. კოსტავა, გ. მამულია, ე. ქავთარაძე, მ. ქურდიანი, თ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, გ. ჭანტურია, ი. ხუხუნაიშვილი.

1988 წლის 8 მარტს საზოგადოების გამგეობის შემადგენლობიდან გავიდა ორი წევრი, რომელთა გასვლაც დაადასტურა 1988 წლის 13 მარტს საგანგებოდ მოწვეულმა საზოგადოების საერთო კრებამ. ამავე კრებამ დაამტკიცა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ციალა არდაშელია, ავთანდილ იმნაძე, ჯუმბერ კობალიანი, ვაიოზ კორძაძე, მერაბ კოსტავა, გურამ მამულია, მიხეილ ქურდიანი, ირაკლი შენგელაია, თამარ ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი. 1988 წლის 29 მარტს გამგეობაში შეყვანილია ზურაბ ჭავჭავაძე. ზემოაღნიშნული პირები წარმოადგენენ აგრეთვე საზოგადოების ჟურნალის, „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიას.

განცხადებას ხელს აწერს: ილია ჭავჭავაძის საზ-ის გამგეობის წევრები: ც. არდაშელია, ა. იმნაძე, ჯ. კობალიანი, გ. კორძაძე, მ. კოსტავა, გ. მამულია, მ. ქურდიანი, ი. შენგელაია, თ. ჩხეიძე,



\*\*\*\*\*

ი. წერეთელი, ზ. ქავჭავაძე

განცხადება გამოქვეყნებულია: ილია ქავჭავაძის საზოგადოების „მთაბე“ № 4-5, რომელიც გამოცემულია თბილისში, 1988 წლის მარტი-აპრილის თარიღით.

\*\*\*

**ზაკარია ლაშქარაშვილის განცხადება\***

1987 წლის სექტემბერში შევიტყვე, რომ სურდათ ილია ქავჭავაძის საზოგადოების დაარსება. როგორც გურამ მამულიამ თქვა, აკაკი ბაქრაძეს გამოუთქვამს მისთვის აზრი ილია ქავჭავაძის საზოგადოების დაარსების შესახებ. იმავე წლის 11 დეკემბერს შედგა საზოგადოების დამფუძნებელი კრება: გურამ მამულიას, გია ჭანტურას, თამარ ჩხეიძის, ჯუმბერ კოპალიანის, ირაკლი წერეთლის და სხვათა ინიციატივით. კრება შედგა პლენარის გამიზრზე მარჯანიშვილის მოედანთან მდებარე სახლის კერძო ბინაში. კრებას მეც ვესწრებოდი და შემიძლია ვთქვა, რომ დღიდან დაარსებისა სანამ თბილისს დავტოვებდი, ანუ 1988 წლის 12 ივლისამდე, ყოველგვარი საქმის კურსში ვიყავი; საზოგადოების წევრებიდან ბევრს ვიცნობდი, უპირატესად ახლო ურთიერთობა მქონდა გამგეობის წევრებთან.

დამფუძნებელი კრების გახსნის წინ დამსწრეთ თხოვეს, ხელი მოეწერათ სიაზე. მოვაწერე მეც. შემდეგ დაგვირიგეს საწევრო ბილეთები. ჩემი საწევრო ბილეთი იყო №20.

გია ჭანტურიამ კრებას: აუწყა შეკრების მიზანი. შემდეგ ილუმენ მიხეილს თხოვეს ლოცვის ჩატარება, რაც მან ბრწყინვალედ შეასრულა. შემდეგ დაიწყეს საზოგადოების პროგრამისა და წესდების განხილვა, რომელსაც კითხულობდა ირაკლი წერეთელი. იყო აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც კენჭის ყრით, ხმათა უმრავლასობით წყდებოდა. დაახლოებით სამსაათიანი კამათის შემდეგ კრებამ მიიღო პროგრამა და წესდება. კრებამ საინიციატივო ჯგუფი საზოგადოების გამგეობად ცნო, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: გურამ მამულია, გიზო კორძაძე, ირაკლი შენგელაია, ირაკლი წერეთელი, თამარ ჩხეიძე, ჯუმბერ კოპალიანი, მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია და სხვა.

საზოგადოება იყო დაყოფილი სექციებად, სულ შვიდი სექცია. სექციების ხელმძღვანელები იყვნენ გამგეობის წევრები.

საზოგადოების გამგეობაში მალე უკმაყოფილებამ იჩინა თავი. დროთა განმავლობაში უფრო დაძაბული ხდებოდა. გამგეობის წევრები

უკმაყოფილებას გამოთქვამდენ გ. ჭანტურიას მიმართ. უკმაყოფილებების მიზეზები სხვებიც იყვნენ, მაგრამ მთავარი იყო ქურნალი „მოამბე“, ი. ჭ. საზოგადოების საინფორმაციო ორგანო, რომელსაც გ. ჭანტურია რედაქტორობდა. ბევრის აზრი იყო, რომ ქურნალი არის საზოგადოების სახე და ის უნდა იცემოდეს უკეთეს ღონეზეო. გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება: ქურნალი გამოეცა გამგეობას კოლექტიური პასუხისმგებლობით. გ. ჭანტურია, როგორც გამგეობის წევრი, იქნებოდა რედაქციის ერთ-ერთი წევრი და არა ერთპიროვნული რედაქტორი. გ. ჭანტურიამ ეს იწყინა და გამგეობიდან გავიდა. მოლაპარაკებების შემდეგ ორჯერ დაბრუნდა უკან, ხოლო მესამედ საბოლოოდ გავიდა გამგეობიდან და საზოგადოებიდანაც. ეს შემდეგნაირად მოხდა: მარტის თვეში მოხდა საზოგადოების საგანგებო კრება, სადაც განიხილეს საზოგადოებაში შექმნილი მდგომარეობა. კრებამ მხარი დაუჭირა გამგეობის უმრავლესობას. ვია ჭანტურია ამდგარა და უთქვამს, რომ მე მივდივარ და ვინც მე მიჭერს მხარს, დასტოვებ კრება და წამომყევითო. მას გაჰყვია გამგეობის ერთი წევრი, მისი მეგობარი ვანო ხუხუნაიშვილი. კრებამ ერთხმად მიიღო გ. ჭანტურიას გაყვანა საზოგადოებიდან.

ამ კრების შემდეგ მდგომარეობა შემდეგნაირად განვითარდა. მერაბ კახტავა საზოგადოების გამგეობას თხოვდა, რომ მის წევრად მიეღო ზვიად გამსახურდია, რომელიც დაარსებიდან წევრი არ ყოფილა ი. ჭ. საზოგადოების. ერთ კრებაზე მ. კოსტავამ დააყენა საკითხი თემურ ჯანელიძის და ზვიად გამსახურდიას მიღებაზე. კრება დათანხმდა ჯანელიძის მიღებაზე, გამსახურდიას მიღებაზე კი უარი თქვა. კრებამ თავისი უარი მით ახსნა, რომ გამსახურდია გამგეობის ძირითად წევრებთან იყო ცუდ განწყობილებაში, იგი მათ ლანძღავდა, უწოდებდა „ჩეკისტებს“, „ცეკისტებს“, უწმაწურ სიტყვებსაც კი. მასთან ერთად საქმის გაკეთება შეუძლებელიაო.

ცოტა ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ გ. ჭანტურიას და ზ. გამსახურდიას მოუწყვიათ კრება, რომელსაც თავისი თავი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებად გამოუცხადებია, რომლის აღმასრულებელ ორგანოში შესულან: ზ. გამსახურდია, გ. ჭანტურია, თ. ჯანელიძე, ვ. ხუხუნაიშვილი, მ. კოსტავა და ირ. წერეთელი. ამ ორმა უკანასკნელმა კრების ამბავი შეიტყო „ამერიკის ხმისა“ და რადიო „თავისუფლების“ გადაცემებით. ისინი უარყოფდნენ ასეთ ფაქტს. შემდეგში კი კოსტავამ თქვა: „იქაც ვიქნები და აქაც“ და მართლა იგი ორ-

\*\*\*\*\*

ივე გამგეობაში იყო.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ამ ჯგუფმა, როგორც ეს დასტურებულია თის რადიოგადაცემებში იყო გამოცხადებული, მოახდინა საზოგადოების რეორგანიზაცია და გარიცხეს უღირსი წევრები. ამრიგად: ზ. გამსახურდიამ, რომელიც საზოგადოების წევრი არ ყოფილა, გ. ჭანტურია და ვ. ხუბუთნაიშვილმა, რომლებიც გაყვანილი იქნენ გამგეობიდან და საზოგადოებიდან, და თ. ჯანელიძემ, რომელიც ახალი მიღებული იყო, საზოგადოებიდან გარიცხეს გამგეობის უმრავლესობა, რომელსაც მხარს უჭერდა მთელი საზოგადოება.

როცა გამსახურდიას ჯგუფმა გამოუშვა ჟურნალ „მოამბის“ მეოთხე ნომერი, ი. ჭავჭავაძის ნამდვილმა საზოგადოების გამგეობამ მ. კოსტავას თხოვა, რომ ხალხში გაუგებრობას გამოიწვევდა და რომ სახელი მაინც დაერქმიათ სხვა. მაშინ გამსახურდიას ჯგუფმა თავის ჟურნალზე გააკეთა დამატება „მეოთხე დასი“.

„მეოთხე დასი“ ასევე თვითგამოცემის წესით სცემდა გაზეთს, რომელსაც „საქართველოს ქრონიკა“ ეწოდებოდა. მის რედკოლეგიაში იყვნენ: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია და ირინე სარიშვილი. გაზეთის ფურცლებიდან ისინი თავს ესხმოდნენ ილიას საზოგადოების წევრებს, ყოველგვარი ფაქტების და მტკიცების გარეშე მათ უწოდებდნენ: ოპორტუნისტებს, კოლაბორაციონისტებს, ჩეკისტებს, რომ ისინი მოქმედებენ ცეკის დიქტატით და სხვა. მეოთხე დასი გადასცემდა არასწორ ინფორმაციებს რუსეთში თვითგამოცემის ჟურნალებში და ასევე უცხოეთშიც.

მის შემდეგ, რაც მეოთხე დასმა თავი გამოაცხადა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებად, შეიქმნა კიდევ ერთი ჯგუფი ი. ჭ.-ის საზოგადოებაში, რომელმაც თავის თავს უწოდა ნაციონალური ფრონტი, ე. ი. ი. ჭ. საზ.-ის ნაციონალური ფრონტი. მისი დაარსების ინციტატორები იყვნენ: ირაკლი წერეთელი და ირაკლი ბათიაშვილი. ი. წერეთლის გასვლის შემდეგ გამგეობიდან გავიდა კიდევ ირაკლი შენგელია, რომელმაც წერილით მიმართა გამგეობას, რომ მას სურს დააარსოს პრესკლუბი, რომ შემდეგშიაც კარგი ურთიერთობა ექნება მათთან და ითანამშრომლებს. პრესკლუბის დაარსების ფაქტი ჩემთვის უცნობია, რადგანაც შემდგომ მალე დაეტოვებ თბილისი (ა. წ. ივლისი).

ამ დროისათვის ილიას საზოგადოებაში იყო რვაასი წევრი, ფილიალები—ქუთაისში, სოხუმში და სხვა ქალაქებში. ვინაიდან მქონდა

შებნედა სოხუმის ფილიალის წევრებთან, ვიცი რომ ის იმდენი ორას წევრს და მას ხელმძღვანელობდა ნუგზარ მაგალიძე. ივლისის თვისათვის ი. ჭ.—ის საზოგადოების გამგეობის წევრები იყვნენ: ცილა არდაშელია, ჯუმბერ კობალიანი, გურამ მამულია, თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე, გიზო კორძაძე, ავთანდილ იმნაძე, მიხეილ ქურდიანი, ვახტანგ ძაბირაძე. ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელია გიზო თავაძე. საზოგადოების საპატიო წევრია აკაკი ბაქრაძე. საზოგადოებას ჰიმნად ექნება ილიას ლექსი: „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ საზოგადოების ზრდასთან ერთად წესდებაში გამოვლინდა ზოგიერთი უზუსტობა, შედგა მისი ახალი პროექტი, დაიბეჭდა და სახალხო განხილვისათვის დაიგზავნა შვიდასი ეგზემპლარი. სამი თვის თავზე განზრახულია ყრილობის მოწვევა, რომელიც საბოლოოდ მიიღებს ი. ჭ. საზოგადოების პროგრამასა და წესდებს.

საინფორმაციო ჟურნალმაც განიცადა ცვლილება, მეშვიდე ნომრიდან მას ეწოდება „ი ვ ე რ ი ა“, ქვემოთ მომცრო შრიფტით კი: „ილია ჭავჭავაძის მოამბე“.

ილიას საზოგადოებას ხელისუფლება ჯერჯერობით ოფიციალურად არ ცნობს, მაგრამ ის აღიარებდა დე ფაქტოს. ხელისუფლების პირები მას ანგარიშს უწევენ, აწარმოებენ მასთან დიალოგს. რამდენჯერმე პირადად ესაუბრა საქ. სსრ კომპარტიის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი თამარ ჩხეიძეს, გურამ მამულიას, ჯუმბერ კობალიანს. სანამ საზოგადოებიდან გავილოდნენ: მერაბ კოსტავას და ირაკლი წერეთელს. გამოძახება ხდებოდა რაიმე ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელსაც საზოგადოება აწყობდა, მაგალითად: **14** აპრილს, როდესაც უნდა აღნიშნათ ქართული ენის დღე, **26** მაისს, როდესაც აღნიშნავდნენ საქ. დამოუკიდებლობის **70** წლისთავს, ტრანსკავკასიის რეინიგზის მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ი. ჭ.—ის საზოგადოების საქმიანობა მრავალფეროვანი და მასშტაბურია. არ არის საკითხი, რომ მათ გვერდი აუარონ. მოითხოვენ კავკასიონზე გამავალი რეინიგზის მშენებლობის შეწყვეტას და ამ მიზნით გაიგზავნა პეტრია მრავალათასი ხელმოწერით. რეგულარულად გადიან მშენებარე ტრასაზე, ამოწმებენ მდგომარეობას, იღებენ სურათებს, საზოგადოებას აძლევენ ინფორმაციას და სხ. მოითხოვენ, გადაიტანონ სამხედრო პოლიგონი დავით გარეჯის კომპლექსიდან და იქაც დაწესებული აქვთ რეგულარული კონტროლი.

\*\*\*\*\*

საზოგადოებას აქტიური პოზიცია უჭირავს: საინგილოს, მესხების დაბრუნების, სხვა ეროვნებად აღრიცხულ ქართველებს შორის ქართული ეროვნების აღდგენის, ეკოლოგიის, ისტორიულ ძეგლების დაცვის, ეკლესიათა ამოქმედების და სხვა საჭიროებოთა საკითხებზე.

ვინაიდან მე საცხოვრებლად მოვდიოდი დასავლეთში, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ მიხოვა, რომ ვყოფილიყავი საზოგადოების წარმომადგენელი დასავლეთში. გამგებამ გამოთქვა სურვილი, რომ უცხოეთშიაც დაარსებულიყო ი. ჭავჭავაძის საზოგადოების ფილიალები, ჰქონოდათ კავშირი საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან, ეთანამშრომლად და ემოქმედად ერთად საქართველოს საჭიროებოთა საკითხების გადაწყვეტაში.

**ზაქარია ლაშქარაშვილი  
პარიზი, 1988 წლის 20 აგვისტო.**

\*) ზაქარია ლაშქარაშვილი ამჟამად პარიზშია. ძმები გულდაგების შემდეგ ის პირველი ყოფილი პოლიტპატიმარია, რომელიც გასულ წელში ვადაზე ცოტა უფრო ადრე გაანთავისუფლეს, მაგრამ იძულებული გახადეს სამშობლო დაეტოვებია და ჩვენი ხიზანი ცხოვრება გაეზიარებინა. მას იცნობს ჩვენი მკითხველი (იხ. „გუშაგი“ №2, ივლისი 1984, გვ. 35-40), აგრეთვე, აქვე ვაძლევთ სათაგვადასავლო სიტყვას. ჩვენი პირველი შთაბეჭდილება კარგია. ჩანს დინჯი, თავმდაბალი, პატიოსანი, მართალი. ხშირად პასუხობს: „მართალი ეს არის, მა ტყუილი ვთქვაო“. მიუხედავად ამისა, მის მოწმობას აბსოლუტურ ღირებულებას ვერ მივანიჭებთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის ერთ-ერთი მოდავე მხარის წარმომადგენელია და მეორეც ჭეშმარიტად თქმულა: „მხოლოდ დრო არის პირუთენელი მსაჯულიო“, მას კი ეს დრო საკმარისად არ გააჩნდა.

გუშაგი

\*\*\*

**ი. ჭავჭავაძის საზოგადოებასთან  
დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი**

ჯერ ერთი წელიც არ გასულა წმ. ილია მართალის საზოგადოების შექმნის დღიდან, მაგრამ უკვე წარმოიშვა ის მთელი რიგი პრობლემები, რაც გვაიძულებს ჩვენი საზოგადოების არსებობის უმთავრესი მომენტების გახსენებას.

გიორგი მამულიამ გიორგი ჭანტურიასთან საუბარში ერთხელ ახსენა, კარგი იქნებოდა ილიას საზოგადოების შექმნაო. როგორც შემ-

\*\*\*\*\*

ეროვნული ცენტრის

დგომში გაირკვა, მამულიას სურდა ერთგვარი კულტურული ჩამოყალიბება, რომელიც გააერთიანებდა არა ეროვნულ-სამართალდაცვითი მოძრაობის აქტივისტებს, არამედ მოპატრიოტოდ განწყობილ ინტელიგენციას, კომპარტიის ადამიანური სახის მქონე წევრებს და სხვ. მამულიას აზრით, ამ საზოგადოების მიზანი უნდა ყოფილიყო საქართველოს მარიონეტულ მთავრობასთან თანამშრომლობის გზით ასატანი კულტურულ-ზნეობრივი კლიმატის შექმნა საქართველოში, ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება (მიუხედავად იმისა, რომ მამულია თავდაპირველად ერის მოლაპატრებთან ერთად თვლიდა, რომ ტრანსკავკასიის საუღელტეხილო მაგისტრალის მშენებლობა დადებით მოვლენა იყო) და ა. შ.

ქართველი პატრიოტები კი ფიქრობდნენ, რომ საჭირო იყო ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა, რომელიც, რა თქმა უნდა, კულტურულ-ეკოლოგიურ პრობლემებს ყურადღებას მიაქცევდა, მაგრამ პირველ პლანზე მაინც ეროვნულ-სამართალდაცვით საკითხებს დააყენებდა. ქართველი ერის უფლებების დაცვა, ადამიანის უფლებათა დეკლარაციით და ჰელსინკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფმინდესი უფლებების დაცვისათვის ბრძოლა, ი. ჭ.-ის საზოგადოების მიერ ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, პოლიტიკური ოპოზიციის შექმნა... და საბოლოო ჯამში პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (რა თქმა უნდა, ყოველგვარი ძალადობის გარეშე).

აი, ამ სულით დაიწერა ი. ჭ.-ის საზოგადოების პირველი დეკლარაცია და განცხადება, რომელზეც გურამ მამულიამ ხელი არ მოაწერა და საზოგადოების წევრობაზეც უარი განაცხადა.

ჭანტურიამ მარტომ დაიწყო საზოგადოებისათვის საფუძვლის ჩაყრა და როდესაც საქმეს უკვე კარგი პირი გამოუჩნდა, მხოლოდ მაშინ ინება დარცხვენილმა მამულიამ ჭანტურისათან სახლში მისვლა და სთხოვა მოწმეების თანდასწრებით: თუ შეიძლება მეც მიმიღეთ საზოგადოებაში და თავის მიერ ადრე დაწუნებულ დეკლარაციასაც ხელი მოაწერა. ასე რომ, ყალბია იმის მტკიცება, თითქოს ი. ჭ.-ის საზოგადოება არის შექმნილი გურამ მამულიას მიერ. მამულია ამ საზოგადოების წევრი, გამგეობის წევრის სტატუსით, გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც წმ. ილია მართლის საზოგადოება უკვე ჩამოყალიბებული იყო.

საზოგადოების უურნალ მთამბის რედაქტორი პირველ ნომრი-

\*\*\*\*\*

დანვე გიორგი ჭანტურია იყო და პირველი ნომრიდანვე მთელი საქართველოს დაქტორს ბრძოლა მამულიასა და მისი მომხრეების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ ჟურნალიდან ამოეგდოთ განსაკუთრებით მწვავე, აქტუალური დისიდენტური მასალა.

დღითიდღე ხდებოდა საზოგადოების გაზრდა და პარალელურად ძალთა პოლარიზაცია. საზოგადოების დიდი, უკომპრომისო ჯგუფი გაერთიანდა გამგეობის იმ ნაწილთან, სადაც იმყოფებოდნენ მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია, ვანო ხუხუნიაშვილი, თეიმურაზ ჯანელიძე, ირაკლი წერეთელი და ზვიად გამსახურდია: რომლის იზოლაციაში მოქცევას მთავრობასა და სუკ-თან ერთად ესოდენ ენერგიულად ცდილობდნენ გურამ მამულია და თამარ ჩხეიძე. ერთი სიტყვით, საზოგადოების უმრავლესობა დადგა იმ პირთა გვერდით, რომელთა შორის მრავლად იყო ეროვნულ-სამართალდაცვითი მოძრაობის აქტივისტი, საზოგადოების მცირე ნაწილი კი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული სტალინიზმით შობილი შიშის ფაქტორისაგან, იმ პირთა ირგვლივ დაირაზმა, რომელთა შორის, ჩხეიძის გარდა, არცერთი პოლიტპატიმრად ნამყოფი არ იყო...

გამგეობის ორ ნაწილს შორის განხეთქილებამ თავის აბოგეას მიადღწია მაშინ, როდესაც ჭანტურიამ გამგეობის საერთო კრებაზე განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 70 წლისთავისათვის აუცილებელი იყო საზოგადოების გამგეობას მიემართა პრეზ. რეიგანისათვის მოთხოვნით, დასავლეთს არ ეცნო რუსეთის მიერ საქართველოსა და სომხეთის ანექსია და აღმდგარიყო საქართველოს ის სტატუსი, რომლითაც დღეს ბალტიისპირეთის ოკუპირებული ქვეყნები სარგებლობენ.

მამულიამ და მისმა მეგობრებმა დაინახეს, რომ ეს წერილი მათ პირად კეთილდღეობას საფრთხეს უქადადა და ჭანტურია მთავრობასთან დააბეზლეს, ასე რომ, ჯერ რეიგანისათვის წერილი გადაცემულიც არ იყო, ხოლო ხელისუფლებამ კი უკვე ყველაფერი იცოდა.)\*

მამულიამ საჯაროდ განაცხადა: „ჭანტურია ექსტრემისტია, მას სურს რეიგანს წერილი გაუგზავნოს“. თუ წერილის გაგზავნა ექსტრემიზმია, მაშინ, მამულიების გაგებით, მიტინგისა და დემონსტრაციის ჩატარება ტერორიზმი იქნება... ასე რომ გაგრძელებულიყო, აღარ შეიძლებოდა და 1988 წ. მარტში მოხდა გამგეობის რეორგანიზაცია.

\*\*\*\*\*

\*) ეს წერილი ზ. გამსახურდიამ ბ-ნ რეიგანს გადასცა 30 მაისს, მოსკოვში, წერილს ხელს აწერენ: გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია.

ნიზაცია. მამულია, ჩხეიძე, ქურდიანი და სხვები გაყვანილნი იქნენ გამგეობიდან, ხოლო 1988 წ. 8 მაისს კი, საზოგადოების საერთო კრებაზე, კოლაბორაციონისტთა ეს ჯგუფი გარიცხულ იქნა საზოგადოებიდან აღდგენის უფლების გარეშე.

გურამ მამულია, თამარ ჩხეიძე, ცილა არდაშელია, მიხეილ ქურდიანი, ჯუმბერ კოპალიანი და ზურაბ ჭავჭავაძე არ დაემორჩილნენ საერთო კრების გადაწყვეტილებას და თავის ერთ მუჟა მომხრეებთან ერთად ჯიუტად გააგრძელეს საკუთარი თავის ი. ჭ.-ის საზოგადოებად მოხსენიება. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ჯგუფს მხარს უჭერს ხელისუფლება და ცდილობს მათ გამოყენებას ჭეშმარიტი პატრიოტებისა და სამართალდამცველების წინააღმდეგ — ეს არის „გარდაქმნილი“ სუჯ-ის „გარდაქმნილი მეთოდებით“ ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ, ღვთის წყალობით, საქართველოში ყველას ძალიან კარგად ესმის, თუ ვინ არის პატრიოტი და ვინ წარმოადგენს სინამდვილეში ი. ჭ.-ის საზოგადოებას, ხოლო ვინ ინიღბება ილიას წმინდა სახელით...

დღეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში, რომელიც მეორე სახელსაც — IV — დასი — ატარებს, გაერთიანებულია დაახლოებით 700 ადამიანი, საზოგადოება იზრდება გეომეტრიული პროგრესით. საზოგადოება იყოფა სამ ზონად: თბილისი, დასავლეთი და აღმოსავლეთი. დასავლეთის ზონაში ჯერჯერობით გაერთიანებული არიან შემდეგი ფილიალები: ბათუმის, სოხუმის, გაგრის, ხულოს, წალენჯიხის, ზუგდიდის, ქუთაისის, ტყიბულის, ზესტაფონის, ხონის, აღმოსავლეთის ზონაში: თელავის, ყვარლის, ყაზბეგის, გორის, რუსთავის, დუშეთის, სიღნაღის, ქარელის. თბილისის ზონაში გაერთიანებული არის კომიტეტები, რომლისგანაც შედგება სექციები.

ფილიალებისა და კომიტეტების ხელმძღვანელები საკოორდინაციო ცენტრის წევრებთან ერთად გაერთიანებულნი არიან წარმომადგენელთა საბჭოში. საზოგადოების ყრილობებს შორის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო არის საკოორდინაციო ცენტრი — ყოფილი გამგეობა, რომელშიც შედის ცხრა კაცი: ბათიაშვილი ირაკლი, გამსახურდია ზვიად, კოსტავა მერაბ, მარკოზია არკადი, ფაველნიშვილი იასონ, წერეთელი ირაკლი, ჭანტურია გიორგი, ხუხუნაშვილი ვანო, ჯანელიძე თეიმურაზი.

საზოგადოებას უკვე გააჩნია სამი საზოგადოებრივ-პოლიტიკური უქრნალი — მ ა ტ ი ა ნ ე, მ ო ა მ ბ ე, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო; ამზადებს

# ილია ჭავჭავაძის საზოგადოება



\*\*\*\*\*

გამოსაცემად სალიტერატურო ჟურნალს— **ლოტოსი**.  
განზრახული გვაქვს რელიგიური ჟურნალის გამოცემაც.  
ყოველ ათ დღეში ერთხელ გამოდის საინფორმაციო გაზეთი — **ქართული ქრონიკა**.

ამ წლის ბოლოს დაგეგმილი არის საზოგადოების **I** ყრილობის მოწვევა.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების—**IV** დასი—საკოორდინაციო ცენტრი.

**1988 წლის 17 აგვისტო, ქ. თბილისი.**

**x)** წერილი რედაქციამ უშუალოდ მოიღო ბ-ნ გიორგი ჭანტურია-საგან. ვაჭვეყნებთ მისი სურვილის თანახმად, ცოტა შემოკლებით.

**გ უ შ ა გ ი**

\*\*\*

**თ ე ნ გ ი ზ გ უ დ ა ვ ა ს დ ი ა წ ე რ ი ლ ი**

**ძვირფასო გიორგი!**

...

იწერებით, რომ ხართ ძალიან შეწუხებული ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შესახებ ამ უკანასკნელ ხანს მიღებულ ამბების გამო. ეს არ არის გონივრული! მდგომარეობა მართლაც რთულია, მაგრამ სრულიად ბუნებრივი სსრკ-ში დღევანდელი ეროვნული და სამართალდაცვითი მოძრაობებისათვის. ყველგან შეიმჩნევა განხეთქილება, ფრაქციონურობა, მოძრაობათა გაყოფა-დანაწილება. ამან მათისმეტად არ უნდა დაგვადონოს. . .

ეროვნული მოძრაობები, რომლებიც „გარდაქმნამდე“ ერთუჯრედოვანნი იყვნენ, სწრაფად იწყეს განვითარება, იყოფიან მრავალ უჯრედებად; გამოჩნდნენ ავანგარდები, ბაზები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბალასტები, რომლებიც საერთოდ ხელს უშლიან მოძრაობებს, მაგრამ ადვილად დასაძლევნი არიან და ზოგჯერ საჭირონიც წონასწორობისათვის (ისევე როგორც ბალასტი იახტაზე).

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება საქართველოში ორ ნაწილად, ორ ფრაქციად გაიყო. რასაკვირველია, აქ როლი ითამაშა სუბიექტურმა მიზეზებმა—ანტიპათია ზვიად გამსახურდიასა და თამარა ჩხეიძის შორის— მაგრამ ეს ზედაპირულია და არამნიშვნელოვანი; განხეთქილების მთავარი მიზეზი არის სხვადასხვანაირი მიდგომა, გზების არჩევის განსხვავებულება.

ფრაქციამ, რომლის გამგეობაში მამულია-ჩხეიძეა, თავი მოუყარა ქართველ პატრიოტთა იმ ნაწილს, რომელთაც მიაჩნიათ რომ, მთავარია ხალხის გათვითცნობიერება. ეს ფრაქცია უფრო მოხერხებული ჩანს, უფრო ლოიალური ხელისუფლებასთან და სწორედ ამიტომ მისგან ნაკლებად სალანძღავი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათი პოზიცია მცდარია, ან, მით უფრო, მავნებელი. არა! იგი ძალიან საჭირო და სასარგებლოა.

ილიას საზოგადოების ეს ნაწილი განწყობილია წავიდეს საქართველოს მთავრობასთან (და არა მოსკოვის, კრემლის) დათმობებზე, უარყოფს პოლიტიკურ ბრძოლას, უფრო მჭიდროდ მიდიან კავშირში დასავლეთთან და რუს დისიდენტებთან. მე ვიტყვოდი, რომ ეს ნაწილი უფრო მეტი იზოლაციონისტ-ნაციონალისტურია, უფრო მეტი ანტირუსული და ნაკლებად ანტიდასავლეთური. ამ ფრაქციის უეჭველი პლუსია სოლიდურობა (აქ მეტი ადამიანია აკადემიური ცოდნით და საზოგადოებრივი მდგომარეობით) და რომ მას, როგორც ჩანს, უფრო მრავალრიცხოვანი საზოგადოებაც მიყვება, რადგან მათ აზინებთ მეორე ფრაქციის რადიკალური მოწოდებები.

ილიას საზოგადოების მეორე ფრაქცია, მეოთხე დასი? მას შეიძლება უფრო რადიკალური ეწოდოს. კარგია ეს თუ ცუდი? მე დარწმუნებული ვარ—კარგია! ეს ფრაქცია გამოდის გამანთავისუფლებელი ბრძოლების მოწინავე ხაზზე და სრულებით ბუნებრივია, რომ მის წიაღში იშვა მოწინავეთა შორის მოწინავე ფრთა—ახალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეს პარტია ქართული ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ავანგარდია. მე ხაზს ვუსვამ სიტყვა **პოლიტიკურს**. არაფრით არ შეიძლება მისი შედარება ან არევა რაიმე სხვა წყობის მოძრაობასთან.

ამრიგად, ჩემი მიდგომა მდგომარეობს: საჭირო და სასარგებლოა ორივე მიმდინარეობა, მათ აქვთ ერთი სტრატეგია, ერთი მთავარი მიზანი — ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება, შექმნა ახალი დემოკრატიული სუვერენული საქართველოსი. ჩვენ ქართველმა ემიგრანტებმა მხარი უნდა დავუჭიროთ ყველა ამ მიმდინარეობას. განსაკუთრებით, ჩვენ ისინი ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ, არამედ ვეცადოთ მათი მორიგება. საჭიროა ჭეშმარიტად მრავალპარტიული მიდგომა. გავუშვათ, რომ დრომ, ქართველმა ხალხმა და ღმერთმა გადაწყვიტოს, თუ რომელია მათ შორის უკეთესი.

\*\*\*\*\*

ჩვენ კარგად ვიცნობთ ზვიად გამსახურდიას, ვხედავთ მის სუსტ და ძლიერ მხარეებს და ჩვენ ვამბობთ: ესაა წყაროსავითი, სუსტიცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტი ქართული ეროვნული მოძრაობისა. მას გააჩნია დისიდენტური მოქმედების უზარმაზარი გამოცდილება, უნიკალური საერთაშორისო კავშირები. და მისი ჩამოშორება ან განადგურება შეიძლება სურდეს მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნულ მტრებს და კაგებეს მეგობრებს. მე ვიცი, თუ როგორ არ უყვარს კაგებეს ზვიადი. შეხედეთ მხოლოდ იმ ჭუჭყის დვარცოფს, რომელსაც მას ასხამს ოფიციალური პრესა! რატომ? პასუხი ერთია: ზვიადი ეფექტიანად მოქმედებს, ის ყელში ეჩხირებათ კომუნისტებს. მას მხარდაჭერა ესაჭიროება და არა გებისტებთან ერთად უფსკრულში ჩაძირვა.

თანახმა, რომ ზოგიერთს არ მოსწონს ზ. გამსახურდია, არ შეუძლია მას „აპატიოს“ სატელევიზიო მონაწილება. მაგრამ რა ვუყოთ მერაბ კოსტავას? როგორ მოვექცეთ მერაბს, რომლის სულიერი ძალა სამაგალითოა მთელი მსოფლიოსათვის? როგორ აიხსნას ის ფაქტი, რომ ზვიადი და მერაბი დღეს ერთია? როგორ აიხსნას ის ამბავი, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების რვაასი წევრი და ზვიადი ერთია? მე მას ვხსნი ასე: ისინი, ვინც დღეს თავს ესხმიან ზვიადს, თავს ესხმიან აგრეთვე მთელს რადიკალურ ფრთას ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისას.

მე ვიცნობ აგრეთვე თამარ ჩხეიძეს და მისი ფრაქციის ზოგიერთ სხვა წევრს. ისინი ყველა საუცხოო ადამიანებია, საქმის ერთგულნი. მათ უფლება აქვთ ჰქონდეთ მათი საკუთარი პოზიცია, პოზიცია, რომელიც განსხვავდება ზვიადის, მერაბის ანდა რომელიმე სხვის პოზიციისაგან.

მე ვიმეორებ: ეს ცუდი არ არის, არამედ კარგია, რადგანაც მოძრაობა საჭიროა იყოს სხვადასხვაგვარი, მრავალმხრივი. საჭიროა, რომ არსებობდეს ერთი საერთო ფრონტი ტაქტიკურად განსხვავებული ჯგუფების. მაშინ კომუნისტებს გაუჭირდებათ ჩვენი დამარცხება.

თენგიზ გულდავა  
1988 წ. 27 სექტემბერი



## ჩ ვ ე ნ ი კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

როგორც ხედავთ, ჩვენ საკმაოდ დიდ ადგილს ვუთმობთ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წინაურ, საორგანიზაციო კრიზისს. მოყვანილია, (რამდენადაც შეიძლება) დოკუმენტური მასალები და ორივე დაჯგუფების წარმომადგენლების მოწმობა. იმედი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი ნებას მისცემს მკითხველს, თავისი აზრი და პოზიცია თვითვე გამოიმუშაოს.

სრულიად ვეთანხმებით მეგობარ თ. გუდავას იმაში, რომ ამ სტაღიაში ემიგრაციამ თავი უნდა შეიკავოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ფრაქციათა შორის დავაში მონაწილეობისაგან, განსაკუთრებით ერთიმეორის კიდევ უფრო გადაკიდების მცდელობისაგან.

რაც შეეხება ამ ფრაქციების პოლიტიკურ პოზიციებს, როცა ისინი კარგად და საბოლოოდ გაირკვევიან, მათ მიმართ გულგრილნი ვერ დავრჩებით და არც უნდა დავრჩეთ.

თითქმის ერთსა და იმავე დროს (გასული წლის ბოლოს) ორ მნიშვნელოვან ინიციატივას ჰქონდა ადგილი ჩვენს სამშობლოში: რუსთაველისა და ილიას საზოგადოებების დაარსებისას. პირველს ხელისუფლება დაეპატრონა და მით დააკნინა თავიდანვე მისი პრესტიჟი; მეორეს, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას ყოფილი პოლიტპატიმრები ჩაუდგენ სათავეში და ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პატრიოტული მოძრაობა შექმნეს, სადაც შეუძლიათ თავი მოიყარონ კრემლისა და კომპარტიის შეურვეობისაგან განთავისუფლების მოწადინე ქართველმა მამულიშვილებმა.

ეჭვი არაა, რომ ხელისუფლება შეეცდება მის „რეკუპერაციას“ და თუ ბოლოს და ბოლოს ის მაინც თავის გავლენის ქვეშ ვერ მოაქცია, მაშინ მას სახელი მაინც გაუტეხოს საზოგადოების თვალში, მის წიაღში შექმნას უნდობლობა, მტრობა, გათიშულობა. ამ საფრთხის თავიდან აშორება ადვილი არ გახლავთ და სრულიად შესაძლებელია, რომ ამჟამად ვიმყოფებოდეთ სწორედ ამ სტაღიაში.

ხელისუფლებასთან კომპრომისის გზა, როგორც წესი, მოლიბუღია და ის უეჭველი მარცხით თავდება. ამიტომ ჩვენ ყველას ვუთხოვინებთ, ვინც ამ გზას დაადგება, მაგრამ ჯერჯერობით ამის ურყევი საბუთი არ გვაქვს, ხოლო წინასწარი გასამართლება დაუშვებელია. ამრიგად, აღებულ მომენტში ჩვენი კეთილი განწყობილება უცვლელია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყველა კომპონენტის მიმართ.

\*\*\*\*\*

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ უ გ ა მ ო ვ დ ე ბ თ შ ა რ ა მ ო ვ ე ნ უ ლ ი

გ ი ზ ო ლ ი ო რ ი თ ე ა

კავკასიის საულელტეხილო რკინიგზის მშენებლობის თაობაზედ პირველი სიტყვა თქვა აკაკი ბაქრაძემ, რასაც მოჰყვა აზრთა სხვადასხვაობა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, ნელ-ნელა გაბედეს და კამათიც წამოიწყეს. დაბეჩაებულნი, დაგლახაკებული, გარეთ გაგდებული სიმართლე შინ შემოიყვანეს.

სამწუხაროდ, ეს კამათი მოულოდნელად შეწყდა. სიმართლე ძველებურად კვლავ კარში გააგდეს, ხალხს სიტყვა ძველებურად კვლავ პირშივე ჩაუწყვიტეს, აზრი ჩანასახშივე მოსპეს. რატომ? რა მოხდა? თუ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება იანვრის პლენუმზე სახელმძღვანელო ჩვენთვის, იმ მოხსენებაში გარკვევით წერია: „საბჭოთა საზოგადოებაში არ უნდა იყოს კრიტიკისათვის დახურული ზონები“. რახან პარტიის ცენტ. კომ. გენ. მდივანი ამბობს ამას, ე. ი. „დახურული ზონები“ საბჭოთა სინამდვილეში არსებულა. ერთ-ერთ ასეთ ზონაში შევარდა ჩვენი გაზეთი—და ხმაც ამიტომ გააკმენდინეს.

საბჭ. კავშ. კომ. პარტიის ცენტ. კომიტეტის აპრილისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საჯაროობა, საბჭ. საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაცია, სოციალისტური თვითმმართველობის გაძლიერება, მოითხოვდა ჩვენგან არა კამათის გაწყვეტას, არამედ საულელტეხილო რკინიგზის მშენებლობის პროექტების საჯარო, სახალხო განხილვას. აკრძალვები და საკითხის ზემოდან გადაწყვეტა ეწინააღმდეგება პარტიის დღევანდელ მოთხოვნებს.

კავკასიის საულელტეხილო რკინიგზის მშენებლობა არ არის წამოწყებული ხევისა და ფშაგ-ხევსურეთის ასაღორძინებლად, როგორც პროექტის ავტორები ირწმუნებიან და ზოგიერთ სხვა ავტორსაც ჰგონია. მოჩვენებითი, დროებითი სიკეთე,—სასტუმროების აგება, მართლაც მოჰყვება მშენებლობას, მაგრამ იმ სახლებსა და სასტუმროებში სხვები იცხოვრებენ და არა ფშავლები და ხევსურები; უკეთეს შემთხვევაში, სადაც ერთი ფშაველი დაიდებს ბინას, ათი უცხოტომელიც იქვე დაემკვიდრება. ეს თავისთავად მოხდება, როგორც ენგურჭესის შემთხვევაში მოხდა,—თვით მშენებლობა მოითხოვს, დიდ მშენებლობათა სპეციფიკა გვაიძულებს კვალიფიციური მუშახელი სხვა მშენებლობებიდან გამოვიძახოთ.

საქართველოში არავინ დაიზარებს ჩამოსვლას, ყველა სიამოვნებით

\*\*\*\*\*

ჩამოვა. ოცი-ოცდახუთი წელი გაგრძელდება მშენებლობა. ჩამოსულ კაცს ცოლ-შვილი ჩამოჰყვება, ან აქ დაოჯახდება, ბინა, საბავშვო ბაღი, სკოლა დასჭირდება. აშენდება მუშათა „პასიოლოკები“, თავიანთი რუსული სკოლებითა და საბავშვო ბაღებით. ახალგაზრდობას მთასა და კლდე-ღრეში მოსწყინდება დღენი დაღე შრომა და, ბუნებრივია, მოგვთხოვს დასვენებას, გართობას; ხატობაში ის არ წავა,— „ტანკლაშჩადკას“ გამართავს, ვაჟა ფშაველას ენას სხვა ენა შეცვლის; კიდევ ბევრი რამ შეიცვლება აქ ოცი წლის მანძილზე და, ბოლოს, ფშაველი თვითონ ვერ იცნობს თავის სამშობლოს, ხევსური—კიდევ თავისას.

კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა ემსახურება არაკეთილ იდეას,— საქართველოს კვდომას, არყოფნას მისას, ან სხვად ქცევას. საქართველოს ნელი კვდომა დიდი ხანია დაწყებულია, როცა ჭამა-სმამში, ძმობასა და მეგობრობაში, სიამ-ტკბილობაში კვდები, სიკვდილი შეუმჩნეველია. ზოგჯერ გამჩნევთ კიდევ, ვერ ვიჯერებთ, ისე როგორც დედის სიკვდილს ვერ იჯერებს კაცი. რაკი ახლა, ამ წუთას, სული გვიდგას, ხვალინდელ დღეს აღარ დავეძებთ, ეგებ გადავრჩეთო, ვფიქრობთ და გულუხვად ვიძღვეთ ნელი კვდომის ნებას—„რა უჭირს, იყოს ერთი რუსთავი, გუნებაში ვამბობთ, „ერთიც ენგურჰესი“, „ერთიც ჟინვალჰესი“ და ა. შ.

ერთ მუჟა მიწაზე რამდენი რამ დაეტიოს? ქართველი კაცი თავს დასტრიალებს და დაცოდვილებს ზედ ამ ერთ მუჟა მიწაზე! მარცვალსაც შიგ თესავს, ვაზსაც ახარებს, მოჰყავს ჩაი, ციტრუსები, ხილი... იმ ერთ მუჟა მიწაში დევს ჩვენი განძი—დავათის სტელა! ნაქალაქარებიც იქ მარხია, ნამდვილი საქართველოც იქ არის. ამ ერთ მუჟა მიწას გვართმევენ!

სამწუხაროდ ჩვენს ინჟინრობას არ ესმის, ან არ უნდა გაიგოს ამ მშენებლობის არსი და მიზანი.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ რევავ სიგუა, ნიკოლოზ სვანიშვილი და ომარ ჭუცანაშვილი გვარწმუნებდნენ: განცვიფრებას იწვევსო,—წერენ ისინი—გ. ლიჩელის მიერ მოყვანილი ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ა. ბოხოჩიძისეული აზრი. ასეთი პრეტენზიული განცხადება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და სინამდვილეს არ შეეფერებაო. მომავალი რკინიგზის მაგისტრალის გასწვრივ განლაგებულ არქეოლოგიურ ძეგლებს „განადგურება“ კი არა, დროული გამოძიებულება ელითო. უნდა აღინიშნოსო—წერენ

\*\*\*\*\*

ისინი—რომ არცერთი ისტორიული და კულტურული ძეგლი არ ჰყვება მომავალი რკინიგზის მშენებლობის ზონაში, მათ შორის ძალიან ის ნაქალაქარიც საკმაოდ შორსაა (ორი—სამი კილომეტრი) რკინიგზის ტრასიდანო.

დიდი მადლობა ბ-ნო ინჟინრებო და მთავარო ინჟინრებო, რომ ზედ არ გადაატარეთ ძალისის ნაქალაქარს და ორი-სამი კილომეტრით მაინც მოშორდით, მაგრამ განცვიფრებას იწვევს არა ა. ბოხოჩიძისეული, არამედ თქვენი აზრი — თქვენ საქართველოს ზედ გულზე უნდა დაადგათ ფეხი და წარბიც არ ვიტოვავთ. ძალისის ნაქალაქარიდან ორი-სამი კმ დაშორებით სწორედ რომ მოსალოდნელია მეორე ძალისი! მაგრამ თქვენთვის, როგორც ჩანს, ეს არაფერია.

რკინიგზის მშენებლობის უფროსი გივი ბალანჩივაძე კვლავ „ლიტ. საქ.-ში“ უდრტივინველად წერს: „მაგისტრალი გაივლის ქსანს, წილკანს, საგურამოს, ბულაჩაურს, ჟინვალს, თვალისს, ჩარგალს, ფშაფსა და ბარისახოს...“ გაივლის და მეტი არაფერი? წალეკავს გულისგულ საქართველოს! სადაც ყოველ ნაბიჯზე მოსალოდნელია ახალი ვანის ნაქალაქარი, ახალი ძალისი და არქეოპოლისი... გაივლის და ჩანთქავს მათ, ისე როგორც ჟინვალჰესმა ჩანთქა აურაცხელი განდი ქართული.

თუ ჩვენ ასეთ რკინიგზას დავგაძალებდნენ, ქართველ ინჟინრებს უნდა მოეხდინათ ამბოხება, უნდა დაეტოვებინათ თქანამდებობები და დაეხიათ დიპლომები. ვაი, რომ არა გვყვანან ქართველი ინჟინრები! ჩვენ ქართველ ინჟინრებს დიდი ხანია არ ვზრდით და შედეგს დღეს ვიმკით.

ამბოხება და დიპლომების დახვევა კი არა, თურმე სულ მთლად სატანური პროექტებიც ჰქონიათ. პირველი პროექტით საუღელტეხილო რკინიგზა იწყებოდა მცხეთიდან და ჯვრის მონასტრის ქვემოთ გადიოდა გვირაბი. ეს ტელეეკრანიდან ითქვა. დაუჯერებელია, მაგრამ ასეა! რა ვუწოდოთ ამას, რა დავარქვათ, როგორ შევაფასოთ? თხუნელას ისეთი გვირაბის გაყვანა შეუძლია, ვერცერთი პოლიტექნიკურ ინსტიტუტდამთავრებული ვერ შეედრება. თხუნელისაგან გვირაბგამყვანი ინჟინერი უნდა განსხვავდებოდეს იმით მაინც, ჯვრის მონასტრის ქვემოთ არ გაიყვანოს გვირაბი.

რა თქმა უნდა, ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი კარგი ინჟინერიც მეგულება, ბევრი პატრიოტული თაოსნობაც გვახსოვს მათგან. ჩემი აღშფოთება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ საუღელტეხილო რკი-

ნიგზის პროექტის ავტორების მოღვაწეობით.

ქართველი ხალხის წინაშე პასუხი უნდა აგონ იმ დაწესებულებებმა, განსაკუთრებით საინჟინრო დაწესებულებებმა, ვისაც შეცდომაში შეჰყავთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და ხალხი.

გასაკვირი ის კი არ არის, რომ საუღელტეხილო რკინიგზას გვაშენებინებენ, - საბჭოთა სახელმწიფო არც არაფერს გვკითხავს ისე ააშენებს, რაც მოესურვება, განა ასე არ აშენდა ჩერნობილი და მცხეთის რეაქტორი? გვითხრა ვინმემ რამე? გასაკვირი ისაა, რომ ქართველი ინჟინრები წარბმულებად გვიმტკიცებენ ტელეკრანებიდან: რკინიგზა იმიტომ გაგვყავს, რუსეთიდან პური უნდა შემოვიტანოთო. თურმე 1.600.000.000 (ერთ მილიარდ ექვსას მილიონ) მანეთს იმიტომ ხარჯავს საბჭოთა კავშირი, პური ქართველებს მოკლე გზით მოგვაწოდოს!? ვინც ასეთი სიცრუის სათქმელად მოსულა ქვეყნად, ნება მიბოძეთ, იმ ადამიანებს არაფერი დაუუჯეროთ, არც არაფერი ვიწამოთ მათი. როცა დიდ საქმეს ვეპილებით, მსოფლიოში ყველაზე დიდ ნაგებობას ვაგებთ და რთულს, საინჟინრო თვალსაზრისით, დიდ ცოდნასთან ერთად, პატიოსანი, სუფთა ხელები და მართალი გული გვპირდება.

წინ ოცდამეერთე საუკუნეა. კავკასიონი, ქართლის ველი-მტკვრისა და არაგვის სანახები, ფშავ-ხევსურეთი და ხევი, - ქართველთათვის ღვთის ბოძებული სამოთხე! - შთამომავლობას უნდა გადავცეთ, როგორც ჩვენ გვებოძა. ნუ მოვსპობთ იმას, რისი შექმნაც შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია. ნუ დავარღვევთ წესრიგს ბუნებისას.

ნუთუ არ გვეყო სტიქიური უბედურებანი: ზვავები, წყალდიდობები, ქარიშხლები, მეწყრები... დაანებეთ თავი საქართველოს ბუნებას, კავკასიონი ჰქონდეს კაცობრიობას როგორც ნაკრძალი!

ნუ შევჯლიგინდებით ყველგან, სადაც სიწმინდეა და სისუფთავე, ნუ დავანაგვიანებთ მთებში ჩარჩენილ საქართველოს; ბარისახოს ბოგდანოვკად ნუ გადავაქცევთ, ლაშარის გორზე ტანკლაშჩადკას ნუ გავმართავთ, ვაჟა ფშაველას შთამომავლებს ნუ ავალაპარაკებთ ენგურჰესის ენაზე: „აქ აბვადნოი ტუნელია გაკეთებული!...“

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ უ გ ა მ ო ვ დ ე ბ თ შ ა რ ა ზ ე ! . . .

.მრავალსაუკუნოვანმა მონობამ ქართველი ხალხი ყველაფერს შეაგუა და შეაჩვია, დღეს ის ყველაფერზე თანახმაა. წყალი მაინც არ წავართვათ მას, თუნდაც ნებართვა ადვილად მიიღოთ მისგან. ეს საზარელი ფაქტი პირველმა რევან ჯაფარიძემ ამხილა და მეც



ვიმეორებ მას. მილიონიან ქალაქს—თბილისს, ე. ი. მილიონობის (ოცდამეერთე საუკუნეში კიდევ უფრო მეტს), ართმევ არაგვის სუფთა წყალს. ენგურჰესის მშენებლობაზე, როგორც მაშინ ჩვენი გაზრთები ტრაბახობდნენ, მუშაობდა თორმეტი ათასი, ოთხმოცდახუთი ეროვნების ადამიანი, კავკასიის საულელტეხილო რკინიგზის მშენებლობაზე იმუშავებს კიდევ უფრო მეტი.

ჯერ მშენებლობის ქუჩები, შემდეგ რკინიგზისა და მატარებლების ნავთი და მაზუთი მრავალათასიან მშენებლებთა, მგზავრთა და რკინიგზის მოსამსახურეთა მიერ ბუნებრივად წარმოქმნილი სიბინძურე, სასტუმროების, საცხოვრებელი სახლების, რკინიგზის ტულეტების ნარეცხი წყალი ჩაედინება არაგვში. აი, ეს ინტერნაციონალური ფეკალური არაგვი (ჩვენს მიერ „გაწმენდილი“) უნდა დალიონ ოცდამეერთე საუკუნის ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა.

ზოგმა მწერალმა იცის, რომ მე კინოფილმ „მონანიების“ ერთ-ერთი ავტორი ვარ. ამ კინოფილმის სიუჟეტი ჩემს თავში დაიბადა. დაიბადა ამ სახით: „სიცოცხლეში ნუ ჩავედნთ ისეთ სიავეს, სიკვდილის შემდეგ საკუთარი შვილი იძულებული გახდეს საფლავიდან ამოგვთხაროს“.

ნოდარ წულეისკირი  
1987 წლის 26 მაისი

\*\*\*

\*\*\*

გ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი მ ე ს ხ ე ბ ი ...წარსული და მომავალი

1944 წლის 15 ნოემბერი გლოვის დღედ შევა საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს სტალინ-ბერიას ბრძანების საფუძველზე სამცხე-ჯავახეთი საბოლოოდ დაიცალა ქართული მაჰმადიანური მოსახლეობისაგან.

ცნობილია, რომ საქართველოს კულტურის აკვანი — ისტორიული მესხეთი თურქებმა ხელთ იგდეს XVI საუკუნეში, ხოლო XVII საუკუნის პირველ ნახევარში აქ ჩამოყალიბდა თურქული პოლიტიკური ერთეული—ახალციხის საფაშო. ამ დროიდან იწყება მესხეთის აზნაურთა გამაჰმადიანება, რაც დროთა ვითარებაში სამცხე-ჯავახეთის გლეხობის ნაწილსაც შეეხო. ამისდა მიუხედავად, 1828 წლამდე, ვიდრე სამცხე-ჯავახეთს ნიკოლოზ პირველის რუსეთი დაიპყრობდა, ამ მხარის მოსახლეობაში ქართული შეგნება ჯერ კიდევ მოშლილი არ იყო.

მესხებში ქართული შეგნების მოშლა ჯერ მეფის რუსეთისა და შემდეგ კი ქართველი ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგია, რასაც მშობლიური მიწა-წყლიდან ქართველ მაჰმადიანთა გასახლება მოჰყვა.

სამცხე-ჯავახეთის დაპყრობის შემდეგ XIX საუკუნის 30-ან წლებში ნიკოლოზ I-მა ქართველი ერის დაშლის მიზნით სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებულ ქართველ აზნაურობას გაქრისტიანებაზე უარი უთხრა და თურქეთთან შეთანხმებით აიძულა ამ მხარის მოსახლენი თურქეთში გადასახლებულიყვნენ, ხოლო ქართველებისაგან დაცილლ მიწა-წყალზე თურქეთიდან სომხები გადმოსახლდა. ამის შედეგად განსაკუთრებით დაზიანდა ჯავახეთი (თანამედროვე ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონები), რომელშიც რიცხოვრივად სომხები ქართველ მაჰმადიანებზე მეტნი გახდნენ. შემდგომ ჯავახეთში ფემოკიდებულმა სომეხმა შოვინისტებმა ახალქალაქის მაზრის სომხურ მაზრებთან შეერთება მოითხოვეს, რის გამოც ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ცხადია, თუ როგორ შეიძლება შეხედოს ქართველობამ სომეხთა წადილს ჯავახეთის (ახალქალაქის მაზრის) დასასაკუთრებლად. ერეკლე მეფის პირით საქართველოს, რასაკვირველია, რუსეთთან ამისთვის არ დაუდგია 1783 წლის ხელშეკრულება, რომ მას შემდგომ, რაც მესხეთი ოსმალეთს ჩამოერთო, ეს უხსოვარი დროიდან საქართველოს კუთვნილი ქვეყანა, ქართული კულტურის ერთი ძლიერ კერათაგანი, სომხებს გადასცემოდა. სომეხთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველობას შეეძლო შეეხედნა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენისათვის: ვითარცა ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა,- და ეხლა ხომ სწორედ ასეთი ხანა დადგა,- ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომეხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა-პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს. იქითგან კი, ოსმალეთითგან, აქ დაბრუნდებიან ამ მიწა-წყლის წინანდელი პატრონები. XIX საუკუნის განმავლობაში ოსმალეთში გადასახლებულს ქართველ მაჰმადიანებს არაერთხელ უნდოდათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ჯავახეთ-მესხეთში, მამა-პაპეულ მიწა-წყალზე დასახლება, მაგრამ მათი ადგილი დაჭერილი იყო. ეხლა კი სომხები თავიანთ წინანდელ ქვეყანაში, სომხეთში წავლენ. მაშინ სამართლიანობა აღდგენილი იქნება და ორთავე ერს თავისი მამაპაპეული კერა დაუბრუნდება“ (ივ. ჯავახიშვილი: „საქ.-ს საზღ-

\*\*\*\*\*



ვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919, გვ. 44 - 45).

საუბედუროდ, როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთში ქართველ მაჰმადიანთათვის ისტორიული სამართლიანობა არა თუ არ აღდგა, არამედ 1944 წლის 15 ნოემბერს ეს ძირძველი ქართული ქვეყანა თავის მკვიდრთაგან—ქართველ მაჰმადიანთაგან საბოლოოდ დაიკალა...

სომხების მიერ ჯავახეთზე პრეტენზიების გამოცხადების შემდგომ ახლო ხანებში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო (1914 წელი) და თურქეთს, როგორც გერმანიის მოკავშირეს, მეფის რუსეთის ჯარებმა მესხეთის მხრიდანაც შეუტყეს. მეფის რუსეთის კავკასიის ხელისუფალთ, მანამდე რომელთაც ყოველი ღონე იხმარეს თურქული სკოლების გახსნით მაჰმადიანი მესხების საბოლოოდ გასათურქებლად, კვლავ მიეცათ საბაბი ქართველ მაჰმადიანთა გასახლებისა თურქეთში, ოღონდ ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას მეფის ხელისუფალნი ამჯერად ქართველებისვე ხელით აპირებდნენ. ამ მიზნით 1915 წელს კავკასიის ფრონტის რუსეთის უმაღლესმა სარდლობამ ქართველი თავადაზნაურობის ხელმძღვანელობას შესთავაზა ქართული ჯარის ნაწილების შედგენა, რომელნიც კაზაკების დახმარებით „თურქებად“ წოდებულ ქართველ მაჰმადიანებს აყრიდნენ და თურქეთში გადარეკავდნენ, დაცარიელებულ მიწებზე მცირემიწიან დასავლეთ საქართველოს გლეხობის დასახლებას პირდებოდნენ.

მეფის რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის (1801 წელი) და იმერეთის (1810 წელი) სამეფოთა დაპყრობით დასუსტებულ ქართულ საზოგადოებრივობას XIX საუკუნის 30 ან წლებში წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და, ამის გამოც, ნიკოლოზ I-ს ხელისუფლებამ ადვილად მოახერხა სამცხე-ჯავახეთიდან ქართველ მაჰმადიანთა თურქეთში გადასახლება და დაცლილ ქართულ მიწა-წყალზე სომხებისა და რუსების დასახლება. XX საუკუნის ათიან წლების დამდეგს კი საქართველოში ვითარება შეცვლილი იყო. ი. ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამაზე გაზრდილმა ქართველ მოღვაწეთა თაობამ მშვენივრად უწყობდა, რომ რუსეთის ხელისუფალნი არა ქართულ გლეხობაზე ზრუნავდნენ, არამედ ამ გეგმის განხორციელებით ქართველი ერის შემდგომ მოთხრაზე ფიქრობდნენ... მედგარი ბრძოლა გაიმართა და ქართველი მაჰმადიანებიც იმხანად გასახლებას გადაურჩნენ. აქედან ვასკვნით: 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა დასახლარებზე ქართველი გლეხების დასახლების იდეა მეფის ხელისუფ-

ვლებას ეკუთვნის და სტალინ-ბერია ამ იდეის მხოლოდ ელემენტები იყვნენ.

სამცხე-ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანებისათვის 20 - 30 -ანი წლების ქართველ ბოლშევიკთა ეროვნული პოლიტიკა, ეროვნული განვითარების თვალსაზრისით, კატასტროფას წარმოადგენდა. ათათურქის თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა ურთიერთდაახლოებამ 1920 წელს, შემდგომ კი საბჭ. რუსეთის მიერ კავკასიაში თურქეთის ინტერესების უპირატესობის აღიარებამ ახალგასაბჭოებელი საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე, სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებული ქართველობა საქართველოს მოსწყვიტა და აზერბაიჯანს დაუქვემდებარა. სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებული ქართველები ამჯერად აზერბაიჯანელებად გამოცხადდნენ და ქართული გვარები მაჰმადიანურ ყაიდაზე გადაუკეთეს, აზერბაიჯანული სკოლები და ტექნიკუმები გაუხსნეს, პედაგოგები, კულტურის მუშაკები და მთელი პარტიული აპარატი უშუალოდ აზერბაიჯანიდან იგზავნებოდა, გაზეთი, თეატრი მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე არსებობდა.

1916 წლის აღწერის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის დაახლოებით სამოცი ათასი ქართველი მაჰმადიანური მოსახლეობიდან მესამედს მშობლიური ქართული ენა უკვე დავიწყებული ჰქონდა, მეორე მესამედმა ქართული და თურქული იცოდა, ხოლო მოსახლეობის დარჩენილმა მესამედმა ქართულის გარდა სხვა ენა არ უწყოდა. აზერბაიჯანლობის ფორმით ხელოვნურად გათურქების პროცესი განსაკუთრებული ძალით მიმდინარეობდა და, ამის მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანები თავს არც თურქებად და არც აზერბაიჯანელებად არ თვლიდნენ. მართლმადიდებელი მესხი მათთვის ქართველის სინონიმი იყო, ვაკათოლიკეებული მესხი - ფრანგისა, საკუთარ თავს კი „იერლის“, ანუ თურქულად მკვიდრს, ადგილობრივს უწოდებდნენ, ხოლო ფაქტიურად ყველამ იცოდა, რომ წარმოშობით ისინი მაჰმადიანობაზე მოქცეული ქართველები იყვნენ. ეროვნული ძნელბედობის მიუხედავად, ოცდაათიან წლების მიწურულს ამ მხარის ქართველ მაჰმადიანთა ერთ ნაწილში ქართული შეგნება იღვიძებს, გაჩნდა მოთხოვნები ქართული სკოლის გახსნის შესახებ. ამავე ხანებში სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანთა ეროვნული მდგომარეობის შესწავლის მიზნით აქ საგანგებოდ მუშაობდნენ სიმონ ჯანაშია, პავლე ინგოროყვა და სერგი ჯიქია. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ მხრის ქართველ მაჰმადიანთა ქართველობისაკენ მოსაქცევად და

ორმოციანი წლების დასაწყისში მათ ქართული სკოლები გახსნეს... და იმავე ხანებში, 1944 წლის ნოემბერში გაასახლეს ~~საქართველოში~~ ~~საქართველოში~~ გასახლებულთა ზუსტი რიცხვი დღესაც ცნობილი არ არის, ვარაუდობენ 100.000 დან 140.000 -ამდე მაჰმადიან ქართველს. ამათგან მესამედი გასახლების პირველ წლებში დაიხოცა. თუ როგორ გაპარტახდა ეს მხარე ეკონომიურად, შემდეგი ციფრები მიგვითითებენ: გასახლებულ სოფლებში დღევანდელ მოსახლეთა რაოდენობა 1944 წ. გასახლებულთა მესამედს ძლივს აღწევს, სოფლის მეურნეობა კი მხოლოდ მეხუთედს იძლევა იმ წარმოებისა, რასაც ქართველი მაჰმადიანები აწარმოებდნენ გასახლებამდე. სამოცამდე სოფელი საერთოდ პარტახად დარჩა, მათ შორის ჯავახეთის მაჰმადიანთა ყველა სოფელი.

1922 - 1953 წლებში გასახლება-დახვერტების შედეგად, 1941 - 45 წლების ომში დაღუპულთა გამოკლებით, საქართველოს მოსახლეობის 10 - 12 პროცენტი არის დაღუპული. ამას დაუერთეთ მაჰმადიან ქართველთა გასახლებაც და წარმოჩნდება იმ მძიმე დემოგრაფიული ვითარების ძირები, რომელთა გამო დღეს ქართველი ერის მომავალი საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამ ჩვენი ძნელბედობის უამს ერთგულნი დავრჩეთ ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი პოლიტიკური ანდერძისა. საკუთარი თავისადმი მტრობის წყალობით ქართველთაგან ფაქტიურად დაცლილი ჯავახეთი და გაპარტახებული სამცხე დავუბრუნოთ ამ მხარის ძირძველ მკვიდრებს, აღვიჭურვოთ დიდი ილიას მცნებით და ძმურად შევიტკბოთ უკან მობრუნებული საქართველოს დაკარგული შვილები, აღვზარდოთ მაჰმადიან მესხთა შვილები ქართულ სკოლებში, აღვუდგინოთ მათ ქართული ეროვნება და გვარები.

### მ ი ნ ა წ ე რ ი :

ვინ იყო ამ ბარბაროსული საქმის ორგანიზატორი, ვის მოუვიდა თავში მესხების გასახლება - არ ვიცი, რადგან არქივები დახურულია. მახსენდება, 1979 წლის თებერვალში ე. შეგარდნაძის სახელზე შედგა წერილი მესხებისათვის საქართველოში დასახლების ნებართვის მიცემის თაობაზე. ეს წერილი არნოლდ ჩიქობავას მივუტანე ხელმოსაწერად, რომელმაც სიმონ ჯანაშიას მონაცოლი გაიხსენა: 1946 წ. ს. ჯანაშიას ი. სტალინთან შეხვედრის დროს ჩეჩნების და მესხების სამშობლოში უკან დაბრუნება უთხოვია. სტალინი განრისხებულა და უთქვამს: ჩეჩნები მოლაღატენი არიან და სამართლიანადაც და-

\*\*\*\*\*



ისაჯნენ, მესხები კი თურქობაში ჩაცვინდნენო ... ამის ბარი ამ თემაზე აღარ გაგრძელებულა!

თურქობაში ჩაცვენილნი აქარლებიც იყვნენ, მაგრამ აქარლების გარეშე გვეთქმის დღეს ქართველებს ქართველობა?! მესხებიც აქარლებივით ქართველობას დაუბრუნდებოდნენ, 1944 წლის ტრაგედია რომ არა, და ჩვენც, როგორც ერი, ამდენად არ დავცაბუნდებოდით.

აკაკი წერეთელს ახალციხეში მესხებისთვის უთქვამს: „ჩვენი ცალკეობა /მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების/, ჩვენი ორად გაყოფა – ჩვენი ბედისა და ძალის განახევრება არის, როგორც ძველად, ისე დღესაც. უთქვენოდ ჩვენი ჭირი ორკედება და ლხინი კი ნახევრდება. თუ ჩვენ ცუდ მდგომარეობაში გიგულებთ, მაშინ ჩვენი კეთილდღეობაც აღარაფრად გვიღირს და თუ თქვენც ჩვენთან ერთად ჩვენი თანამგრძობი და ერთად უღლის გამწევად გხედავთ, მაშინ ჭირსაც არ შევეუწინდებით; ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის და უჩვენობა თქვენთვის... დიახ, სულით და გულით ჩვენ ერთნი ვართ, ერთს ბედს ქვეშ უნდა ვიყოთ ყოველთვის“. ჭეშმარიტად თქმულია და ჩვენც შევისმინოთ აკაკის ეს სიტყვები!

გ უ რ ა მ მ ა მ უ ლ ი ა

/ი. ჭ.-ის საზოგადოების „მ ო ა მ ბ ე“ №45 მარტი-აპრილი 1988/

\*\*\*

ბ ე რ ლ ი ნ ი ს კ ე დ ე ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, აწყურთან, ბერლინის კედელივით აღმართულა საზღვრისპირა შლაგბაუმი, რომელიც აცალკევებს სამცხე-ჯავახეთს, ამ ძველთაძველს ქართულ მიწას, საქართველოს თითქმის მემშვიდელს, დანარჩენი იბერიისგან. გულისგამპობი ეკალივით ამოზიდულა იგი ღვიძლ ძმათა შორის და წარსულ საუკუნეთათვის უჩვეულო წესით მათ ურთიერთისაგან გაუცხოებას ლამობს. „უძველესი იგი ქვეყანა ივერიისა–წერდა ოდესღაც თეიმურაზ ბატონიშვილი მარი ბროსეს – ვერცა ერთითა ნაწილითა კერძოისა თვისისათა ისახელოვნების, ვითარცა სამთავროითა ამით ზემოისა ქართლითა, რომელ არს სამცხე-საათაბაგო, რომლისაცა შესაძლებელ არს თქმად: ძირი და დასაბამთაგანი, საფუძველი ქვეყანისა ივერიისა და ერთა ქართლოსიანთა წყაროებს მუნით“.

როგორც ვხედავთ, ამ შავბედით შლაგბაუმს თავად საქართველოს ძირი ძირთაგანი, ქართლი გაუჩენია ორად და ქვემო ქართლისათ-



ვის მოუცილებია ზემო, დასაბამი და საფუძველი იბერთა მემკვიდრისა, დიახ, კემშარიტად მოწყვეტილია მესხეთ-ჯავახეთი ჩვენგან, რამეთუ იქ ჩასასვლელად ქართველი კაცისთვის ვიზა დაუწესებიათ: ან ვინმე უნდა მოუტკვდეს მას, ან ქორწილში უნდა დაბატიყონ, ან თუ ქლეტი დაემართა, მარტოოდენ საგზურით შეძლებს აბასთუმნისაკენ გამგზავრებას. ქართველთა ხედვის არედან თითქოს გასულია კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობით სრულიად საქართველოს ეს თითქმის უპირველესი მხარე, ქართველი კაცისათვის ამჟამად უფრო მითად და ლეგენდად ქცეული, ვიდრე რეალურად ხელშესახები. ვით არ განაცოცხლოს წარსულის ზმანება ციკლოპური აღნაგობის თმოგვმა და ხერთვისმა, კოხტას თავზე ფიცვერცხლნაჰამა რაინდებმა :


ლაგამის კვნეტა, ცეცხლოვანი ნესტო ჰუნეთა,  
 ჟამთ ასპარეზზე გაჰქენება საუკუნეთა ...  
 კოხტისა თავო, ცადაზიდულ დევთა მაყარო,  
 ჭმუნვად გებული რაინდების გზათშესაყარო;  
 აცერებულო, ცოდვიანო, დალატიანო,  
 ხამს დამაფინო შენი კალთა, ნუღარ გვიანობ;  
 მარქვი, სად მექმნენ ძმანი ყელ-ყელ გადაჰდობილნი,  
 სადა წევს ცოტნე, გუამის გუემით არ დამნდობელი,  
 ნისლთ საბუღარო, ზეაღმტაცი ჰვრეტის საგანო,  
 მოგეახლები, ვით შეთქმული იმათთაგანი,  
 რათა შემიტკბო მარტოსული, მიუსაფარი  
 და განმიმართლო გარდასული დროის ზღაპარი.  
 დავლახოთ ჟამნი, ტაიჭების გავხედნოთ რემა,  
 მზგეადასული ჰაბუკების გავიყოთ გვემა.

ჯერ კიდევ ანტიური ხანის ისტორიკოსებთან მოიხსენიება მესხთა ქართველური ტომი, პითაგორას ერთ-ერთ მასწავლებლად შერაცხული; არაბთა შემოსევის შემდეგ ამ დალოცვილმა კუთხემ კვლავ ჩამოართვა ქართლს წინამძღოლობა საქართველოსი. ვაჟკაცობაში უპირატესობით გამორჩეული მესხები, საქართველოს ერთიანობის ჟამსაც, დავითისა და თამარის ხანაში, პირველობას არავის უთმობდნენ და მუდამ ქართველთა ლაშქრის ავანგარდს წარმოადგენდნენ, სპასილარს თურმე უმთავრესად მესხთაგან ირჩევდნენ. იგავმიუწვდენელია რელიგიისა და კულტურის აღმავლობა ჟამსა მესხთა პირველობისასა. მონასტრებით დაიქსელა იმჟამად სამხრეთ საქართველო. ათცამეტ ასურელ მამათა გეზით იარეს სასწაულმომქმედმა სამცხელმა მამე-

\*\*\*\*\*

ბმა: მიქაელ პარეხელმა, გრიგოლ ხანძთელმა, საბა იმსხველიძემ, სერაპიონ ზარზმელმა და სხვებმა. მათ ნაკვალევზე გაბრწყინდა რუსთაველის, სარგის თმოგველის, იოანე შავთელის, გიორგი მერჩულეს, ბექა და ბეშქენ ოპიზარების სახელი. შემთხვევითი არ გახლავთ ის მოსაზრებაც, რომ ცნობილი გურული საგალობლები მესხური წარმოშობისაა და მესხეთიდან იქნა შეტანილი გურიაში თურქეთის ექსპანსიისას სამხრეთ საქართველოში. იმეამად მრავალი მესხი გადასახლდა გურიაში, ხოლო ზარზმის მონასტრის საგანძურითლიანად შემომქმედის ტაძარში იქნა გადატანილი. მესხეთის მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ ძალედვით ქართველებს წონასწორობის დამყარება სულიერსა და ბუნებისმიერ საწყისებს, გონებრივსა და ფიზიკურ ცხოვრებას შორის, რაც გარე სამყაროსადმი მათი უმართებულესი მიმართებისათვის ღალადებდა. შემთხვევითი როდია, რომ ყველაზე მაღალი სულიერების პერიოდი საქართველოში, ეპოქა თამარის და რუსთაველისა, ქართველი კაცის კალამთან, ლითონთან და ქვასთან ჭიდილის ეს უთვალსაჩინოესი პერიოდი, უვარგისი ადგილების სავარგულად ქცევის გასაოცარი მაგალითებით ხასიათდება. აქ კვლავ მესხეთმა იმარჯვა და ერთმა და იმავე გენიამ აღმოაცენა როგორც დიდებული ვარძია, ღვთივმშვენიერი თამარის მაღალი აზრით, ლოცვითა და ცრემლით გაკეთილშობილებული, ასევე სავანახე ტერრასები მესხეთის შიშველ დამრეცებზე, ქართული მეურნეობის ეს ფანტასტიური მოვლენა. ქართველმა გლეხობამ მესხეთში ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში დაგვანახა, თუ რა არის ნამდვილი გეორგიანობა, რომ მარტივი ადამიანური ქველმოქმედებისა, გარემოსადმი ფაუსტური მიმართების არსი, ბოროტების სიკეთედ გადაქცევასა და ძნელად გარდასაქმნელის გარდაქმნაში მდგომარეობს. იქ ჯერ კიდევ გერმანული ანდაზის გაჩენამდე იცოდნენ, რომ ცული მხოლოდ მიწათმომქმედი შეიძლება იყოს და არა მიწა.

და ეს კურთხეული მზარე ამეამად თითქო ცხრა მთის იქით გადაკარგულიყოს, თითქო კვლავ თურქებს ეპყრათ ხელთ, ან მარტოდენ რუკაზე არსებობდეს ჩვენთვის. ქართველ კაცს არ ძალუძს იქ ჩასვლა ზემოაღნიშნული საშვის გარეშე, მაშინ, როდესაც სომხეთიდან, ლენინაკანის გზით, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თავისუფლად შეუძლიათ სამცხე-საათაბაგოში გამგზავრება. თუ ეს ასეა, მაშინ ზემოხსენებული შლაგბაუმი სულ სხვა დანიშნულებას ასრუ-



\*\*\*\*\*

ლებს, ვიდრე საზღვრისპირეთში უსაფრთხოების ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის, ამ მხარის იზოლირებით იგი ხელს უშლის მისი მოსახლეობის ნორმალურ განვითარებას, აგრეთვე ქვეშაირიტად ქართულ ტერიტორიაზე დემოგრაფიული წონასწორობის აღდგენას ქართველების სასარგებლოდ, ჯერ თურქების, ხოლო შემდგომში რუსეთის ხელისუფალთა წინასწარგანზრახული მეცადინეობით რომ იქნა დარღვეული. სამცხე-ჯავახეთში თითქმის სამასწლიანი ბატონობისას, ქართველთა ძლიერების შესასუსტებლად თურქებმა მრავალი ოჯახი აპყარეს ახალციხიდან და შუა თურქეთში მიმოფანტეს, ხოლო მათ ნაცვლად სომხები ჩაასახლეს. დემოგრაფიული აქრელება დაპყრობილი ხალხებისა ნიადაგ ყოფილა იმპერიების მიერ. ერთა დასუსტებისა და დამორჩილების უმთავრესი საშუალება, რასაც რუსეთის იმპერია კიდევ უფრო მეტის წარმატებით ახორციელებდა. მთავარ-მმართველის, პასკევიჩის ხელით მან მესხეთ-ჯავახეთიდან აპყარა და შუა თურქეთში გადაასახლა მრავალი გამუსულმანებული ქართველი და მათ ადგილზე თურქეთში მცხოვრები 30.000 სომეხი ჩაასახლა, რითაც ფრიად დაარღვია დემოგრაფიული წონასწორობა მოცემულ რეგიონში. რას წარმოადგენდა ასეთი მოქმედება, ისე ვით იმავე რუსთავან აფხაზეთის დემოგრაფიული აქრელება და მარნეულ-ბოლნისის მხარის აზერბაიჯანიზაცია, თუ არა წმინდაწყლის წინასწარგანზრახულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რამეთუ აღრევისა და შერწყმის მიზნით დემოგრაფიული აქრელება ასუსტებდა ეროვნულ მთლიანობას და განუსაზღვრელად ზრდიდა აღნიშნულ ადგილებში რუსული ენის პრიორიტეტს. ესლა აკლდათ სამცხე-საათაბაგოს მკვიდრთ, რომელთაც ფორტუნის წყალობა XVI საუკუნიდან მძიმე განსაცდელად შეეცვალათ და რომელთა თავზეც ისტორიული ძნელბედობისას არაერთგზის დატრიალებულა წისქვილის დღაბი.

შესაძლოა, ჩვენს საყვედურზე მავანმა რუსმა ამგვარი პრეტენზია წამოგვიყენოს: „სად დაგიკარგავთ ქართველებს ცოდვა-მადლისა და ობიექტიურობის გრძნობა? განა ჩვენს გარეშე როდისმე დადაიბრუნებდით სამასი წლის მანძილზე თურქთაგან მიტაცებულ მესხეთ-ჯავახეთსა და აპყარას?“ დაბრუნებას რად უწოდებთ, ვუპასუხებდით ჩვენ, -თუ კი შემოერთების მოტივი გახლდათ არა საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის გაფართოება და ამადაც, ზემოთქმულისა არ იყოს, ყმადნაფიცოვით მოექცეით ადგილობრივ



მოსახლეობას და საქმენი იმა მხარისა, მის საზიანოთ წარმოართო? მიუხედავად თურქების სამასწლოვანი ბატონობისა, როგორც თენიშურაზ ბატონიშვილი ბრძანებს, იმეამად იმ მხარის გამუსულმანებული მესხები წმინდა ქართულით მეტყველებდნენ. ნაცვლად იმისა, რომ თქვენ, ქრისტიანული ქვეყნის შვილებს, მესხების ხელახლად გაქრისტიანებაზე გეზრუნათ, რაშიც უზარმაზარ როლს შეასრულებდა მათთვის ქართული სკოლების გახსნა, ცხრაასიანი წლების დასაწყისში თურქული სკოლები გაუხსენით მათ, ხოლო გასაბჭოების შემდეგ, 1923 წელს საბჭ. ხელისუფლებამ გაუხსნა აზერბაიჯანული სკოლები და თითქმის ერთდროულად აზერბაიჯანლებად ჩაწერა ოდესღაც ყველაზე უქართველეს ქართველთა ნაშიერი. სარწმუნოების დაკარგვის გარდა, შემდგომად ამისა, ქართულ ენასაც უცხო ექმნენ ისინი და რაც თურქებმა სამას წლის მანძილზე ვერ მოახერხეს, ერთი საუკუნის განმავლობაში შესძლო გასაბჭოებამდელმა და უფრო მეტი წარმატებით გასაბჭოების შემდგომმა რუსეთმა.

მაგრამ მწვერვალი ამ კუთხის ტრაგედიისა, თვით თურქთა ბატონობის უამსაც არ ნახული და არ სმენილი, 140.000 გამუსულმანებული მესხის ერთდროული გასახლება გახლათ შუა აზიაში 1944 წელს, სრულიად უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ. შუა აზიის მზით გადარუჯული ტრამალები საქართველოსათვის ახალ ფერეიდნად იქცა. ეს უბედურებაც არ აკმარეს მათ, პასპორტში ქართველად აღნიშვნის უფლებაც კი აღუკვეთეს და დღემდე აზერბაიჯანლებად, თურქმენებად თუ ყირგიზებად აღინიშნებიან, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეროვნებასთან ერთად ქართული გვარებიც წაართვეს გადასახლებულებს და თურქული წესით მამის ან პაპის სახელის მიხედვით დაუწესეს ახალი გვარები.

ებრაელებსაც არ გადახდენიათ ამგვარი უბედურება მათი სისხლიანი ისტორიის მანძილზე: დიასპორა, მეფის რუსეთის მხეცური „პოგრომები“, გერმანული გაზის საკნები თუ საბჭოური პერიოდის ანტისემიტიზმი განიცადეს, მაგრამ ეროვნება ჯერ არავის წაურთმევია მათთვის. ამგვარი თვითნებობა არც ყირიმელი თათრების, არც ჩეჩნების მიმართ ჩაუდენიათ. მსოფლიო ისტორიაში ეს მართლაც უპრეცედენტო ამბავია! ქართველთა ძალით გამამაჰმადიანებელი თურქებიც კი არ კადრულობდნენ ეროვნულობის ესოდენ ხელყოფას. ისინი დღესაც გურჯებს უწოდებენ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს. მართლაცადა, ოდისეად აქციეს ამ მრავალტანჯული ხალხის

რეპატრიაციის საკითხი. სტამბოლში გაყიდულ-გადაკარგული ქართული ველების გამოსყიდვა არ გაჭირდებოდა ისე, როგორც მთლიანად ბლოში დაბრუნება გაძნელდა. ამ თვალსაზრისით ბოლო ათწლეულის მანძილზე თუმცა კი დაიძრა ყინული, მაგრამ ტემპები ამ პროცესისა იმდენად დუნეა, რომ ოდნავ თუ ცილდება ნულოვან წერტილს.

მესხეთი, სამხრეთელი ფორპოსტი საქართველოსი, პირველი დებულობდა თურქების შემოტევებს. ამჟამად ფასდაუდებელია მისთა მკვიდრთა დეაწლი სხვა კუთხეთა სიწმინდის შენარჩუნების საქმეში. თურანული წყვედიადისაგან იბერიის დამცველმა, თავადვე იწვინა ამ წყვედიადის შხამი და სამსალა, რათა ერთიანი საქართველოსათვის აეცილებინა იგი; რჯული დაკარგა, მაგრამ საქართველოს ქრისტეს მცნება შემოუნახა. ამჟამად უსაზღვროა დანარჩენი საქართველოს ვალი შუა აზიაში გადასახლებული მესხების წინაშე. მეტის ყურადღებით, ტაქტიკითა და სიყვარულით უნდა მივუდგეთ მესხთა საკითხს და მისგან განუშორებელ სამცხე-ჯავახეთის მხარეს, რომლის მიტაცებისა და გადაგვარებისათვის იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან ანტიქართული ძალები. ამის გამოვლინებას დღეისათვის ზემოაღნიშნული საზღვრისპირა შლაგბაუმი წარმოადგენს.

საკითხავია, რას მიაღწიეს იმათ, ვინც საბჭოეთის საზღვრებს რკინის ფარდით რაზავდა, ვინც ფრთეული აზრების წინააღმდეგ შიშის გალავანს აგებდა, ხოლო ადამიანის გულისნადებსა, სიტყვასა და საქმეს შორის გადაულახავი ჯებირის აღმართვას და ამით მისი კაცური მთლიანობის გახლეჩვასა და ხელყოფას ლამობდა? მათ თუმცა მრავალთა უბრალო სისხლი დააქციეს, მრავალი ტანჯეს და გვემეს, მაგრამ უკვდავი და მარადიული სულის სწრაფვას, მის თავისუფლებისმოყვარეობას ვერაფერი დააკლეს.

დღესაც, რკინის იმ ფარდის შემაზრზენ სიმბოლოდ და გახსენებად დგას შლაგბაუმი პირქუში, როგორც სახრჩობელა უმზეო ტაროსში, ბერლინის კედელივით აღმართული აწყურთან, საზღვრიდან ორმოცდაათამდე კილომეტრი დაშორებით /მაშინ, როდესაც სასაზღვრე ზოლის ნორმა 10 - 15 კილომეტრია/. იგი აშკარა გამოხატულებაა იმისა, თუ როგორ ეწირება ჩვენთვის ერთობ სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები საკავშირო სტრატეგიასა და გეგმებს. ეს შლაგბაუმი აწყურთან მხოლოდ მესხთა გადასახლების შემდეგ გადმოიტანეს. დგას იგი, როგორც მოწმე დიდი ქართული დიასპორისა, წყლულად დაჩნევია საქართველოს ხანდაზ-

მულ მიწას და უცდის გულანთებული მამულიშვილების მცდელობას, რათა ვარძიის იქით გადაისროლონ იგი, ხეითი საქართველოს შემოუშვებინონ და დაუბრუნონ სამშობლო მესხებს.

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა

/ი. ჭ. -ის სახ. „მოამბე“ № 4,5; მარტი-აპრილი 1988 წელი/

\*\*\*

\*\*\*

1988 წლის 24 თებერვალი

1988 წლის 24 თებერვალს თბილისში, სახ. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში, შედგა მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც სტუდენტები, ასევე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. მიტინგი განაპირობა იმ მძიმე და სავალალო მდგომარეობამ, რომელიც დავით გარეჯის უდაბნოში შეიქმნა სამხედრო პოლიგონის იქ არსებობის გამო.

ყველასათვის ცნობილია ის უნიკალური სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მდებარეობს დავით-გარეჯის უდაბნოში. თავის დროს ამ ადგილებში იყო ქრისტიანული საქართველოს ერთ-ერთი რელიგიური და სულიერი ცენტრი, სადაც მოღვაწეობდნენ და ღვთისა და ერის სადიდებლად ლოცვებს აღავლენდნენ ღმრთითშემოსილი ქრისტესმიერი წმიდა მამები, ხოლო დღეისათვის დადუმებული და მამათაგან მიტოვებული ეკლესია-მონასტრები, უტყვი მოწმენი არიან გარდასულ დღეთა სულიერი დიდებისა და ნათლად წარმოაჩენენ იმ დიდ ქრისტიანულ კულტურას, რომელიც ჰყვარდა შუა საუკუნეების საქართველოში.

ომის შემდგომ დავით-გარეჯის უდაბნოში ამოქმედდა სამხედრო პოლიგონი, სადაც დღემდე სისტემატიურად მიმდინარეობს სატანკო და საარტილერიო ნაწილების წვრთნა და მომზადება, რამაც სასტიკად დააზიანა დავით გარეჯის მონასტრები და სრული განადგურების რეალური საფრთხის წინაშე დააყენა; ჩამოქცეულია კედლები ბერთუბნის მღვიმეებში, დაზიანებულია შიგადაბაზები, დამახინჯებულია ფრესკები, ერთი სიტყვით, ის, რაც ვადაურჩა საუკუნეებს, დღეს ჩვენს თვალწინ ნადგურდება და ქართველი ერი რჩება თავისი ნაციონალური კულტურის ერთი უმნიშვნელოვანესი კერის იავარყოფის მოწმედ.

\*\*\*\*\*



დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ბედით ბევრი დაინტერესდა, სათანადო ინსტაციებში არაერთი განცხადება დაწერილი გაიგზავნა; მოითხოვდნენ სამხედრო პოლიგონის გადატანას. **1987 წლის 18 ივლისს** ვაზ. „კომუნისტში“ დაიბეჭდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის ირაკლი ციციშვილის წერილი, სადაც ნათქვამი იყო: „ამერიიდან კლდეში ნაკვეთ საოცრებას არაფერი ემუქრება“. დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ბედ-იღბლით დაინტერესებულ საზოგადოებას იმედი მიეცა, ყველამ იფიქრა, რომ საქმეს ეშველა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა დავით ტურაშვილმა, რომელიც სისტემატურად ნახულობს სამონასტრო კომპლექსს, საზოგადოებას აცნობა სამხედრო პოლიგონის კვლავ აქტიური მოქმედების შესახებ და თან ჭურვები ჩამოიტანა, რომლითაც მოფენილი იყო სამონასტრო კომპლექსის სანახები. თავისი წერილში: „წითელი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, იგი წერდა: „**19** ოქტომბრის ღამეს კი საკუთარი თვალთ ვიხილე დანაშაული, რომელსაც ჩვენი შვილები არ გვაბატებენ, რომელსაც დანაშაულსაც ვერ ვუწოდებთ და ნებისმიერი ბოროტების საზღვრებს სცილდება. ალბათ ბევრისათვის დაუჯერებელია, რომ ნაკრძალის ტერიტორიაზე, სადაც ერთი გასროლისათვის მონადირე ისჯება, არავის სთხოვენ პასუხს იმ აფეთქებების გამო, ძლივს გადარჩენილ ძეგლებს საბოლოო განადგურებას რომ უქადის“.

ისევ გაიგზავნა მოთხოვნები სათანადო ინსტაციებში, მაგრამ ვითარება არ შეცვლილა. მაშინ უნივერსიტეტის სტუდენტებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ მიტინგი და საქმისათვის, რომელსაც საზოგადოებამ წერილებით ვერ უშველა, ამ გზით მიექციათ მთავრობის ყურადღება. მიტინგი გაიმართა ა. წ. **24** თებერვალს უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ეზოში. მიტინგი დაიწყო თორმეტ საათზე. სიტყვით გამოვიდა დავით ტურაშვილი, რომელმაც დამსწრეთ დაწვრილებით გააცნო დავით-გარეჯის უდაბნოში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. მან ხალხს უნიკალური ძეგლის გადასარჩენად მოუწოდა. დავით ტურაშვილი და თედო ისაკაძე/ფილოლოგიის ფაკულტეტის **IV** კურსის სტუდენტი/ ვითარების გამოსარკვევად ცენტ. კომიტეტში გამოიძახეს. მიტინგი დროებით დაიშალა და **16** საათის-

ვის კვლავ განახლდა. ცეკადან დაბრუნებულმა სტუდენტებმა ლეზიკა შეხვდნენ საქ. კპკკ მდივანს გ. ენუქიძეს, აცნობეს ბილთ სამხედრო პოლიგონის სამი კილომეტრის მანძილზე გადატანის დაპირების შესახებ. ამ ცნობამ შეკრებილი საზოგადოება არ დააკმაყოფილა. იქვე, სახელდახელოდ, შედგა პეტიციის ტექსტი, რომელშიც წამოყენებული იყო მოთხოვნა სამხედრო პოლიგონის დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიიდან გადატანაზე. პეტიციას ხელი მოაწერა ხუთასამდე ადამიანი. მიტინგმა დაახლოებით სამ საათს გასტანა, ჩაიარა მშვიდობიან, მაგრამ მღელვარე ვითარებაში.

მესამე დღეს მთელმა საქართველომ ტელევიზიით შეიტყო ცნობა, დავით-გარეჯის მუზეუმ ნაკრძალის ტერიტორიიდან სამხედრო პოლიგონის გადატანის თაობაზე. დიდი იყო საზოგადოების სიხარული. მაგრამ სულ ახლახან მოხდა დაუჯერებელი ამბავი. 1988 წლის 18 მარტს დავით ტურაშვილი და თედო ისაკაძე თავად დარწმუნდნენ, რომ დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე კვლავ მიმდინარეობს სამხედრო ნაწილების წვრთნა. სამხედრო პირთა თავგასულობა იქამდე მივიდა, რომ ბერების საძვალეთაგან ძვლები ამოჰყარეს და მავთულებზე გააბეს. სამხედრო რაზმის ამ ვანდალურ ქმედებას წინააღმდეგობა გაუწია მუზეუმის დირექტორმა ილი ქვლივიძემ.

დავით გარეჯის უნიკალური სამონასტრო კომპლექსი კვლავ განსაცდელშია. განადგურება ემუქრება ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქრისტიანული კულტურის უშესანიშნავეს ძეგლს.

ი რ ა კ ლ ი წ ე რ ე თ ე ლ ი

/გადმომგებელი „მთაბზე“-ს იგივე ნომრიდან, რაც წინა/  
 \*\*\* \*\*

**21 -22 ს ე ქ ტ ე მ ბ რ ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ა ც ი ე ბ ი**  
**თ ბ ი ლ ი ს შ ი**

„ახალი მანიფესტაციები სომხეთსა და საქართველოში“ ასეთი სათაურით გამოქვეყნდა დიდ ფრანგულ გაზეთ „ლე მონდში“, 23 სექტემბერს, „საფრანგეთის პრესის სააგენტოს“ უკანასკნელი დეპეშა მოსკოვიდან, რომელიც იუწყება ნაციონალისტურ გამოსვლებს 21 და 22 სექტემბერს საქართველოსა და სომხეთის დედა-

ქალაქებში. ამ ცნობაში კერძოდ საქართველოს შესახებ მწიფდელი გია ნათქვამი: „ნაციონალისტური ხასიათის საპროტესტო მანიფესტაციები ჩატარდა აგრეთვე თბილისში ოთხშაბათსა და ხუთშაბათს „ამერიკა-საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელთა IV კონფერენციასთან“ დაკავშირებით, რომელიც ამჟამად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქში მიმდინარეობს, სააგენტოს განუცხადეს მანიფესტაციების ორგანიზატორებმა.

ათი დღის წინ ხელისუფლების მიერ აკრძალული ეს მანიფესტაციები დასაწყისში გაფანტული იქნა პოლიციის მიერ, მაგრამ საბოლოოდ ხუთშაბათ საღამოს ათი ათასმა კაცმა შეძლო თავი მოეყარა უნივერსიტეტის წინ, სადაც გამოცხადებულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ დაჰპირდნენ მათი ზოგიერთი მოთხოვნების დაკმაყოფილებათ, — განაცხადა ჭ-ნ თამრიკო ჩხეიძემ, მოძრაობის ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა.“

„მანიფესტანტთა მოთხოვნებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასროლო პოლიგონის გაუქმებას, ისტორიული ძეგლის მახლობლად, რომელიც მას აზიანებს.

ოთხშაბათს, ჭ-ნი ჩხეიძე და ბ-ნი ზურაბ ჭავჭავაძე, მეორე ხელმძღვანელი საზოგადოებისა, რომელიც გარდაქმნის პოლიტიკის წყალობით 1987 წლის დეკემბერში შეიქმნა, — დააკავა პოლიციამ, როცა ისინი ცდილობდნენ შესულიყვნენ დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა ამერიკა-საბჭოთა წარმომადგენლების შეხვედრა. მაშინ მანიფესტაციები დაიწყო ქუჩებში. ორმოციოდე მათ შორის იქნენ დაჭერილნი. ხუთმა ათასმა პირმა თავი მოიყარა შემდეგ უნივერსიტეტის პირდაპირ და მათ მიაღწიეს დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. ხელისუფლების ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც მიტინგზე გამოცხადა, მანიფესტანტებს დაჰპირდა, რომ თბილისის ერთ ეკლესიას, რომელშიაც აბანოა, დაუბრუნდება ეკლესიასო, — ჭ-ნ ჩხეიძის მიხედვით.“ (იხ. *Le Monde. Dimanche 25- Lundi 26 Septembr 1988* )

როგორც მკითხველიც შენიშავს, საფრანგეთის პრესის სააგენტოს ცნობა მეტისმეტი სქემატიურია, მოსკოვში, საიდანაც ეს ცნობები მოდის ქართული პატრიოტული მანიფესტაციები მაინცდამაინც გულზე არ ახატიათ. შემდეგ სხვა გზებით მიღებული ცნობებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა რეაქცია თბილისის საპროტესტო მანიფესტაციების მიმართ უაღრესად უხეში და სასტიკი იყო. ასე მაგალითად, ერთი ამერიკელი წარმომადგენლის თქმით: „პოლიციის მიერ უხეშად გაფანტულმა მანიფესტანტებმა



მეცნიერებათა აკადემიის შენობის წინ მოახერხეს შეჯგუფება და ერთად მიწაზე მოკალათება. მალე აქაც დაესხა პოლიციის წარმომადგენლებმა ხელით მიწაზე თრევა, ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ზვიად გამსახურდიას კოსტუმი შემოახიეს ტანზე. ერთი საათის შემდეგ პოლიციამ, როგორც იქნა გაფანტა მანიფესტანტები, მაგრამ მათ მალე ისევ თავი მოიყარეს, ამჟამად კინოს სახლთან, სადაც ამერიკა-საბჭოების წარმომადგენელთა სხდომა მიმდინარეობდა, აქედანაც მილიციისა და კაგებეს სპეციალურმა ნაწილებმა დაუზოგავი იერიშით გაჰფანტეს. აქედან დევნილმა მანიფესტანტებმა კი გეზი აიღეს უნივერსიტეტისაკენ. მეორე ამერიკელი წარმომადგენელი მოწმე იყო იმისა, თუ როგორი სიუხეშით მიათრევდნენ პოლიციელები ზვიად გამსახურდიას უნივერსიტეტის მახლობლად მდებარე კომისარიატში.

ამერიკის ყოფილმა კორესპონდენტმა ჰენრიკ სმიტმა და ამერიკის ელჩის ყოფილმა მოადგილემ მოსკოვში რიჩარდ კომბმა დაამოწმეს, რომ მათ საკუთარი თვალით ნახეს, თუ როგორ ავლებდნენ პოლიციელები ქალებს თმებში ხელებს და როგორ მიათრევდნენ პოლიციის ავტომანქანებისაკენ.

ამერიკელ დელეგატების განცხადებით: დემონსტრანტები ანტისაბჭოურად იყვნენ განწყობილნი, მოითხოვდნენ მოსკოვისაგან ეროვნული ენის, ისტორიის, ბუნების და კულტურის ძეგლთა პატივისცემასა და დაცვას. ზოგიერთები აყენებდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოყოფის მოთხოვნილებასაც. დემონსტრანტები მთავარ ყურადღებას ამახვილებდნენ ნგრევის პირამდე მისულ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საკითხზე.

გუშაგი

\*\*\*

ი. კ. —ის საზოგადოების მიმართვა და ზოგიერთი განცხადება  
 (იგივე „მოამბე“ №4,5-დან გადმოხეკილი)

საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს ჯ. ი. პატიაშვილს

1801 წელს მეფის რუსეთის მიერ ანექსირებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველო, მოგვიანებით კი დასავლეთ საქართველოც. ქართული სახელმწიფოებრივობა გაუქმებულ იქნა. ცხადია, ქართველი ერი ვერ შეურიგდებოდა თავისი არსებობის საფუძვლის— ქართული სახელმწიფოებრივობის გაუქმებას და სრულიად საქართველო მოიცვა ერ-

\*\*\*\*\*

ოგნულ-გამანათვისებელმა მოძრაობამ. ამ ბრძოლას შეეწირა ელ-  
ია ჭავჭავაძე!

რუსეთის იმპერიის დამხობამ შესაძლებელ გახადა საქართვე-  
ლის სახელმწიფოებრიობის აღდგენა. 1918 წლის 26 მაისს საქართვე-  
ლოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა. ასე მოელო ბო-  
ლო ქართველი ერის 117 წლოვან ტანჯვას ყველაზე შოვინისტურ  
იმპერიაში. საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გა-  
ხდა. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმაც სცნო საქართველოს  
დემოკრატიული რესპუბლიკა.

1921 წლის შემდეგაც, რამდენიმე წლის მანძილზე, 26 მაისი  
ოფიციალურად აღინიშნებოდა, როგორც ეროვნული დღესასწაული.  
ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა მოგმართავთ წინადა-  
დებით—საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე—26 მაი-  
სი — გამოცხადდეს ოფიციალურ ეროვნულ დღესასწაულად.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა

\*\*\*

რეპრესია მ. კოსტავას მიმართ

პირველი მარტიდან ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის  
წევრი მერაბ კოსტავა აიძულეს დაეტოვებია სამსახური. პოლიტ-  
პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ იგი მუშაობდა ჟურნალში  
„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, საიდანაც მისი ნე-  
ბის გარეშე გადაიყვანეს სხვა დაწესებულებაში. შემდეგ კი იქ-  
იდანაც აიძულეს წასვლა. ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ მისი  
მონაწილეობა მოსკოვის ადამიანის უფლებათა დაცვის სემინარში  
და ერევანში ჩატარებულ პოლიტპატიმართა დაცვის ეროვნებათშო-  
რისო კომიტეტის სხდომაზე დასწრება.

\*\*\*

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება

ამა წლის 28 მარტს, დღის ოთხ საათზე, თბილისში ილია ჭავ-  
ჭავაძის პროსპექტზე უცნობი პირები დახვდნენ ჩვენი საზოგადო-  
ების გამგეობის წევრს ირაკლი წერეთელს, ძალით შეიყვანეს №50  
სახლის სადარბაზოში და სცემეს. ამის შემდეგ „ხულიგნები“ მიიმა-  
ლნენ. ახლო მდებარე აფთიაქის თანამშრომლებმა მოგვაწოდეს  
„ხულიგნების“ ავტომანქანის ნომერი და სერია, რომელიც ფიქტი-

\*\*\*\*\*

ური აღმოჩნდა /ამ ნომრის, სერიის, ფერისა და მარკის ავტომატური  
ქანა „ე ი გ უ ლ ი“ ირიცხება ორი წლის წინ ავტოკატასტროფაში  
დაღუპულ მოქალაქის სახელზე/. აღძრულია სისხლის სამართლის  
საქმე, მაგრამ ჯერ-ჯერობით შედეგი არ ჩანს. აღნიშნული ინცი-  
დენტი დაემთხვა **14** აპრილის წინა პერიოდთან დაკავშირებულ  
სხვა მსგავს შემთხვევებს..

\*\*\*

ამა წლის ორ აპრილს მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს  
თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი  
დათო ტურიაშვილი. მას დაემუქრენ: „კბილებს ჩაგამტვრევთ, თუ არ  
გაჩერდებით“. ასევე ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ რამ-  
დენიმე სტუდენტ გოგონასაც, რის გამო, უნივერსიტეტის პირველი  
კორპუსის **93**-ე აუდიტორიაში, სტუდენტებმა მიტინგი გამართეს  
და შინაგან საქმეთა სამინისტროს ამგვარი თვითნებობის შეწყვე-  
ტა მოსთხოვეს.

/იხ. ი. ჭ. -ის საზ.-ის „მომბე“ №4,5; მარტი-აპრილი 1988 /

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

**რ ე ი გ ა ნ ი ს ვ ი ზ ი ტ ი ს ა ბ ჭ . კ ა ვ შ ი რ შ ი**

„სპასო ჰაუს“ – ამერიკის საელჩო, მოსკოვი, **1988 წ. 30** მაისი.  
პრეზიდენტმა რეიგანმა მიიღო საბჭ. კავშირის ეროვნულ-სამართალ-  
დაცვითი მოძრაობის აქტივისტები ამერიკის საელჩოში. საქართვე-  
ლოს ჰელსინკის ჯგუფსა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას-**IV** და-  
სი წარმოადგენდა ზვიად გამსახურდია, რომელმაც სპეციალური  
წერილიც კი გადასცა პრეზიდენტს ამ მიღებაზე. წერილში, რომელ-  
საც გამსახურდიას გარდა ხელს აწერენ მერაბ კოსტავა და გიო-  
რგი ჭანტურია, საუბარი არის საქართველოს იურიდიულ-სახელმწი-  
ფოებრივი სტატუსის აღდგენის აუცილებლობის შესახებ.

**პ რ ე ზ . რ ე ი გ ა ნ ი ს 'ს ი ტ ვ ა**

ყველას მაღლობას მოგახსენებთ აქ მოზრძანებისათვის, კეთილი  
იყოს თქვენი ფეხი „სპასო ჰაუსში“. ახლახანს დამთავრებული დი-  
სკუსიის შემდეგ, საჭიროა აღვნიშნო, თუ რატომ მინდოდა თქვენ-  
თან შეხვედრა. მე მსურდა მეცნობებინა თქვენთვის, რომ ამერი-  
კაში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, თქვენ გყავთ ხალხი,

\*\*\*\*\*

რომელიც თქვენზე ლოცულობს და მხარს ვიკავებს. მე მსურდა თქვენთვის ამ მხარდაჭერის გადმოცემა, რათა თქვენ უკვე დასცეთ იგი. ყველამ ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე—ურალიდან კამჩატკამდე და ლაბტევის ზღვიდან კასპიის ზღვამდე— ყველა აქტივისტმა სამართალდაცვითი მოძრაობისა უნდა იგრძნოს ეს მხარდაჭერა და გული მოეცეს.

ამჯერად ვლაპარაკობ როგორც სახელმწიფოს მეთაური. აშშ განიხილავს ადამიანის უფლებებს როგორც ძირითადს, აბსოლუტურად ძირითადს ჩვენს ურთიერთობაში საბჭოთა კავშირთან და ყველა ქვეყანასთან. ჩვენი მმართველობის დასაწყისშივე ჩვენ ხაზს ვუსვამდით, რომ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის განმტკიცებისათვის აუცილებელ ელემენტს ადამიანის უფლებების დაცვა და საბჭოთა კავშირის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულება წარმოადგენს.

არის იმედისმომცემი ნიშნები და მე გულწრფელად მჯერა, რომ საბჭოთა ხალხებს დიდი იმედები გაუჩნდათ. უკანასკნელ ხანებში სამასზე მეტმა პოლიტპატიმარმა მიიღო თავისუფლება... ასევე ბევრი ადამიანი ღებულობს ემიგრაციისა და ოჯახთან შეერთების უფლებას. შეერთებული შტატები მიესალმება ამ ცვლილებებს, თუმცა საბჭ. კავშირის მიერ ხალმოწერილი ჰელსინკის ხელშეკრულება და ადამიანთა უფლებების უნივერსალური დეკლარაცია ადამიანის უფლებების უფრო ფართო გაგებას გულისხმობს. თუ ნებას მომცემთ, მე ჩვენს ძირითად მიზნებს გაგაცნობთ ადამიანის უფლებების დაცვისათვის, ეს არის ჩვენი მოსკოვური დღის წესრიგი.

**რელიგიის თავისუფლება.** ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში ნათქვამია: „ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა.“ ვიმედოვნებ, რომ საბჭოთა მთავრობა ხელს აღარ შეუშლის ხალხებს, რომ ისე ადილონ შემქმნელი, როგორც თავად ჩათვლიან საჭიროდ...“

**სიტყვის თავისუფლება.** ისევ ადამიანთა უფლების დეკლარაციის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი შეხედულების გამოხატვის უფლება. იმედი მაქვს, რომ მალე დადგება ის უამი, როცა ადამიანს ციხე არ დაემუქრება იმ დანაშაულისათვის, რომელიც მხოლოდ ნათქვამი ან დაწერილი სიტყვით გამოიხატება. (აპლოდისმენტები)

**გადაადგილების უფლება.** მე მადლობა ვუთხარი გენერალურ მდივანს იმის გამო, რომ უკანასკნელ წელს გაიზარდა

იმ პირთა რიცხვი, რომელთაც ემიგრაციაში წასვლის უფლება მიეცა... და მაინც, უნივერსალური დეკლარაციის სიტყვებით ვინც ვინცაა ჯებს აღემატება: ყველას უნდა ჰქონდეს უფლება დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც და დაბრუნდეს უკან. ჩვენი იმედია, რომ ძალიან მალე საბჭოთა კავშირში იქნება გადაადგილების თავისუფლება სრული. (აპლოდისმენტები)

... და ბოლოს, ორგანიზაციული ცვლილებები მუდმივი პროგრესის მიღწევისათვის. მე ჩამოვედი მოსკოვში ადამიანის უფლებათა ასეთი დღისწესრიგით... რადგან ეს არის მომენტი იმედისა. ახალმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, იგრძნო კავშირი ნამდვილ თავისუფლებასა და ეკონომიკურ სიძნელებებს შორის. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ერთი თავისუფლება მიგვიყვანს შემდეგთან, იმის შემდეგთან, ისე რომ საბჭოთა მთავრობა მიხვდება—ეკონომიკური მოღვაწეობის წყარო მხოლოდ ინდივიდია. ეს არის ცნობისმოყვარე გონება, რომელიც ახდენს გადატრიალებას ტექნიკაში; წარმოსახვა, რომელიც წარმოშობს ახალ პროდუქციას და ახალ ბაზრებს. სწორედ ამიტომ, ინდივიდს რომ შემოქმედების საშუალება მიეცეს, მას უნდა გაუჩნდეს გრძნობა საკუთარი ინდივიდუალობისა... ის უნდა გრძნობდეს, რომ სხვები მას პატივს სცემენ და მისი ერი, დიახ, ერი პატივს სცემს მას იმდენად, რომ ანიჭებს მას ადამიანის ყველა უფლებას. (აპლოდისმენტები)

ეს, როგორც ვთქვით, ჩვენი იმედია, მაგრამ, რაც შეეხება მომავალს, რაც არ უნდა მოიტანოს მან, შეერთებული შტატების პოზიცია ადამიანის უფლებების თაობაზე ყოველთვის უცვლელი დარჩება. არავითარი დათმობა, არავითარი სირბილე არ შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც საქმე პიროვნების ღირსებას ეხება. სწორედ ამიტომ ჩვენ უფრო მეტისთვის უნდა ვიბრძოლოთ ...

ახლა კი მსურს გესაუბროთ არა როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც კაცი, ჩვეულებრივი ადამიანი.

აქ რომ მოვდიოდი მეგონა, რომ ძალას მოგცემდით თქვენ, ახლა კი მე უკვე ვიცი, რომ თქვენ თავად შეშმატეთ მე ძალა. სანამ ჩვენ ვამუშავებთ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს დიპლომატიური არხების საშუალებით, თქვენ ამ უფლებისათვის იბრძვით თქვენი ცხოვრებით, ყოველდღე, ყოველ წელს, სამსახურის, სახლის, ყველაფრის დათმობისა და თავგანწირვის ფასად. (აპლოდისმენტები)

თუ ნებას მომცემთ, ერთ გულსინადებს გაგიზიარებთ. აქ ყოფნისას, თქვენს გვერდით, თქვენს სახეებში ჩახედვისას მე ვიწამე,



რომ ჩვენი უბედური საუკუნის ცოდვები გამოსყიდულია, რომელია და კაცის წინაშე და რომ თავისუფლება ნამდვილად უნდა გვქონდეს რსება. რომელი უსამართლობა დაუდგება წინ თქვენს ძალას, ვინ მოერევა თქვენთვის მლოცველებს? (აპლოდისმენტები)

ასე რომ, პუშკინის არ იყოს: „**დროა, მეგობარო, დროა, გული მშვიდობას ითხოვს და დღენი მიჰქრისან სწრაფად. დროა, მეგობარო, დროა**“. ახლა კი მცირე გადახვევა ხუმრობის სახით...

ზოგჯერ, როცა ურწმუნოს, ათეისტს ვხვდები, საოცარი სურვილი მაქვს ხოლმე, დავპატიჟო გემრიელ საქმელზე და ჭამის დამთავრების შემდეგ ვკითხო—სჯერა თუ არა მას მზარეულის არსებობა. (აპლოდისმენტები). დიდი მადლობა ყველას, ყველას, ღმერთმა დაგლოცოთ!

**ე ლ ჩ ი მ ე ტ ლ ო კ ი**

დიდი პატივია „სპასო ჰაუსში“ იმ ადამიანთა მიღება, რომელთაც ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ადამიანთა უფლებებისა და ცული ყოფილიყო. ჩვენ, ამერიკელები, ადამიანის უფლებათა დაცვას თავისთავად ვგულისხმობთ და ჩვენთვის, ხშირ შემთხვევაში, გაუგებარია, რომ ამ „თავისთავად ნაგულისმევისათვის“ თქვენნაირი ადამიანები სწირავენ საკუთარ პროფესიასა და პიროვნულ კეთილდღეობას, ცხოვრების წლებს ატარებენ შრომით კოლონიებში, ციხეებსა და გადასახლებებში. დღეს, ამ მოკლე დროის განმავლობაში, ჩვენ საშუალება გვაქვს მოვეუსმინოთ სამ მათგანს: **სერგეი კოვალიოვს, იური კოჩაროვსკის და მამა გლებ იაკუნინს.**

პირველი გამოვა ს. იაკოვლევი, გამოჩენილი ბიოლოგი. ის დაიბოვებს მოსკოვის უნივერსიტეტიდან მას შემდეგ, რაც მან პროტესტი განაცხადა ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეჭრის გამო **1968** წელს. **1970** წელს ის გამოსცემდა თვითგამოცემის ყურნალ „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკას“ და იბრძოდა ადამიანის უფლებების დაცვისათვის. ეს მოღვაწეობა მას ანტისაბჭოთა აგიტაციის პროპაგანდაში ჩაუთვალეს, დააპატიმრეს და მიუსაჯეს შვიდი წლის პატიმრობა და სამი წლის გადასახლება. იგი ახლა არაოფიციალური ჯგუფის პრეს-კლუბ „გლასნოსტის“ წევრია.

**სერგეი კოვალიოვი.** ძვირფასო პრეზიდენტო, ქ-ნო ნანსი, ქ-ნებო და ბ-ნებო! ცვლილებებს, რომელმაც მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, ჩვენ ოპტიმიზმით ვიღებთ. ჩვენ, სამართალდაცვითი მოძრაობის წარმომადგენლები, ვიმედოვნებთ, რომ ეს ცვლილე-

ბები. ღია და ლეგალურ საზოგადოებამდე მიგვიყვანს. ჩვენი შედეგად უნდა გახდეს მსოფლიო გაერთიანების უფლებამოსილი და კონტრესტემი წევრი... მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ იმედებია, ჩვენი სისტემა ჯერ კიდევ შორს დგას ამისგან.

ყოვლად მიუღებელია ის, რომ დღესაც მრავალი პოლიტპატიმარი არსებობს, მათი სახელები ყველამ იცის, მე არ შემიძლია ყველა მათგანის დასახელება, ამიტომ არცერთს არ დავასახელებ. მათი დანაშაული ისაა, რომ გუშინ ამბობდნენ იმას, რასაც დღეს საჯაროდ თვით სახელმწიფოს მეთაურნი ლაპარაკობენ. არ არსებობს არავითარი პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძველი იმისათვის, რომ ეს ადამიანები პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

ჩვენი საერთაშორისო კანონმდებლობა ბევრ ასპექტში დიდ წინააღმდეგობაშია იმ საერთაშორისო ვალდებულებებთან, რაც საბჭო კავშირმა აიღო თავის თავზე. ათწლეულები ისე გადიოდა, რომ ეროვნული მწვავე და რთული პრობლემების გადაწყვეტაზე ხელისუფლება ფიქრსაც არ აპირებდა...

დამოუკიდებელი პრესა, დამოუკიდებელი ასოციაციები და ჯგუფები, რომლებიც ახლა შეიქმნა, დაბრკოლებებისა და შევიწროების ალყაში აღმოჩნდა...

სერიოზული ცვლილებები, რა თქმა უნდა, ასე უცებ არ ხდება. ჩვენი საზოგადოება აღმოჩნდა მეტად რთულ მდგომარეობაში: ეკონომიკის კრახი, სიცრუით გაყენებული ინფორმაციის სისტემები, დადებითი იდეალების არ არსებობა, ათასობით პოლიტპატიმარი ციხეებსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, და უცებ, წარმოუდგენლად რთული საქმე – საფუძველშივე შეცვლა სახელმწიფო და მმართველობითი სტრუქტურების...

ამ სტრუქტურათა გამოყენება ხდებოდა რეპრესიებითა და შევიწროებით გუშინ და ხანდახან იგივე ხდება დღესაც. ასეთ პირობებში ცვლილებათა კურსი მერყევია და ჩვენი იმედებიც შეირყა. ძველის განმეორება ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია, ხოლო ასეთი შემობრუნება კი ტრაგედიად შეიძლება იქცეს. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ საბჭოთა კავშირის მიერ აღებული ახალი კურსი საერთაშორისო მხარდაჭერას ჰპოულობდეს. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დიდი სურვილი იქნებოდა, თუ ეს მხარდაჭერა არ შეასუსტებს ან საერთოდ გვერდს არ აუვლის მოთხოვნებს ჰუმანიტარული თავისუფლებების სფეროში. ეს მხო-



\*\*\*\*\*

ლოდ ჩვენი იმედი როდია— ადამიანის უფლებების მხოლოდ მფარველია ძვლიანი, სრული და ერთგვაროვანი გაგება მოგვცემს ქვეყანათა სინდისიერი პარტნიორობის გარანტიას. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია გლობალური პრობლემებისა და წინააღმდეგობების რაკურსში. დღევანდელ დღემდე საბჭოთა კავშირი ყოველთვის არ წარმოადგენდა ასეთ პარტნიორს. ამიტომაც ექცევა დიდი ყურადღება საბჭოთა კავშირის ლეგალურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოსათვის.

ნება მიბოძეთ, ბ-ნო პრეზიდენტო, მაღლობა მოგახსენოთ თქვენი მუდმივი, კეთილსინდისიერი და აქტიური საქმიანობისათვის ამ მიმართულებით. (აპლოდისმენტები)

[მიუხედავად დიდი ინტერესისა, ადგილის სიმცირისა გამო იძულებული ვართ ი. კოჩაროვსკის და მამა გ. იაკუნინის გამოსვლები ამერიკის პრეზიდენტის წინაშე გამოვტოვოთ. გ უ შ ა გ ი]

/გადმობეჭდილი: მეოთხე დასის „მოამბე“ №6, რედ. გ. ჭანტურია /

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

თ ა ვ ი      III

და მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ ი      კ რ ე ბ ი დ ა ნ

საქართველოს დამფუძნებელი კრება დაიწყო 1919 წლის მარტის დასაწყისში. პირველადვე შემუშავდა საერთო წესდებები. მეორე სხდომას უკვე თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე. მესამე სხდომაზე 18 მარტს, დამფუძნებელი კრების წევრს ნოე ჟორდანიას დაევალა მთავრობის შედგენა. მეოთხე სხდომაზე, მარტის 21, უკვე წარმოდგენილი იყო მთავრობის შემადგენლობა:

თავმჯდომარე—ნოე ჟორდანია, თავმჯდომარის მოადგილე და იუსტიციის მინისტრი—ევგენი გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების და სამხედრო მინისტრი—ნოე რამიშვილი, მიწის, შრომის და გზათა მინისტრი—ნოე ხომერიკი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის—კონსტანტინე კანდელაკი.

მეხუთე სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოდის სპირიდონ კედია, ეროვნულ-დემოკრატების ხელმძღვანელი. ამ წერილში ჩვენ სწორედ ეს სიტყვა გვაინტერესებს, რომელსაც ვთვლით ღირსშესანიშნავად და იშვიათად.

სპირიდონ კედია მე გავიცანი მხოლოდ 1925 წელს პარიზში. ის

ახდენდა განათლებული და მცოდნე მოსახერის შთაბეჭდილებები უკანასკნელად მას შეეხვდი ბერლინში ომის დროს, სადაც მე ფარმაცევტიულ ქარხანაში ვმუშაობდი. საყავეში გვექონდა შეხვედრა ლეო კერესელიძესთან სპირიდონ კედისასა და მე. მე უფრო მსმენელი ვიყავი. ლეო კერესელიძე იყო ფაქიზი ადამიანი და სუსტი ჯანმრთელობის. მას ეტყობოდა, რომ აწმყოს მოშორებული იყო და იგონებდა თვისი ქართული ლეგიონის ამბებს პირველ მსოფლიო ომში. სპირიდონ კედია იყო მეტად დაღვრემილი და ყველაფერ ახალ ამბებში ვერაფერს ხედავდა საინტერესოს საქართველოსთვის. მას შემდეგ სულ მოკლე ხანში მოკავშირეთა საპაერო თავდასხმების დროს ლეოს სასტუმროს ბომბი დაეცა და ისიც იქ დაიღუპა. სპ. კედია კი გარდაიცვალა პარიზში 1948 წელს და სოფ. ლევილის სასაფლაოზე განისვენებს. აი მისი სიტყვატ.

#### ირაკლი ოთხმეზური

„დამფუძნებელი კრების წევრო! არასოდეს ასეთის სიმკაცრით არ გამოთქმულა წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეოლოგიას შორის. ის გარემოება, რომ ჩვენ დამფუძნებელ კრებაში 127 მეტი სოციალისტი ზის, ხოლო სინამდვილე ძალას გვატანს სახელმწიფოს აღსაგებად საღი ბურჟუაზიული საფუძვლები და მეთოდი ვიზმართ, — ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ სურვილი და დიდი რწმენაც უძლურია სოციალიზმის დასამყარებლად და სინამდვილის გარდასაქმნელად. ეს გარემოება თანაც გვეუბნება, რომ საჭიროა გადავხედოთ წარსულ გზასა და მოქმედებას. ამ წარსულის გადახედვა და გადასინჯვა ქართველმა ხალხმა თქვენ დაგავალათ ბ.ბ. დამფუძნებელ კრების წევრო.

პირველათ საქართველომ თავის თავი ჩაიბარა და დაიყუდნა, პირველათ მთელი ქართველი ხალხი დაეუფლა თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობას; ეს პირველათ აირჩია და შეადგინა დამფუძნებელი კრება, რომელმაც საქართველოს ძირითადი კანონები უნდა დასწეროს. ამით ისტორიამ დიდი მოვალეობა დაგვაკისრა. ჩვენს ნამოქმედებს და ნააზრებს ისტორია წაიკითხავს და განსჯის. ჩვენი დღევანდელი ნამოქმედარი განსაზღვრავს მომავლის მიმართულებას და ბედს. და სწორედ ამიტომ ჩვენ ვერ ვიქნებით თავისუფალნი და ჩვენი ქეიფის ამყოლნი ჩვენი უფლების მოხმარებაში, ჩვენს მოქმედებაში, საქართველოს მარადიულ მიმდინარეობაში ჩვენი აქ ყოფნა ერ-

თი წუთია და ამ წუთმა არ უნდა შეიწიროს ჩვენი ქვეყნის დავება, იმის ნიშნები კი ბევრად ბევრია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. პირველი საქმე, რომელიც უნდა დამფუძნებელ კრებას გაეკეთებინა, მთავრობის შედგენა იყო; ეს უკვე მოხდა და ახალი მთავრობა წარსდგა კიდევაც დამფუძნებელი კრების წინაშე. ეს მთავრობა ჩვენთვის უცნობი არ არის. მისი შემადგენლობა იგივეა, რაც საქართველოს პარლამენტის დროს იყო. არავითარი ახალი ელემენტები ამ მთავრობაში არ შემოსულა, არც პიროვნების სახით და არც როგორც ფსიქოლოგიური მოტივი. ამიტომაც ამ მთავრობის მომავალი საქმიანობის წარმოდგენა შეიძლება მისი წარსული მოქმედების ანალიზის საშუალებით.

**14** მარტს მთავრობა წარსდგა ჩვენს წინაშე თავის მოქმედების ანგარიშით. **21** მარტს მან დაგვიხატა მომავალი მოქმედების პროგრამა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ **21** მარტის შემდეგ ჩვენი მთავრობის ძირითადი შეხედულებები და პროგრამა ვერ გამოიცვლებოდა და დარჩებოდა, რაც **21** მარტამდე იყო. ამიტომაც მისი მომავალი მოქმედება რომ გამოვიცნოთ, საკმარისია გადავხედოთ მის წარსულს, იმას თუ რას წარმოადგენდა იგი დამფუძნებელ კრების მოწვევამდე.

ერთი უმთავრესი აქტი საქართველოს ცხოვრებაში— საქართველოს დამოუკიდებლობა— მოხდა ჩვენი მთავრობის პოლიტიკისა და მთელი იმ მიმართულების წინააღმდეგ საიდანაც მთავრობა არის გამოსული. მეორედ, რაც ძირითადია და ცენტრი და რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი ქართველი ხალხის ენერჯიაც და პოლიტიკაც, ჩვენი მთავრობის მისწრაფებას არ წარმოადგენდა და მის განხორციელებაში მას არც ფსიქოლოგიური მონაწილეობა მიუღია და არც მოქმედობითი. ეს მოვლენა აღნიშნული იყო თვით მთავრობის თავმჯდომარის სიტყვაში. ცხადია, რომ ის მთავრობა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ძიება თავის დღეში არ ჰქონია და რომელმაც მხოლოდ გარემოების ძალდატანებით ჩაიბარა უკვე დამოუკიდებელ საქართველოს მართვა-გამგეობა, ცხადია, რომ ასეთი მთავრობა ვერ გამოიჩენდა იმ შემოქმედებით სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომლითაც მხოლოდ შეიძლებოდა ამ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო შენობის აგება და გამაგრება. აქედან წარმოსდგა მთელი რიგი შეცდომებისა საშინაო და საგარეო მოქმედებაში. ეს ხალხი ფსიქოლოგიურად მოუმზადე-

ბელი იყო ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის. მისთვის მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც ყოველთვის უნდა იქნებოდა კომპრომისის თხოულობს; ამის ნაცვლად ეს ხალხი აწარმოებს ცალმხრივ და დამქსაქსველ პოლიტიკას, იდგა კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე და საზოგადოებაში სთესდა „კამაგის“ და შეურიგებლობის იდეოლოგიას. ის გარემოება ნაკლებათ იყო სახიფათო საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც ქართული ეთნოგრაფია, სადაც ტერიტორია მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, სადაც შეგნება და ფსიქოლოგია წმინდა ეროვნულია. ხოლო ასეთი პოლიტიკა დამღუპავი და საბედისწერო შეიქმნა საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც სხვა და სხვა ისტორიის დროს ან ეთნოგრაფია აკრელებულა ან თუ ეთნოგრაფიული ერთფერობა შენახულა, სამაგიეროდ ფსიქიკით და შეგნებით გადაგვარებულია.

და მართლაც მთავრობას საქართველოს განაპირა კუთხეებში შეცდომა შეცდომაზე მოდის. სოხუმის ოლქი, ბათუმის და ზაქათალის ოლქები, იგივე ბორჩალო, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, ყველა ეს კუთხეები ერთი ცოცხალი სურათია ჩვენი მთავრობის შემცდარი პოლიტიკისა.

ამივე პოლიტიკის შედეგი იყო საქართველოს სრული იზოლიაცია მეზობელ სახელმწიფოთაგან, როგორცაა ადერბეიჯანი, მთელთა რესპუბლიკა და სომხეთი. ეს იმიტომ მოხდა, რომ მთავრობის პოლიტიკა, რომელიც რევოლუციონურ-სოციალიზმის პროგრამას ადგა, ვერ შეუტირდა და არ დაინდო მეზობელი სახელმწიფონი, რომელნიც ძალიან შორს იყვნენ სარევოლუციო სოციალიზმის პროგრამასთან. საქ-ს მთავრობა ამ სახელმწიფოებთან დაახლოებას ეროვნული სახელმწიფოებრივი საზომითა და საპირობით კი არ არკვევდა, არამედ პარტიულ იდეოლოგიის თვალსაზრისით და იმიტომაც განმარტოებულნი რჩებოდა. მისი მოქმედების ხაზია მუდმივი მერყეობა ქანაობა ერთის მხრივ ამ მეზობელ ინტერნაციონალურ პოლიტიკასა, და ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკის შორის, მეორე მხრივ. და იგი დღესაც ამ ყოფაშია. მთავრობას დღესაც არა აქვს გამოკვეული სახელმწიფოებრივი შემოქმედების ორიენტაცია, ის თუ რომელ პრინციპს მისცეს უპირატესობა და სახელმძღვანელოდ განიხადოს, მოსკოვის პრინციპი თუ პარიზისა. დღეს ეს ორი ცენტრია მთელს ევროპასა და ამერიკაში. ორი ცენტრი გარს იკრებს განსხვავებული იდეალისა და მეთოდის ხალხებს. ერთიმეორის უარყოფელ ღირებულებებს შეიცავს ჩვენი მთავრობის პოლიტიკა და

\*\*\*\*\*

არ ჩანს თუ საიტკენ იხრება ის. და ეს გაურკვეველობა მავნებელია და სახიფათო. თუ ერთის მხრით, ჩვენ მთავრობას სკოვის ცენტრისადმი ფრაქციული სიძულვილი აქვს, მეორე მხრივ მასთან პრინციპული სიყვარული აკავშირებს, მაშინ, როცა პარიზის ცენტრი ჩვენი მთავრობისათვის მხოლოდ და მხოლოდ პრინციპიალური მძულვარების საგანს წარმოადგენს. ეს გარემოება ხელს უშლის იმას, რომ საქართველოს იდეა ანტანტის იდეამ დაინათესავოს.

ამნაირად, მთავრობის პოლიტიკა შინ გვასუსტებს, გვაკარგვინებს ტერიტორიას, გამოგვითიშა მეზობელ სახელმწიფოებისაგან და განმარტოვებით დაგვსვა. მან აქაც ვერ შეგვარია იმ ერთადერთ ორიენტაციას და ცენტრს, რომელიც დღეს წესიერებისა და სახელმწიფოებრივი სიმტკიცის იდეას წარმოადგენს.

მეორე მხრივ, ახალგაზრდა სახელმწიფოს გამაგრებისთვის, იმ პირობებში, რა პირობებშიც ჩვენ აღმოვჩნდით, აუცილებელი იყო წესიერი ჯარის შექმნა, ჩვენი მთავრობის პოლიტიკა კი ამ საქმეს იმ თავითვე მტრულად შეხვდა, ვინაიდან იგი წლობით აღიზარდა ამ რეგულიარი ჯარის სიძულვილში, რადგანაც მისი მისწრაფება საერთაშორისო გაიარალება იყო. ეს იდეალური შეხედულება, პრინციპიალური პოზიცია ამ საკითხისადმი მან პირდაპირ ჩვენს სინამდვილეში გადმოიტანა და ჯარის შექმნა შეაფერხა, თითქმის შეუძლებელი გახადა.

ამგვართ, ორი გარემოება,—ერთი მხრით, შეუძლებლობა იმისა, რომ ჩვენი მდგომარეობის შესაფერი ჯარი შექმნილიყო, ხოლო, მეორე მხრით, ფართო ლოზუნგები და ინტერნაციონალური პოლიტიკა,—აი, ეს ორი ფაქტორი საქართველოს გამაგრებას ხელს უშლიდა. ჯარის შექმნის მაგიერ მთავრობა ინტერნაციონალისტურ სოლიდარობის ფრაზებს რაზმავდა. შედეგათ ბორჩალოს საქმე მივიღეთ. ბორჩალოს შემთხვევა აშკარად მოწმობს, რომ ჩვენი მთავრობა ძმობა-ერთობის ფრაზეოლოგიას არ შერჩენოდა და საქ — ლო დროზე გაეფრთხილებია, მაშინ საქართველოს თავზე არ დაატყდებოდა ის სირცხვილი და უბედურობა, რომელიც ბორჩალოში მოუვიდა. ეს მაზრა, საქართველოს უდავო ნაწილი თვით ძველი მთავრობის აზრითაც, ნაწილათ ჩამოგვეჭრა და ნაწილათ კიდევ სადავოთ გახდა. და ამის საბუთზე ჩვენ მთავრობას თავისი ხელიც უწერია! აქედან ვამბობთ ჩვენ კატეგორიულ აზრს: საქართველოს რომ დრო-

ზედ მიეღო საჭირო ზომები, მტერი ბორჩალოში ვერ შემოვიდოდა და ბორჩალოს მაზრა დღესაც მთლიანათ საქართველოს ხელში იქნებოდა. მაგრამ, სწორედ იმიტომ, რომ მთავრობას არ ჰქონდა ალლო და ინსტიტუტი მტრის ცნობისა, სწორთ იმიტომ, რომ მთავრობა კიდევ სოლიდარობაზე ლაპარაკობდა, როდესაც მტრის ჯარები გამაღებით უკვე თბილისისკენ მოდიოდნენ, აი სწორეთ იმიტომ მოგვივიდა ბორჩალოს კატასტროფა.

რომ ამ საგანს თავი დავანებოთ და შევეხოთ მთავრობის მოქმედებას წმინდა შინაურ პოლიტიკის ფარგალში, ჩვენ აქ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ მისი სრული უსუსურობა და ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა სახელმწიფოს შექმნის საქმისთვის.

ძველი წყობილების შენობა დანგრეულია და ახალის სიმტკიცე აქამდის ვერ ავაგეთ; სასამართლოს დამოუკიდებლობა, რომელიც ყოველგან და ყოველ რეჟიმის პატიოსანი მამულიშვილის უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა, საქართველოში არ არსებობს. სასამართლო ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ იმყოფება. ახალი დემოკრატიული წესი სასამართლოს ინსტიტუტის შესაქმნელად ვერ გამოვიყენეთ ისე, როგორც საჭირო იყო; არჩეულ მოსამართლეთა შორის ბევრი ისეთია, რომელიც ამ თანამდებობისთვის სრულიად გამოუსადეგია. ამ ორ მომენტით იწყება სასამართლოს გახრწნა და თუ საქმეს დროზე არ მივეშველეთ, სასამართლოს გახრწნას თან მოყვება საზოგადოების დაშლა—გათახსირებაც.

ადმინისტრაცია ვერ ღვას თავის დანიშნულების სიმალეზე, იგი პარტიული ანგარიშის გამასწორებელი აგენტი უფროა, ვიდრე სახელმწიფოს ცხოვრების წესიერების აგენტი.

უმთავრესი ძარღვი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა რაზედაც ჩვენი მომავალი ჰკიდია, გახლავთ ჩვენი ეკონომიური ვითარება. გარედან რომ არავითარი ხიფათი არ მოგველოდეს და საერთაშორისო ურთიერთობაში ჩვენი დამოუკიდებლობა სრულიად უზრუნველყოფილი იყოს, ვიმეორებ, რომ ამ მხრივ საქართველოს არავითარი შიში და ხიფათიც რომ არ მოელოდეს, მაშინაც გვექვევება ჩვენი ნორჩი ქვეყნის ბედი, რადგან ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ისეთი წესით მიდის, რომ შეუძლებელია კატასტროფამდის არ ჩავახწიოთ. ვის მიუძღვის ამაში ბრალი? რა თქმა უნდა, ერთ წუთსაც არ უნდა დავკარგოთ მხედველობიდან ის საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც დღეს არსებობს, რომელიც ართულებს და აძნელებს

ბს ეკონომიურ ცხოვრებას, ნორმალურ ეკონომიურ საქმიანობას. ეს ერთი მიზეზი უნდა სახეში ვიქონიოთ, როდესაც დღევანდელი ქვეყნი ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას ვიხილავთ. მაგრამ ამის გვერდით არის ადგილობრივი წმინდა სუბიექტიური მეორე მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ეკონომიურ დაშლა-განადგურებას. აი, სწორედ აქ არის ჩვენი მთავრობის სოციალისტური ცოდო და დანაშაული. 1918 წლის შვიდი თვის თავისუფლება ჩვენმა ძველმა მთავრობამ 26 მილიონი ვალით დაამთავრა. მომავალ წლისთვის იგივე მთავრობა ერთი ორად მეტ ვალს ვარაუდობს. მთელი ქონება, რომელიც საქართველოსთვის წილად დარჩა ძველი რეჟიმისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტით, ერთ განძს წარმოადგენდა, დიდ განძს, რამაც ფინანსიურ-ეკონომიურად დიდი დახმარება გაგვიწვია ამა თუ იმ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეში. სახელმწიფოს ამ ქონებიდან ბევრი რამ, რა თქმა უნდა, უთავბოლოდ დაეკარგა. დღეს ეს მზამზარეული ქონება გამოგველია, აღარ გვაქვს; ასე რომ, მომდინარე წლის ვალი სწორედ ამის გამო, გაცილებით იმაზე მეტი იქნება, რაც ნავარაუდევია ჩვენის ბიუჯეტით. ვალით ცხოვრობს მთელი სახელმწიფო, ვალით ცხოვრობენ ჩვენი თვითმმართველობები. ამავე დროს ფულის ფასი თანდათან ეცემა და ცხოვრება უფრო და უფრო ძვირდება. მოსალოდნელია ჩვენშიაც ის მოხდეს, რაც საფრანგეთში რევოლუციის დროს, როდესაც ზოგი პირველი საჭიროების საქონელი მისი წონა ქალაქის ფული ღირდა. თქვენ წარმოიდგინეთ პროგრესიულად სანოვაგის გაძვირებისა და ფულის გაიაფების სვლა და მაშინ დაინახავთ თქვენ. დამოუკიდებლობის საფრთხესა და კატასტროფას. და აქამდისინ არავითარი ღონისძიება არ იყო მიღებული მთავრობის მიერ, რომ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა გამოებრუნებინა. მთავრობას არ სურს ისარგებლოს იმ ნაცადის და ერთადერთი გზით, რომლითაც ყოველგან და ყოველთვის შექმნილა და დაგროვილა ხალხის სიმდიდრე. არ არის არავითარი გარანტია, რომ მესაკუთრეს შეუძლია თავისი მოძრავი და უძრავი ქონება თავისუფლად მოიხმაროს, დაიმუშაოს გადაატრიალოს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ბანკები და სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებები თავიანთ ოპერაციებს არ აწარმოებენ, მათ დაჰკარგეს ნდობა. ხალხს ბანკებში ფული აღარ მიაქვს, როგორც ის იყო უმაღლესი. სოფლის ხალხი, ვის ხელშიც დღეს მთელი ფულია თავმოყრილი, უნდობლად უც



ქერის ბანკებს, იმიტომ, რომ დარწმუნებული არ არის, რომ ფული შეიტანა, მას უკან მიიღებს საპიროების დროს. მრავალ-მოებელი კი მარტოკა სოფელია, ქალაქში მას შემოაქვს თავისი ნაწარმოები და ქალაქიდან მასვე სისტემატიურად ფული გააქვს. ამ ფულს იგი შინ უძრავად აბინავებს. ეს ფული, ამნაირად, ტრიალიდან გამოდის და ჰკარგავს საზოგადო ღირებულებას, მისი ფასი თვით მის პატრონისთვისაც ეცემა. იმავე დროს სოფლის მეურნეობა თანდათან კრიზისში შედის. რევოლუციური წესით მიწის საკითხის გადაჭრამ ყველა დააზარალა, საერთო მეურნეობა დასცა და სარგებლობა ვერვის მოუტანა. თუ წმინდა პოლიტიკურ სფეროში რევოლუცია ადვილად ასატანია, ეკონომიურ ცხოვრებაში ასე არ გახლავთ; რევოლუციონერულ ღონისძიებას აქ პირდაპირ დანგრევა და განადგურება შემოაქვს. ამ წესმა მთელი ერთი ნაწილი საზოგადოებისა ქუჩაში უსახსრო დაჰყარა, ხოლო საზოგადოების მეორე ნაწილში მტაცებლობა და წართმევის ინსტიქტი აუშვა, საერთოდ სოფლის მეურნეობაში არეც-დარევა და ანარქია შეიტანა. ამის ავტორია ჩვენი მთავრობა. მაგრამ როგორც სხვა დარგშიაც, მან აქაც კისერი მოიტება და ლოდიკურ წინააღმდეგობაში გაიხლართა. თუ შემამულის მიმართ იგი დაადგა საკუთრების უარყოფის გზას და მიწები სრულიად უსასყიდლოდ ჩამოართვა, უმიწაწყლო და მცირე მამულიან გლეხების მიმართ კი საკუთრების პრინციპს დაადგამ კატეგორიის მიწის მუშებს მთავრობა მხოლოდ სასყიდლით აძლევს ჩამორთმეულ მიწებს.

ასეთი უსისტემო და ულოდიკო ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც სარევოლუციო დემაგოგიას ვერ გასცილებია და შემთხვევითი პარტიული ზრახვებისთვის არის მოგონილი, ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას ვერ მოაგვარებს და სოფლის მეურნეობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობასაც გაანადგურებს.

საქონლის გატანა-შემოტანა გაძნელდა. მთელი 7 - 8 თვის განმავლობაში მთავრობამ თვისი ბეცი ბოლიტიკით საქონლის გატანა-შემოტანა შეაფერხა, და მხოლოდ ეხლა, როგორც ეს მთავრობის ოფიციალურ პრესაში ირკვევა, იგი ადგება იმ გზას, რომელსაც მისგან ყოველთვის უშედეგოთ მოვითხოვდით, ეს არის თავისუფალი და კერძო ინიციატივის გზა.

მრეწველობის საკითხი ჩვენში კიდევ უფრო უნუგეშოა. არავის არ აქვს გარანტია, რომ თუ საქმე დაიწყო, რაიმე დადებით შედეგს



ეგებს მიადწევს. მუშების პროფესიონელურ კავშირების მათი დღევანდლის ფორმით პირდაპირ შეუძლებელს ჰყოფს ეკონომიურ საქმიანობას. ამ მიზეზების გამო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება მიექანება უფსკრულისაკენ. ეხლა უკვე თვის სოციალისტებისთვისაც ცხადია, რომ მისი გამობრუნება სოციალისტურის წესით და ექსპერიმენტებით ყოვლად შეუძლებელია, და რაც უფრო მალე დაადგება მთავრობა ნაცად და საიმედო ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ შემოქმედების გზას, მით უფრო მალე და ადვილად შეიძლება ჩვენი ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჩვენი სახელმწიფოს კონსოლიდაცია. მან უნდა დაგმოს სარეგულიუციო სოციალიზმის გზა და მოიპოვოს ხალხის თვალში ნდობა, მოიპოვოს ნდობა ყოველი მესაკუთრე-მეურნის და ვაჭარ-მრეწველის თვალში. ამის გარანტიებს კი მთავრობა არ იძლევა, და მაშინ, როდესაც თავის დეკლარაციაში ისეთ წვრილმანსაც კი აღნიშნავს, როგორცაა სანიტარული ზომების მიღება, იგი საჭიროდ არ სთვლის უთხრას სოფლის ხალხს და ქალაქის ვაჭარ-მრეწველებს, რომ მათი ნამუშევარი, პირადი ინიციატივით ან თაოსნობით შექმნილი საქმე და ქონება ხელშეუხებელი იქნება. მთავრობას ვერ გაუბედნია, ან თუ არ სურს საქვეყნოთ და ხმამაღლა იცნოს მესაკუთრის უფლება თავის საკუთრებაზე! ხოლო თუ ეს არ მოხდა, ყოვლად შეუძლებელი იქნება ჩვენი მდგომარეობის გამობრუნება.

თუ რაიმე დადებითი იყო მთავრობის მოქმედებაში აქამდის, ეს იმდენად ხდებოდა, რამდენადაც იგი ხანდახან უახლოვდებოდა თავის პრაქტიკასა და მოქმედებაში იმ ბურჟუაზიულ ზომებს, რომლის დიდი შემოქმედებითი როლი ცხოვრებით და გამოცდილებით არის დადასტურებული, ხოლო რამდენადაც იგი შორდებოდა ამ ნაცად იარაღს და წაისოციალისტ-რეგულიუციონერება იმდენად მეტ ზიანს აძლედა ჩვენს შინაგან და საგარეო მდგომარეობას.

როგორც უნდა იყოს მომავალში ჩვენი დამოკიდებულება ამგვარი წარსულის მქონე მთავრობისადმი. მთავრობის მომავალი პოლიტიკა იქნება გაგრძელება მისი წარსული პოლიტიკისა. ხოლო მისი წარსული პოლიტიკა, როგორც ეს დავინახეთ, აღსავსეა მრავალი და საბედისწერო შეცდომებით. იგი პრინციპიალურად მიუღებელია, რადგან სახელმწიფოსი და საზოგადო ცხოვრების ამშლელია და არა დამლაგებელი. ამიტომ თავისთავად ცხადია და აშკარა, მთავრობას *en bloc* ნდობას ვერ მივცემთ მის მომავალ მოქმე-



დებაში. მაგრამ არის ერთი საკითხი, გარდუვალად ყველა სახელმწიფო სახელმწიფო საკითხი, უზენაესი სახელმწიფო კატეგორიის ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი. ამ საკითხში ყველა მთავრობასთან ვიქნებით, ყოველ გასაჭირის დროსა. დანარჩენ საკითხებში, სადაც მთავრობის რეგულირებით სოციალიზმის მისწრაფება და მეთოდია, პრინციპულ და საქმიან ოპოზიციას დავადგებით, რადგან დღევანდელი მთავრობა მხოლოდ შეიძლება დადგეს გამოსადეგი, როდესაც იგი თავის თავს რადიკალურად გარდაქმნის. მთავრობის მუშაობა იმდენად იქნება პოზიტიური და სასარგებლო ჩვენი ქვეყნისთვის, რამდენად იგი თავის მომავალ მოქმედებაში თავის წარსულს დაუპირდაპირდება; რამდენადაც იგი შესძლებს თავის უარყოფას და დაადგება ნამდვილ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ გზას, იმდენად უფრო სასარგებლო და უფრო სწორი იქნება მისი ნაბიჯი და უფრო მტკიცე ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. მისი წარსული პოლიტიკის გაგრძელება კი ჩვენს ქვეყანას დალუბავს და გაანადგურებს.

ამით ვამთავრებ მთავრობის დეკლარაციისა და ანგარიშის მოკლე განხილვას და დასასრულს უნდა მხოლოდ სურვილი გამოვთქვა, რომ დამფუძნებელ კრებამ, რომელსაც დაევალია ჩვენი ქვეყნის დაფუძნება, გამოიჩინოს საჭირო გონების სიფხიზლე და უტოპიურს ანთებაში არ ჩასწვას ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი.“


ს პ ი რ ი დ ნ კ ე დ ი ა

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

„ს ე კ“ \*) და „ს ე გ ო“ \*\*)

საქართველოში საუბარი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, მიუხედავად ხელისუფლების მიერ აკრძალვისა და, უშუალოდ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (ს უ კ -ი) მიერ დევნისა, —სასიამოვნო თემას წარმოადგენს ქართველებისათვის. მე ბავშვობიდან შევსწრებ ივარ საუბრებს ასეთ თემებზე და ინტერესით ვუსმენდი მათ. 15 წლიდან იმდენად ახლოს მივიტანე გულთან ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი, რომ იგი ჩემი ცხოვრების მიზნად იქცა. მგონია, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ შემდგომში მე ის ერთ მთავარ საქმედ ავირჩიე. თუ რამდენად გავამართლე, გამართლებ ან გავამართლდები

\*) სეკ — საქართველოს ეროვნული პარტია.  
 \*\*) სეგო — საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ორგანიზაცია.



მარცხნივ ზ. ლაშქარაშვილი, მარჯვნივ ტარიელ ღვინიაშვილი  
\*\*\*\*\*

თლებ არ ვიცი.

1973 წელს ორი წლით გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ვიმყოფებოდი ქ. კიროვში. ჩემს ნაწილში დაახლოებით 60 ქართველი იყო. სამშობლოდან შორს ჩრდილოეთში ქართველი ჯარისკაცები რომ შევიკრიბებოდით, გვჭონდა საუბარი საქართველოზე. აწმყოზე ბაასი გულსატკენი, სევდიანი იყო. რამდენიმე მათგანს, რომლებსაც საქართველოს დამოუკიდებლობის იმედი ჰქონდა, ცალ-ცალკე ვუთხარი იდეა, ეროვნული მოძრაობის ჯგუფის შექმნის თაობაზე; ვინც მოიწონა და სურვილი გამოთქვა მონაწილეობის, შევიკრიბეთ მოსათათბირებლად და დავაარსეთ ჯგუფი კიდეცაც და მას ვუწოდეთ „საქართველოს ეროვნული პარტია“(ს ე პ). შევადგინეთ მისი წესდება, ზოგადი პროგრამა და ფიცის ტექსტი. სამხედრო სამსახურის დროს კონკრეტული არაფერი არ გაგვიკეთებია, ჩვენი საქმიანობა ჯარის მერე, საქართველოში უნდა გაგვეგრძელებინა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ზოგიერთმა უარი განაცხადა, ზოგიც შეკრებაზე არ მოვიდა და ამით თავისი უარი გამოხატა, დანარჩენებმა, დაახლოებით ჯგუფის ნახევარმა გავაგრძელეთ ჩვენი დასახული საქმე, ბოლომდე ერთად ვიყავით და ვართ კიდევ.



სებ-ის სტრუქტურა და წესდება იყო მკაცრი და უარჩინო. 1980 წელს ერთ-ერთ შეკრებაზე გადავწყვიტეთ, გამოგვედგინათ თი ფორმა, რომ ჯგუფის რიცხვი თანდათან გაგვეზარდა, უფრო სერიოზული საქმის კეთება რომ შეგვეძლებოდა. სებში არ შეიძლებოდა ქართველების გარდა სხვა ერის წარმომადგენლის მიღება; ასევე იმ ქართველებისა, რომლებიც იყვნენ კომუნისტური პარტიის წევრები, კომკავშირლები ... მიუხედავად მათი აზრებისა და შეხედულებებისა. ასევე გამოითქვა აზრი, რომ სსრკ-ში არის ერთპარტიული სისტემა, ჩვენი პარტიის არსებობა ანტიკანონიერია და თუ აღმოგვაჩინეს შეიძლება სასტიკად დაგვსაჯონ. ამის გამო ჩვენ ბევრი გვერიდება, გაგვირბის, ჩვენთან შემოსვლა ეშინიათო. გამოითქვა აზრი, რომ ეროვნული საქმე უნდა ყოფილიყო ზეპარტიული, მიზანი ყველასთვის არის ერთი და საქმეც ერთად ვაკეთოთო. კრებამ პარტიულობა უარყო და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს ჯგუფს ეწოდოს:

**„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“ (ს ე გ ო).**

სეგოში ისევ მხოლოდ ქართველები მიიღებოდნენ, სებიდან განსხვავებით, სეგოში უკვე შეიძლებოდა მიღება პარტიულისა და კომკავშირელისა. რელიგიურ მხარეს მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ორგანიზაციას ჰქონდა წესდება, წლიური პროგრამა, რომელიც ყოველი წლის 15 მაისს დგებოდა, დროშა, გერბი, თვითონ საწევრო გადასახადი: მოსამსახურეთათვის ათი მანეთი, არამოსამსახურეთათვის კი ორი მანეთი. აგრეთვე მიიღებოდა შემოწირულებები.

მართლაც შედეგმა არ დააყოვნა, სეგოს რიცხვი უფრო სწრაფად იზრდებოდა. ჩვენს შორის თანდათან მომწიფდა აზრი: თუ შეიძლება, რომ კომპარტიის წევრი ისეთ ორგანიზაციებშიც იყოს, როგორც არის პროფკავშირი ან მონადირეთა კავშირი, რატომ არ შეიძლება სეგოს წევრობა? ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა რატომ უნდა იყოს ანტიპარტიული? ამის დადგენის შემდეგ სეგოს წევრს უფლება ეძლეოდა შესულიყო ნებისმიერ პარტიაში, კერძოდ—კომუნისტურ პარტიაშიც. მაგალითი რომ მიგვეცა და ამით დიალოგი გაგვეადვილებია, სეგოს ზოგიერთი წევრი კომპარტიაში შევიდა (მათ შორის—მეცა).

რიცხოზრდობა ზრდამ ისიც დაგვანახა, რომ შესაძლებელი იყო გამოამკარავებელი ვყოფილიყავით, არალეგალური ფორმა არ შეგვრჩენოდა. საჭიროდ ჩავთვალეთ, კონსპირაციის განმტკიცების მიზნით, ორგანიზაციის სტრუქტურის ცოტაოდენი შეცვლა, მივიღეთ: თითო-



ეული ჯგუფი ყოფილიყო არაუმეტეს 27 წევრისა, ერთ-ერთი წევრი კი ცოდნოდა მეორე ჯგუფის არსებობა, ჯგუფები ერთმანეთს დაკავშირებულდნენ ერთი კაცის ანუ მეკავშირის საშუალებით, რომელიც უცნობი უნდა ყოფილიყო ჯგუფის წევრების და მონაწილეობა არ უნდა მიეღო ჯგუფის ღონისძიებებში. მეკავშირეს კონტაქტი ჰქონდა ჯგუფის მხოლოდ ერთ წევრთან. სამი ჯგუფი ერთიანდებოდა ასეულში, ხოლო სამი ასეული გოდოლში. ყოველ ჯგუფს ჰქონდა თავისი სახელი, ყოველი ჯგუფი იყო ავტონომიური და მოქმედების დიდი თავისუფლება გააჩნდა...

1980 წლის 15 მაისიდან სეგომ დაიწყო მოქმედება მიღებული წესდების შესაბამისად. ერთ შეკრებაზე, ჯგუფების ხელმძღვანელების მონაწილეობით, მე ამირჩიეს სეგოს ხელმძღვანელად. მე მქონდა ჩამოყალიბებული ჯგუფი სახელად „ჯანსანი“. ჯგუფი ვინაიდან არსებობდა თბილისში, ითქვა, რომ სეგოს ხელმძღვანელი ყოფილიყო ამ ჯგუფის შემადგენლობაში, ამავე დროს გაეწია მეკავშირის როლიც. ჯანსანში იყო კომიტეტი ხუთი წევრის შემადგენლობით: ტარიელ ღვინიაშვილი, გურამ გოგბაიძე, შიო გელენიძე, ოლეგი გოგუაძე და მე. ჯგუფის კომიტეტის თავ-რედ მე ამირჩიეს. კომიტეტის თავ-რის არჩევა ხდებოდა ერთი წლით. 1981 წელს, გარკვეული მიზეზების გამო, ჩემი თხოვნით კომიტეტის თავ-რედ აირჩიეს გურამ გოგბაიძე.

წლიური პროგრამის მიღება, არჩევნები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა სეგოს დაარსების დღეს 15 მაისს. 1982 წლის 15 მაისს, გოგბაიძესთან უთანხმოების მიზეზით, ის გადაყენებული იქნა ხელმძღვანელობიდან და კრებამ ისევ მე დამავალა ხელმძღვანელობის გაწევა. გოგბაიძე ცხოვრობდა რუსთავეში და ითქვა, რომ მას იქ ჰყავდა ერთი ჯგუფი და ითანამშრომლებდა ჩვენთან, კავშირი ექნებოდა პირადად ჩემთან.

სეგო ჟურნალს არ გამოსცემდა, იმის გამო რომ არალეგალურ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, ჟურნალით კი ყურადღებას მივიპყრობდით, ამიტომ ითქვა, რომ ცალცალკე გაგვემრავლებია მასალები და ისე გაგვევრცელებია. ვავრცელებდით ასევე მცირე მოცულობის ლიტერატურას, ისეთს, რომელიც მოსახლეობისათვის უცნობი და ხელმიუწვდომელი იყო. კონტაქტებს ვამყარებდით სხვა პატრიოტულ დაჯგუფებებთან, ვთანამშრომლობდით მათთან.

1983 წელს ჩვენი ყურადღება ძირითადად მიმართული იყო გიორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავისადმი, რომელსაც

ხელისუფლება ზემოთ აღნიშნავდა. ჩვენი მიზანი იყო, ამ სამართლებრივ თარიღის აღნიშვნაში ხელი შეგვეშალა. ვამრავლებდით და ვავრცელებდით ისტორიულ ნარკვევებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, ვავრცელებდით ტრაქტატის შესახებ მიმართევებს და მოწოდებებს, რომ მონაწილეობა არ მიეღოთ ზემოთ, ვამზადებდით ტრადიციებს მუყაოს ფურცელზე ამოჭრილ ასოებით და ვაკრავდით კედლებზე და სხვა.

სეგოს იმ ჯგუფში, სადაც მე ვიმყოფებოდი, როგორც შემდეგში გამოირკვა, იყო პროვოკატორი, რომელიც სუკ-თან თანამშრომლობდა. ის იყო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გივი ერდიას-ძე მაყიშვილი, ეროვნებით ოსი.

1983 წლის 13 ივლისს, დილის 6 - 7 საათზე სუკმა მოაწყო თავდასხმა სეგოს ჯანსაღის წევრებზე, რაც გამოიხატა ბინების ჩხრეკითა და დაპატიმრებებით ერთსა და იმავე დროს. დაუპატიყებელი „სტუმრები“ ეწვივნენ: ტარიელ ღვინიაშვილს, გურამ გოგბაიძეს, ლამზირა ტოტოჩავას, შიო გელენიძეს, მიხეილ ბეჟიტაშვილს, მალხაზ კვინიკაძეს და სხ.

თავდაპირველად პატიმრობაში ვიყავით მე და ღვინიაშვილი, ოც თებერვალს კი, სასამართლოს დადგენილებით, პატიმრობაში აიყვანეს გურამ გოგბაიძეც. სასამართლო შესდგა 15 - 20 თებერვალს 1984 წლისა მოსამართლე გერსამიას და ბრალმდებელ, უშიშროების კომიტეტის ზედამხედველობის დარგში, პროკურორ სვანიშვილის მონაწილეობით. სასამართლომ მე მომისაჯა ხუთი წლით პატიმრობა, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, და ორი წლით გადასახლება. ღვინიაშვილსა და გოგბაიძეს ოთხ-ოთხი წლით პატიმრობა, ასევე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. დანარჩენი ჯგუფის წევრებისადმი საქმე ცალკე წარმოებაში იქნა გამოყოფილი, რომლებსაც პირობითი სასჯელები მიუსაჯეს. განთავისუფლების შემდეგ გავიგე, რომ მათგან ზოგიერთი დათხოვნილი იქნა სამსახურიდან, ვინც უმაღლესში მისაღებ გამოცდას აბარებდა ხელი შეუშალეს, დიპლომის დაცვაზე უარი უთხრეს; უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტ ლამზირა ტოტოჩავას დიდი ხნის განმავლობაში იძახებდნენ სუკში დაკითხვებზე, მის მიმართ მიმართავდნენ დაშინებას, აშკარა თვალთვალს, ფსიქოლოგიურ დევნას. მან ვერ შეძლო შესაფერი სამსახურის მონახვა, მისთვის სამუშაო არ აღმოჩნდა არც თბილისში, არც მახარაძეში, საიდანაც ის არის.



გასამართლების შემდეგ სასჯელის მოსახდელად რუსეთში გაუშვეს ზაენეს ბანაკებში, მე მორდოვეთის ასსრ-ში, ღვინიაშვილი და გოგბაიძე პერმის ოლქში.

ჩვენი განთავისუფლება მოხდა შემდეგნაირად: 1987 წლის იანვარში მორდოვეთის და პერმის პოლიტიკურ ბანაკებიდან გაიყვანეს პატიმრები, რომლებიც გასამართლებული იყვნენ 70 მუხლით. მე პირადად 23 იანვარს გამოიყვანეს ბანაკიდან ექვს პატიმართან ერთად და იმავე დღეს ჩამიყვანეს ქალაქ სარანსკის სუკის იზოლატორში. აქ შევიტყვეთ, რომ პროკურატურის მაღალი ჩინის მოხელე იძლევა წინადადებას, საბჭ. კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელზე დაეწეროთ განცხადება, რომ არ ჩავიდნეთ არაკანონიერ მოქმედებას და გაგვანთავისუფლებდნენ. ზოგს უკვე დაეწერა განცხადება. მე როცა პროკურორთან გამომიძახეს, მას განუხუტხადე, რომ მათ არ იციან თუ რისთვის ვარ დაპატიმრებული, მე არ ვინანიებ და ამ ფორმით განცხადებას არ დავწერ. პროკურორმა მითხრა, რომ გადამაგზავნიან თბილისში. მართლაც, 26 იანვარს სარანსკიდან წამიყვანეს და თბილისში ჩამიყვანეს ოთხ თებერვალს სუკის იზოლატორში. აქ განცხადების დაწერის თაობაზე მელაპარაკებოდა ხოლმე სუკის ზედამხედველი პროკურორი გიორგი სვანიშვილი და რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე თამარ კოლუა. გამოძახებული ვიყავი ხუთჯერ. მე უარს ვაცხადებდი განცხადების დაწერაზე და ვაყენებდი წინადადებას: მოვეთავსები ჩემს თანამოსაქმე ღვინიაშვილთან და გოგბაიძესთან ერთად, თუ ისინი დაწერენ განცხადებას და განთავისუფლებთ, მაშინ მეც დავწერ განცხადებას, არა ისე, როგორც თქვენ მეუბნებით, არამედ როგორი ტექსტითაც მე მინდა. მათ უარი თქვეს. არც ერთ საკანში მოგვათავსეს და არც ჩემი შეთავაზებული განცხადების ტექსტი მოიწონეს.

ცხრა მარტს გადამიყვანეს ორთაჭალის ციხეში, სადაც შევხვდნო გოგბაიძეს. მას განცხადება არ დაეწერა. გავიგეთ, რომ ღვინიაშვილი განთავისუფლებიათ. აქვე შევხვდი აგრეთვე ვახტანგ ძაბირაძეს. 26 მარტს ის წაიყვანეს პერმში, ორი კვირის შემდეგ—მე და გოგბაიძეც. ჩვენ ერთი კვირის განმავლობაში ერთ საკანში ვიყავით როსტოვში. გოგბაიძე იძახოდა: პერმის ბანაკში ჩავიყვანენ და იქ გაგვანთავისუფლებენ. მე მას ვუთხარი: არ მჯერა განცხადების გარეშე რომ გაგვანთავისუფლონ, მე კიდევ სამი წელი მაქვს დარჩენილი, დავწერ განცხადებას, გავალ გარეთ, თუ იქნება საშუა-

\*\*\*\*\*



ალებს იმისა, რომ რამე გავაკეთო ხომ კარგი, თუ არა და ცდილობს რომ უცხოეთში წავიდე. გოგბაიძემ მითხრა, რომ მას განცხადებას რომ მე განცხადებას დაეწერ და საჭირობის მიხედვით გაითვალისწინებს მას, რომ ის განცხადებას არ დაწერდა, რადგანაც მას ისედაც მალე გასდის ციხეში ყოფნის დრო.

ვოლგოგრადის ციხეში ყოფნის დროს, ოლქის სუკის თავრის მოადგილესთან საუბრების შემდეგ დაეწერე განცხადება ისე, როგორც მე მსურდა. ოთხი საათის დავის შემდეგ ცოტა რამ განცხადებიდან ამომადებინეს. ჩემ განცხადებაში აღვნიშნავდი: უარს არ ვამბობდი ჩემ ეროვნულ საქმიანობაზე, რადგანაც მიმაჩნდა სწორად და მართებულად, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე, რადგან საჯაროობა იყო გამოცხადებული, უარს ვამბობდი არალეგალურ საქმიანობაზე და იმედს ვამოვთქვამდი, რომ მტკივნეული ეროვნული საკითხების გადაწყვეტა შეიძლებოდა საჯაროობის პოზიციებიდან.

ბოლო დროს ვიყავი პერმის ბანაში, სადაც მოვიდა ბრძანება ჩემი განთავისუფლების შესახებ სამ ივნისს. მე განთავისუფლების ქალაქზე ხელს არ ვაწერდი, რადგანაც ეწერა: „განთავისუფლდეს შეწყალების საფუძველზე“. მე შეწყალება არ მითხოვინია მეთქი, ვაპროტესტებდი, მაგრამ ჩემი პროტესტი არაფრის მოქმედი იყო ციხის ადმინისტრაციისათვის. ისინი ბრძანებას ასრულებდნენ. ექვსი დღის მგზავრობის შემდეგ ცხრა ივლისს თბილისში ჩამოვედი. მე განთავისუფლების შემდეგაც ვაპროტესტებდი პირადად ჩემსა და საერთოდ ყველა პოლიტპატიმრის შეწყალების ფორმით განთავისუფლებას, როგორც ზეპირად ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ისე წერილობით მიმართვებსა და განცხადებებით. ერთ-ერთი მიზეზი ჩემი უცხოეთში წამოსვლისა ესეც იყო. ჩემი მოთხოვნა იყო: რეაბილიტაცია ან ემიგრაცია.

ზ ა ქ ა რ ი ა ლ ა შ ქ ა რ ა შ ვ ი ლ ი  
ლ ე ვ ი ლ ი , ა გ ვ ი ს ტ ო 1988

\*\*\*      \*\*\*      \*\*\*      \*\*\*      \*\*\*      \*\*\*      \*\*\*

ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა , ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა !

ძვირფასო მეგობრებო! უმორჩილესად გთხოვთ, არ დაივიწყოთ „ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“, გადმოგვიგზავნეთ თქვენი წლიური საწევრო გადასახადი თუ შემოწირულება.

მისამართი უცვლელია: **SOLIDARITE GEORGIE, 15, AV. R. SCHUMAN 75007 PARIS**

ტარიელ ზურაბიშვილი

ძ მ ა ს ქ რ ი ს ტ ე ს მ ი ე რ ს

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

როს მიაკითხავ წმიდა ალაგებს,  
თითქოს იერი ეცვლებათ ტაძრებს;  
წმინდა მამათა ძვალშესალაგებს,  
მღვდელმთავართა და მეფეთა საძვლეს.  
გეკითხებიან, მოსულხარ სადით,  
ხატება შენი ველარ გვიცვნია,  
წარსულის სუნთქვა ესდენ სიცხადით  
საუკუნეა არ განგვიცდია.  
ხარ მწირი თამარ დედოფალისა,  
სადვთო სინედლის გულში აღმძვრელი,  
თუ ნახევარძმა პარსიფალისა,  
დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი,  
სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმიდა  
გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული,  
თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან  
თორნიკესავით დაბრუნებული.  
ვინც განგვიახლე ნათლობის მადლი,  
კურთხევის ძალა შორს გამიზნული,  
როს მოგვეძალა დიდვაჭრის ადლით  
ღუშმანი ჩვენში შემოხიზნული,  
ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი  
და მიეფარა ღრუბლებს უფალი,  
შენ აღემართე ვითა პირველი  
დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი.  
თვით ზეციერმა შეგარტყა ძალი,  
გიპყრა მახვილი რვალთა მღეწავი  
და აგიტაცა როგორც ბოძალი  
ღუშმანის ძვლებში დასახვეწარი.  
გჩვეოდა მტერთან არ დარიდება  
შეწყვილებულ სიმტკიცით კლდესთან  
და ეძიებდი ჭეშმარიტებას,

ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს  
 დიდ წინაპართა ტანჯვით ვნებულსა  
 ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა,  
 როს განაახლე მინავლებული  
 ხმა ეროვნული თვითშეგნებისა.  
 ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე,  
 აზრთა განწყობას უცვალე ფერი,  
 ხელწერა შენი გულს დაამჩნიე,  
 ახალ ხარისხზე ასწიე ერი.  
 შენგან ნატყორცნი გავარდა სიტყვა  
 ვითარცა მეხი ცათა მკვეთელი,  
 ჯიუტი თმენის ზღუდე მისეტყვა,  
 ზღვა საგუბარის დასცა კედელი.  
 შემოიმტკიცე ფიცვერცხლით ძმანი,  
 ცეცხლს რომ უნთებდნენ გულში ასულებს,  
 შლეგებს მოვგავდით მოყმენი ცხრანი,  
 ვეფხვთან სარკენად ველად გასულებს.  
 არ დაგვითრგუნავს სხვათა უფლება,  
 ყველამ გაიგოს, ყველამ უწყოდეს,  
 რადგან ჩვენც შევეტრფით თავისუფლებას,  
 ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს.  
 მაგრამ ნესტანი, იგი ნესტანი  
 ისევ ქაჯთა ჰყავთ გამომწყვდელი,  
 კვლავაც ზვავობენ მტერთა დასტანი,  
 უტიფრობს შხამი მათგან ნთხეული,  
 ცნობამიხდილი წყევლი ცრუ სოფელს,  
 როს გულისსწორის სახელს აბოდებ,  
 ვიცო, ო, ვიცო, იმის ხელმყოფელს  
 უშრეტი ცეცხლით დაანაფოტებ.  
 როს ამოშრება წყევლის სათავე  
 ქაჯეთს მიხტომა ნახონ ჯიქური,  
 მაშინ იხილონ დუშმანის თავი  
 უწმინდურ სისხლით გადათხიფული.



მისთვისაც გაგთქვამს ზეცა და მიწა  
და ქარიშხალი ზღვებზე მქუხარი  
კვლავ გაიელვებ სიმაღლის ფარით,  
რწმენის სამკლავით და საფუხარით;  
გადაიქრები გზებით მყოფადში,  
დაემკვიდრები ხალხში მითივით,  
ზედმართულო ჩვენს ეპოქაში  
მიქელანჯელოს კუშტ დავითივით.  
დაუცხრომელო სულიერ ცდაში,  
დაუსაბამო სიტყვის მხმობელო  
უკიდევანო ასტრალურ ზღვაში  
დემონთა ხროვის დამამხობელო.  
ხომ ხედავ როგორ გართულდა ომი,  
ვაჰ, თუ ძალები შემომეღია,  
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,  
ავთანდილობა ერთობ ძნელია,  
ბოროტებისთვის მუქაფის მგებელს  
საქმენი ქველნი არ დამიგმია,  
მაგრამ სვებედის საწყისთა მძებნელს  
ერთი ამბავი ვერ გამიგია:  
სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე,  
როს ჩამოგეჭრა ხმა ედემისა,  
მოყვასისაგან რად განისაჯე  
ღირსო უკვდავთა დიადემისა,  
აღბათ გამოცდა ენება უფალს,  
როს გიმზადებდა ხვედრს არ ასაცდენს,  
რადგან განგებას რომელი უყვარს,  
მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს;  
რას დაგაკლებდა ბედი ტიალი,  
ეკალბარდებში სიკეთის მთესველს,  
ქორის ღვართქაფმა გადაგაიარა  
და როს აღგივსეს ძმარით ფიალა,  
არ აიციდინე სასმელი ესე.



\*\*\*\*\*

რადგან იცოდი როგორ მავნებლობს  
 როცა მაცდური გვიდგას საკესთან,  
 რომ სიამაყე აქ რომ მბრძანებლობს,  
 მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან,  
 რომ წაუხდება მცდელობა უმალ,  
 გატიალდება როგორც საპყარი,  
 როს აღმოჩნდება, რომ ამგვარ სტუმარს  
 ზეცაში არ აქვს თავშესაფარი,  
 რომ ვერ იხილავს სანუკვარ შედეგს  
 ქეშმარიტებას ვინც არ იმშვილდებს,  
 შეუბოვარი ბრძოლების შემდეგ  
 ვინაც ვერ ჰპოვა სულის სიმშვიდე,  
 ძმის აღსარება რომელმან გასთქვა,  
 ვინც ვერ დაიცხრო დეღვა გულისა,  
 ზიარებამდე ვინაც ვერ წარსთქვა  
 საგალობელი სინანულისა.

მერაბ კოსტავა  
 1978 წ. 12 აგვისტო

\*\*\*

წამებული ძმისადმი  
 (მერაბ კოსტავას)

ერზე მკმუნვარე ძმათა კრებული  
 ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,  
 უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული  
 სასოფეველში შვევა, იცოდე!

\*

ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები  
 და სერაფიმთა ჰაეროვნება,  
 არ გწამს მონღოლის ნატრაბახები  
 და არც მარდოხეს ყალბი ცხოვრება.

\*

გვეტანებოდნენ ძალღნი და ღორნი,

ზ. გამსახურდია: „წამებულის ძმისაღმი“

\*\*\*\*\*



შემუსვრა სურდათ ელვარე ჭადის,  
მაგრამ ხომ დავრჩით მაინც ჩვენ ორნი,  
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის!

\*

კვლავაც დავუდგეთ დარაჯად საფლავს,  
ყველა ცოცხალთა მიზანს და მიზეზს,  
ამგვარ წამებას ხომ შევბაც ახლავს,  
ხვალეც იმედის თვალებით გვიმზერს.

\*

ცხოველმყოფელი საფლავი იგი  
გვიწამებია ცხოვრების წყაროდ,  
დაგვცქერის თვალი არსთაგანმრიგის,  
ის აგვარიდებს ბედის შავ ტაროსს.

\*

და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენი,  
ცა გარდაგვეხსნა მარადეამული,  
ხელთუქმნელ ხატის დიდებით მშვენი,  
ღვთის წილხვდომილი ჩვენი მამული.

\*

ღე, ელვარებდეს ივერთა ცაზე  
მზე შუალამის, ბარძიმი წმინდა,  
გვწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი  
და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა.

\*

ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,  
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი  
და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე  
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

ზვიად გამსახურდია

1986

თ. ჩივანი

წინაპართა ღაღადი

საფლავებზე ქვები სდუმან, სიო არხევს ბალახს  
 და გვიამბობს შორს წარსულზე გაგონილს თუ ნანახს.

\*

თუ რამდენჯერ დაულეწეს საქართველოს კარი,  
 ველ-მინდვრებზე ვით დიოდა წმინდა სისხლის ღვარი.

\*

გლხს ერთ ხელში ხმალი ებყრა, მეორეთი ხნავდა,  
 რადგან ღედა - საქართველო სხვაგან არსად ჰყავდა.

ნ

ვიმარჯვებდით, წინ გვიძლოდა ვაზის წმინდა ჯვარი;  
 ყველას სწამდა ქრისტე-ღმერთი უძლეველი, მყარი.

\*

ჩრდილოეთის ქარიშხალმა დაგვინგრია ქერი  
 და გაჰფანტა ზღვის გადაღმა ჩვენი მცირე ერი.

\*

მაგრამ აქაც, სხვის მიწაზე არ დაგვარგეთ ძალა,  
 მუდამ გვახსოვს ჩვენი მცხეთა, ჩვენი ნარიყალა.

\*

ჩვენ ლევილში განვისვენებთ, ქართველები ერთად,  
 წმინდა ნინოს ეკლესია გავიხადეთ ღმერთად.

\*

მაგრამ თუ დრომ დაგირწიოთ დავიწყების ნანა,  
 ეცადეთ, არ დაივიწყოთ თქვენი ანა-ბანა.

სოფ. ლევილი

\*\*\*

\*\*\*

ლ ე გ ე ნ დ ა წ მ ი ნ დ ა ნ ი ნ ო ზ ე

მოდით და წმინდა ნინო რომს მონასტრად ნამყოფი,  
 მოდიოდა, თან მოჰქონდა რწმენა ქვეყნის სამყოფი .



ჯავახეთი გადიარა ზაბულონის ასულმა,  
მასზე თქმული ეს ლეგენდა შეგვინახა წარსულმა.

მოდოდა ვაზის ჯვარით ფეხშიშველა ასული,  
რომ გოლგოთას აეზიდა ჯვარი ხანგადასული.

ზედაზნისკენ მიმავალი სამწყსო შეხვდა მდუმარი,  
თან მიჰქონდათ შესაწირი, გაიყოლეს სტუმარი.

სტუმრის ხილვა ყველასათვის საკვრეტელად გადიქცა:  
ნინომ ლოცვით ღმერთს შესთხოვა, და არმაზიც დაიქცა.

რომ გათენდა, ჯვარის მთაზე არ ბრწყინავდა კერპი,  
ხის ნაკეთი ჯვარი იდგა, სწამლათ ნინოს ღმერთი...

\*\*\* \*\*

წ ი წ ა მ უ რ თ ა ნ

სიცოცხლის ძარღვი გაწყდა უეცრად  
და დაიღვარა უმწიკვლო სისხლი.  
ბურჯი წაიქცა საქართველოსი  
და წიწამურზე ჩამოწვა ნისლი.  
მოჰკლეს ილია, მუზების მეფე.  
ექებენ მკვლელებს, ბობოქრობს ხალხი,  
და გასროლილმა იმ ერთმა ტყვიამ  
მთელ საქართველოს ჩააცვა თალხი.  
ღღეს წიწამურთან ვდგავარ მდუმარედ,  
თითქოს ის ტყვია გულში მეც მომხვდა.  
ღროის სიმრავლე ვერ დაგვავიწყებს  
იმ ტრაგედიას, რაც მაშინ მოხდა



შ ე მ ო დ გ ო მ ა გ უ რ ი ა შ ი

თ ბ ი ლ ი ს ტ

შემოდგომა ... თბილი დარი,  
 მთავრიანი ღამე წყნარი.  
 ჩალის კონა, ფოთოლთ ცვენა,  
 ჩარაზული ოდის კარი.  
 და ბუხარში ნაკვერცხლებზე  
 სიმინდების ტკაცვა-ტკუცი,  
 გოდრებიდან ტაროს ცვენა,  
 საწნახელში ფაცა-ფუცი.  
 ფელამუშის თუხთუხი და  
 ჩურჩხელების ხიდან ცვენა,  
 „მწვანე ოქროს“ მოკრეფა და  
 „ყვითელ ოქროს“ მოძალება.  
 ხურმის ტოტი თვისკენ გიხმობს,  
 აღარ გვმართებს მოკრძალება.  
 საღამოობით უხვ სუფრასთან  
 მაჭარი და ტკბილი ღვინო,  
 და კეთილი სურვილები,  
 რომ მაშვრალმა დაიძინო

ოქროს ბეჭედში ჩასმული,  
 შენ თვალო საფირონისა,  
 ყველანი შენსკენ ილტვიან,  
 გოდოლო ბაბილონისა;  
 გულია მასპინძელი ხარ  
 ყოველი ქვეყნის ერისა,  
 მინდა დაგლოცო, ვისურვო  
 არ გაცივება კერისა.

\*\*

საღამო სოფლად

წვიმს, ღამეა და ეზოში  
 დავლურს უვლის ქარი,  
 ტაშს უკრავენ ხის ფოთლები  
 და ქრიალებს კარი,  
 ბუხრის პირას ჩვილს აძინებს  
 დედის ნანა წყნარი.

შ ე მ ო ღ ა მ ე ბ ა მ თ ა შ ი

მზე გაიცრია, დაატყვევეს ცაში ღრუბლებმა,  
 ნისლის ნაბადში გაეხვია მთელი სამყარო,  
 და ბარისაკენ, გულისფანცქალით,  
 მიეშურება ცელქი მთის წყარო;  
 ათრთოლებული ფოთლების ტევრში  
 რად იმალები ცელქო ნიაგო?!  
 დღეს ხომ წყაროსთან პაემანი გაქვს,  
 იჩქარე, რომ არ დაიგვიანო!

თ. ჩ ი ვ ა ნ ი

პ ა რ ო ზ ი 1988.



ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს

შენ მოგვიშუშე წყლული მტკივანე,  
ქართველს ხრმალი შენ გამოუპირე,  
სახელი შენდა, დიღო ივანე,  
ჩვენო ხანძთელო და ეფრემ მცირე.

\*

ჩვენ არ გახლავართ ბედის მჩივანე,  
რადგან სამშობლოს თავი შესწირე,  
დიდება შენდა მხნეო ივანე,  
ჩვენო ხანძთელო და ეფრემ მცირე.

\*

თავდადებისკენ მძლედ მომყივანე,  
ძირს დასცი ივერთ მოპირდაპირე,  
თაყვანი შენდა წმიდა ივანე,  
ჩვენო ხანძთელო და ეფრემ მცირე.

1984 წლის 27 აპრილი

\*\*\*

\*\*\*

შ ა ო რ ი

შ ო რ ს დარჩა ნაძვენარიანი ქედები ნაქერალისა,  
ა მომავალი მზის დარი, თვალნი რაქველი ქალისა;  
ო მახიანი სიმღერა: „რაეო, ჩემო დედაო“,  
რ იკულიანი სახლები, ყანები ზედიზედაო,  
ი მაზე კარგი რა არის აჭაურ კალმანზედაო.

ვაშინგტონი, ტაკომაპარკი. 1988 წლის 7 ოქტომბერი

გ ი ვ ი შ ა ო რ ე ლ ი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ს ე რ გ ო ტ ო გ ო ნ ი ძ ე ს

(1937 წელს გადასახლებაში დაღუპულ ძმის)

საზეო არის შენი სურვა, სულის ძახილი,  
ცხოვრობდე მუდამ შენს სამშობლოს გრძნეულ ფიქრებთან.  
ბრძოლის ქარცეცხლში შენ უერთებ სიხარულს სევდას,  
რომ მზის წინაშე იგრძნო კარდუს ზეცის წადილი.

არ თმობდი წამით მტრის წინაშე მამულის ტრფობას,  
იყავი მისი ცისკრის ეშხით აღვივებული,  
ძველ ეტრატების საიდუმლო მგზავრი ერთგული,  
გრძნეულ ხალისით მინდობილი მის მზიურ კრთომას.

საქართველო  
გეოგრაფიული  
სამეცნიერო ცენტრი

გეწოდა გული, როს ხედავდი მტარვალთა ხროვას,  
ნახე აწ ქვეყნის სივერაგე, დაუნდობლობა,  
თბილისის კართან აღმართული თებერგლის გლოვა.

და ციურ ხმობას, შენს ქაბუკურ გამოთხოვებას  
ტოლად მიჰყვება ბრძოლის ცეცხლში დაქრილი გული,  
ქრისტეს კურთხევა და სამშობლოს ღრმა სიყვარული.

პარიზი 1961

### ვ ა რ ლ ა მ ტ ო გ ო ნ ი ძ ე ს

(1937 წ. საფრანგეთში ლტოლვილობაში გარდაცვლილ ძმას)

ყინწვისის ზედაშს შენ ეწვევი ბეთლემის ღამით,  
რომ გრძნეულ ხატებს შეავედრო მღელვარი სული.  
მბორგავ ფიქრებში, მწუხრის ცეცხლით გამოსახული,  
გტანჯავს სამშობლოს ვაება და მისი ვარამი.

შენს ცისკენ ლტოლვას ფრთებს აუსხამ გრძნეული ლოცვით,  
და გულს გაუხსნი სასოებით გულთმისან ესხილს,  
შენი ღმერთია კარდუს სუნთქვა და დიდი მესხი,  
„ქართლის ცხოვრება“, ვით ქადაგი და სულის მოგვი.

არ დაემონე მძულვარების და რისხვის ქურუმს,  
სკვითების წითელ დაუნდობელ სიკვდილის ცეზარს,  
მიყვები ტრფობით წინაპრების შენ გმირთა ხორუმს.

და, საუკუნეს სუნთქავ ისე, ვით სულის ქერძაფს,  
ნახე აწ ქვეყნის სივერაგე და უნდობლობა,  
და, საქართველოს ერთიანი მტრობით დამხობა.

პარიზი 1951

გ ი ო რ გ ი ტ ო გ ო ნ ი ძ ე ს



ლევლის დიდების გარდაცვალებიდან  
ივლიტე (ნამო, ნამეტია) გოგუაძის ხსოვნას

ა. წ. 1 აგვისტოს, 97 წლისა და 5 თვის ასაკში გარდაცვალებული, ათ აგვისტოს ლევლის სასაფლაოს მივებარეთ ჩვენი დიდი ქალბატონი-ივლიტე-ნამონამეტია გოგუაძისა, დაბადებით ბერძენიშვილი.

ნამეტია არა მხოლოდ წელთა სიმრავლით იყო დიდი და პატივცემული, არამედ საქმიანთა და მის მიერ ირგვლივ დათესილ სიკეთითაც.

70-ანი წლების დამდეგს ჩვენი სათვისტომოს გამგეობამ, რომელსაც აწ განსვენებული ლევან ზურაბიშვილი თავმჯდომარეობდა, პირველად სათვისტომოს ისტორიაში, ნამეტია უკანასკნელ წლებში ნამეტიას საპატიო წევრის წოდება მიანიჭა. აღსანიშნავი ისიცაა, რომ ამ დადგენილებამ საყოველთაო მოწონება მიიღო, ხოლო ზოგიერთი ჩვენთაგანი ისეთი ენთუზიანობით გამოვეხმაურეთ, რომ მას ესეც არ ვაკმარეთ და ზედმეტად „ლევლის ადგილის დედაც“ ვუწოდეთ. ჩვენს უანგარო პატივისცემას ასაზრდოებდა: ა) ლევლის სასაფლაოს შექმნისათვის გამოჩენილი მისი თაოსნობა, ბ) მსოფლიოში გაფანტული და პოლიტიკურად დამოკიდებული ჩვენი ემიგრაციის შემკრები და შემაკავშირებელი როლის თამაში მისგან, გ) უცხოეთში დაბადებულ ახალგაზრდებში მისგან დანერგილი დედობრივი სიყვარული, დ) ლევლისა და მის შემოგარეში მცხოვრებ ფრანგებში მისი დიდი პოპულარობა.

ამ ოცდაათიოდე წლის წინად ქართველთა საფლავები სად არ იყვნენ გაფანტულნი! ევროპასა და ამერიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით პარიზში და მის ახლო-მახლო მცხოვრები ქართველებიც სულ



სხვადასხვა ადგილას საფლავდებოდენ. არც არავის დაუფარვნი  
 არც კომიტეტობანას ჰქონებია ადგილი, ერთ მშვენიერ საფლავში  
 გადაწყვიტა და მიმართა საზოგადოებას ფინანსიური დახმარებისა-  
 თვის, ჩვენი საზოგადოებაც მას მხურვალედ გამოეხმაურა, მალე სა-  
 კმაოდ მოზრდილი თანხა შედგა, რითიც ნამეტამ ფრანგების სასა-  
 ფლავოსთან მიმდებარე მიწა შეიძინა, სასაფლაო ჭვიტიკით შემოა-  
 ლობინა და საჩუქრად მიართვა სოფლის კომუნას, მერიაშაც დაგვი-  
 მადლა და ლევილს გარედ მცხოვრებ ქართველების დასაფლავების ნე-  
 ბაც დაავრთო. დღეისთვის აქ სამასამდე ქართველი განისვენებს და  
 შეიძლება ითქვას, რომ თუ ემიგრაციას რამე ღირებული რჩება უც-  
 ხოეთში, მათ შორის ყველაზე ძვირფასი, ვფიქრობთ, ეს სასაფლაოა.

საზოგადო საქმისათვის ფულის შეგროვების შემთხვევაში დიდი  
 მნიშვნელობა აქვს ნდობის საკითხს. ნდობის მოხვეჭა განსაკუთრე-  
 ბით ძნელია ჩვენს ემიგრანტულ პირობებში, როდესაც ასე შორი-  
 შორს ვცხოვრობთ ერთიმეორისაგან. საიდან მოდიოდა მისი ეს საყო-  
 ველთაო აღიარება, დაფასება, ნდობა, რომ გაპირვებით დაზოგილი  
 ობოლი ტყუილუბრალოდ არ დაიკარგება? ის ხომ სამშობლოში არ  
 ყოფილა სახელგანთქმული არც პოლიტიკური, არც საზოგადოებრივი  
 და არც ლიტერატურული მოღვაწეობით! მაშ რა იყო ის თილისმა,  
 რომელიც ბერლინიდან დაწყებული სანტიაგომდე ზემოქმედებდა?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლევილის ქართულ მამულში(შატო)  
 \*\*\*\*\*

ჯერ კიდევ ბევრი გამოჩენილი მოღვა-  
 წე მუდმივად ან ხანგამოშვებით ცხო-  
 ვრობდა, რომლებიც ჩვენი დიდი ეროვ-  
 ნული ისტორიის საგნები არიან, მაგრ-  
 ამ პარიზელი თუ შორიდან ჩამოსული  
 ქართველების (რომელთა რიცხვი მაშინ  
 მცირე არ იყო) სტუმრობა-დროსტარება  
 ყველაზე ხშირად პოლკოვნიკ სიმონ წე-  
 რეთლის და გოგუაძეების ოჯახებში  
 ხდებოდა. პირველი მეტად ღარიბი იყო  
 და სად შეეძლო ამდენი ხალხის გამას-  
 პინძლება, მაგრამ სიმონ წერეთლის საა-  
 რაკო თამაღობა და მხიარული, გულით-  
 ადი, მამაშვილური მიღება იზიდავდა

ნამეტია 90 წლისთავზე



\*\*\*\*\*

და ქარმაგებსაც, რომლებსაც თვით მოჰქონდათ საჭირო პატარა ბიჭო-  
ხლო დისახლისის უყოლობა კი აქ ერთგვარი უპირატესობა  
ქართულ ლზინსა და თავშეუკავებელხუმრობამოწყურებულ შეინახეთა-  
თვის. ვოგუაძეების ოჯახი სულ სხვა იყო—უხვი და იშვიათი დისა-  
ხლისით დამშვენებული. საკითხავი ის კი არ არის თუ ვის გამას-  
პინძლებია ნამეტია, არამედ ის იშვიათი გამოჩაქისი, ვისაც ბედმა  
არ არგუნა დამტკბარიყო მისი მაღლიანი ხელით შეკმაზული ლობიო-  
თი თუ სხვა ნიგვზიანი კერძებით, ცხელ-ცხელი მჭადებითა და ხაჭა-  
პურებით ... ლუარსაბ თათქარიძის არ იყოს: მაძღარიც რომ ყოფილი-  
ყავით, მაინც ვერ გაუძლებდით მის მიერ შემოთავაზებულ საკმელე-  
ბის ცდუნებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ საკმელზე მეტად დაუ-  
ვიწყარ განწყობილებას ქმნიდა დისახლისის სიცოცხლით სავსე მხი-  
არულება, მახვილი იუმორით შეზავებული სიტყვა-პასუხი და უშურვე-  
ლი მასპინძლობა.

ნამეტიას ეხერხებოდა დიდ-  
თან დიდი ყოფილიყო, პატა-  
რასთან პატარა და დედობრი-  
ვად გულისხმიერი, მან ძალიან  
დიდი გავლენა მოახდინა უცხო-  
ეთში დაბადებულ და აღზრდილ  
ჩენს თაობაზე, რომლისთვისაც  
ნამეტია იყო და დარჩა დედა-  
სამშობლოს სიმბოლოდ, რომელ-  
იც არც თვალთ უნახავთ და  
არც ენა ესმით.

ნამეტიას აგრეთვე დიდი სიყ-  
ვარული და პატივისცემა ჰქონ-  
და დამსახურებული ფრანგებში,  
განსაკუთრებით კი ლევისა და  
მის ახლო-მახლო მცხოვრებლე-  
ბში, მას მაღამ ლადოს ეძახოდენ



ნამეტია ახალგაზრდობაში

\*\*\*\*\*  
და ჰქონდათ მასთან მჭიდრო ურთიერთობა. ნამეტია უდავოდ იყო ამ  
გარემოში ქართველი ხალხის ღირსეული წარმომადგენელი.

ნამეტია დაბადებულა 1891 წლის სამ მარტს, გურიის სოფელ შუა-  
ფარცხმაში(ახლანდელი ჩოხატაურის რაიონი), ლარიბ და მრავალშვი-

ლიან გლეხის ოჯახში მეცხრე შვილად, და აქედან წარმოშობაში სი ზედსახელიც: ნამეტი, ნამეტია. მამამისი ანტონი ვარგის ვაჟე-ცი, თუმცა უწიგნური, მაგრამ გონებაგახსნილი და მოწინავე იდეების გლეხი ყოფილა, ხოლო დედამისი რუსუდანი, ჯიბლადის ასული, რომელიც, სხვათაშორის, სილიბისტრო ჯიბლადის ახლო ნათესავი ყოფილა, კარგი მწიგნობარი, ვეფხისტყაოსნის ზეპირად მცოდნე ბრძანებულა. ცოლქმარი მრავალშვილიანობას ვერ დაუჩაგრავეს, პირიქით, ორი სხვა ობოლი ბავშვი კიდევ უშვილებით და ყველასთვის რიგიანი სწავლა-განათლება მიუტყიათ. ნამეტიას საშუალოს დამთავრების შემდეგ ორი წელიწადი საექიმოზე უსწავლია, მაგრამ საბოლოოდ სამასწავლებლო ინსტიტუტი დაუმთავრებია.

ერთ მშვენიერ დღეს მათ ოჯახს სწვევია ომში დაჭრილი გმირი ვალოდია გოგუაძე, რომელიც ნამეტიას უფროსი ძმის ამხანაგი ყოფილა. ამ უკანასკნელს ვალოდიასთვის უთქვამს: რატომ ცოლს არ შეირთავო? ვალოდიას დაუყოვნებლივ უპასუხია: თუ ამ შენ დას შემრთავ შევირთავ, თუ არადა, სხვისი შემრთველი არ ვარო. როგორც თვითონ იტყოდა აწ განსვენებული, ჯავშნიანი მატარებლის მამაცი მეთაურის იერიშზე ახალგაზრდა ნამეტიასაც სულ ადვილად იარაღი დაუყრია. ამის შემდეგ ნამეტიას ქმრის მღელვარე ცხოვრება მთლიანად გაუზიარებია ისე, რომ ხშირად ბრძოლებშიდაც ვალოდიას გვერდით ყოფილა ჯავშნიან მატარებელში.

**1921** წელში, როცა წითელი არმიის ურდოებმა ჩვენი სამშობლო გადათელეს, მთავრობასთან ერთად ზოგიერთი პოლიტიკური და სამხედრო პირი თურქეთში გაიხიზნა, მათ შორის იყო დაჭრილი ვალოდია გოგუაძეც. ქ-ნმა ნამეტამ, როგორც კი გაიგო ქმრის ამბავი, მაშინვე ყველაფერი მიატოვა და კონსტანტინეპოლის საავადმყოფოში მომველად დაადგა თავზე მძიმედ დაჭრილ მეუღლეს და კიდევაც მალე ფეხზე წამოაყენა. იმ ხანად, ალბათ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ფიქრობდა, რომ სამშობლოს მცირე ხნით სტოვებდნენ, მაგრამ განგებამ ასე არ ინება, მათ სამშობლოში დაბრუნება აღარ ეწერათ სიცოცხლეში, არამედ პარიზის მახლობლად ლევილის სასაფლაოზე განსვენება. მე არ ვიცი, ნამეტიას ცხედარი აქ დარჩება სამუდამოდ, თუ მშობლიურ გურიის მიწაში გადაასვენებენ. ვიცი მხოლოდ, რომ ის ბოლომდე დარჩა გურული მანდილოსნის ტიპიურ წარმომადგენლად და მისი სულიც შეუერთდება დიდებულ ქართველ დედათა

სულთ, რომლებიც მუდმივად თავს დანათიან ჩვენს სამშობლოში ზღაპრულად და წყალს, მთასა და ბარს, ხეებესა და ველებს ჩვენ კი აქ, მისმა უნცროსმა მეგობრებმა, სანამ ცოცხალ ვართ, პატივისცემით ვახსენოთ და ვადიდოთ მისი სახელი.

გოგი წერეთელი

\*\*\*

\*\*\*

ვ ა ლ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ი ძ ი ს გარდაცვალების გამო

ეს აგვისტოს თვე უწყალო გამოდგა ჩვენი საზოგადოების უხუცეს-თათვის. 22 აგვისტოს დილით მის ბინაში მკვდარი აღმოაჩინეს ბნი ვალიკო ჩუბინიძე, რომელიც მარტო ცხოვრობდა და ალბათ გულის შეტევით უეცრად ღამით გარდაიცვალა. მისი სახით ჩვენ სამუდამოდ გვეტოვებს ჩვენი სამშობლოს ეროვნული აღდგომისა და დაცე-მის მოწმე და აქტიური მონაწილე.

ცოტაც და საუკუნეს შეასრულებდა. განსვენებული დაბადებულა 1891 წლის პირველ მაისს სოფელ ქვაციხეში, ქ. ჭიათურის მახლობლად, ღარიბ გლეხის ოჯახში. სასკოლო ასაკში მას უკვე შავი ქვის წარმოებაში დაუწყია მძიმე მუშაობა. მისი სკოლა ყოფილა შავი ქვის მადაროები, მასწავლებლები კი საციმბირო მარქსისტ-რევოლუციონერები. ეს იყო რუსეთის იმპერიის დიდი რევოლუციური აღმავლობის წლები, 1900 - 1905 წლები, ვ. ჩუბინიძის რევოლუციური ნათლობის წლები. ის აქტიური წევრი ხდება სოც. დემოკ. მუშათა პარტიის და სიკვდილამდე ერთგული მებრძოლი რჩება ამ პარტიის. 1911 წელში ვალიკოს ირჩევენ ს.დ.მ. პარტიის ჭიათურის კომიტეტის წევრად. პირველ მსოფლიო ომის დაწყებისთან-ავე ვ. ჩუბინიძის ჯარში იწვევენ, იბრძვის ჯერ გერმანიის, შემდეგ კი თურქეთის ფრონტზე, ნიკოლოზ მეორის გადადგომისა და ფრონტების მოშლის შემდეგ, 1917 წლის ბოლოს ჩადის თბილისში პარტიის ცეკას განკარგულებაში, მონაწილეობას ღებულობს არსენალის აღებაში და ხდება ახლად შექმნილი ჯერ წითელი და შემდეგ სახალხო გვარდიის წევრი. მისივე მოგონებების მიხედვით, გვარდიაში ის მთავარ შტაბში, ვ. ჯუღელის უშუალო განკარგულებაში იყო და მონაწილეობა აქვს მიღებული ყველა ომში, რაც კი გვარდიამ დაარსებიდან დამარცხება-დაშლამდე გადაიხადა.

\*\*\*\*\*

დამარცხება-დაპყრობის შემდეგ ვ. ჩუბინიძე რჩება სამხრეთში, ჭიათურის მაღაროებში ანახლებს მუშაობას და არალეგალურად კორუსული ხიშტების წყალობით დამყარებული საბჭოთა რეჟიმის საწინააღმდეგო მოქმედებასაც ეწევა სოც. დემოკრატიული პარტიის სარაიონო ორგანიზაციის ხაზით. ცნობილია, რომ ვ. ჩუბინიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. თუმცა ჭიათურის გამოსვლების შეცდომით 24 საათით ადრე დაწყებამ გააფრთხილა ხელისუფლება და მით ხელი შეუშალა საყოველთაო აჯანყების მოულოდნელ დაწყებას, მისი ღირსება ჩვენი ქვეყნისათვის ამით არ მცირდება. ჭიათურის აჯანყებულელებმა წარმატებით შეასრულეს მათზე დაკისრებული გეგმა—ჭიათურა და მისი ახლო-მახლო სოფლები, თითქმის უსისხლოთ, გაწმინდეს კომუნისტებისა და ჩეკისტებისაგან, 24 საათის განმავლობაში ჭიათურის შუაგულში სამფეროვანი ეროვნული დროშა ფრიალებდა. ამ წარმატებაში ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ვ. ჩუბინიძესაც ეკუთვნის, რადგანაც ის წინ მიუძღოდა მებრძოლ რაზმს, რომელმაც აიღო ქალაქის ერთი მნიშვნელოვანი უბანი, სარაიონო ჩეკის შენობა.



ვ ჩუბინიძე 1927 წელში

აჯანყების დამარცხების შემდეგ ვ. ჩუბინიძე თბილისში მიდის, იქ არალეგალურად ცხოვრობს და მონაწილეობს დარბეული ორგანიზაციებისა და ცენტრალური კომიტეტის აღდგენის საქმეში. ბოლოს და ბოლოს მას ჩეკა აპატიმრებს და წინადადებას აძლევს აირჩიოს: ან სიკვდილი და ან ჩეკის აგენტობა. პატიმარმა ეშმაკობა იხმარა, სიკვდილს სიცოცხლე არჩია, აგენტობაზე ჩეკას ხელი მოუწერა, მაგრამ როგორც კი თავისუფლება იხელთა, მაშინვე თურქეთის საზღვრები გადმოლახა და პარიზს მოაშურა, 1926 წელში.

ხანგრძლივ ემიგრატობაშიაც ბნ ვალიკოს მის ჩვეულებებისთვის არ უღალატებია. შრომობდა მუყაითად, ჯერ ჩვენ საელჩოში, ხოლო მისი დახურვის შემდეგ პარიზში საცალო ვაჭრობას ეწეოდა, დიდი ხნის განმავლობაში, სანამ ოთხმოცდაათი წელი არ შეუსრულდა. ამავე დროს მან ორ წიგნად გამოსცა შიში მოგონებები, გამოსცა ნოე ჟორდანიას უკანასკნელი ნაწერები და ფულად დახმა-

რებასაც უწევდა გაჭირვებაში მყოფი ჩვენი მთავრობის თანამშრომლებს. ვ. ჩუბინიძე თავიდანვე აქტიურად მოღვაწეობდა სახელმწიფო მართვის სფეროში. პარტიის პარიზის ორგანიზაციაში და ორი ათეული წლის განმავლობაში იყო მისი თანამჯდომარე. ის იყო აგრეთვე საქ. ს. დ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს ჯერ წევრი და პავლე სარჯველაძის გარდაცვალების შემდეგ, როგორც უზუცუესი წევრი, თანამჯდომარე. ბევრი ურჩევდა მას, რომ დიდი ხნოვანების გამო აქტიურ პოლიტიკისათვის თავი დაენებებია, მაგრამ ის ჯიუტად თავისას აგრძელებდა. მე მგონია, რომ ის ამაში მართალი იყო. მართლაცადა, როგორ შეიძლება: ეროვნულ ჭირვარამს კაცი სიოცხლეში განზე გაუდგეს, გადადგეს, პენსიაში გავიდეს?!

როგორც უკვე აღვნიშნე, განსვენებული სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოიყვანა ეროვნულ ასპარეზზე. ის ამ პარტიის რიგებიდან ემსახურებოდა ჩვენს სამშობლოს, მის დამოუკიდებლობასა და პროგრესს, სოციალური სამართლიანობის დამყარებას, როგორც სამშობლოში, ისე გადმოხვეწილობაში. დღეიდან ისიც ლევილის სასაფლაოზე განისვენებს. ქართველმა მამულიშვილმა, როცა მის საფლავს გვერდით ჩაუვლის, რა პარტიის წევრიც არ უნდა იყოს, წუთით მაინც უნდა შეჩერდეს და პატივისცემის ნიშნად, თავი დახაროს. საუკუნო იყოს ხსენება მისი!

მეზობელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ წელს 20 სექტემბერს პარიზში გარდაიცვალა გოგი ბერიძე.

გოგი დაიბადა 1915 წ. 2 თებერვალს ქუთაისში, მამამისი კალისტრატე მხედარი ოფიცერი ბრძანდებოდა, ხოლო დედა ქ-ნი ანასტასია(ტასო) ლომინაძის ასული - პედაგოგი.

1921 წელს ბერიძეთა მთელმა ოჯახმა სამშობლო დასტოვა და ექვსი წლის გოგიმაც მათთან ერთად, სამი წლის თურქეთში



ცხოვრების შემდეგ ბერიძეთა ოჯახი პარიზში ჩამოვიდა და დასახლდა. გოგამ აქ მიიღო განათლება, აქვე დაოჯახდა და აქვე გაატარა მთელი სიცოცხლე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ესპანეთსა და ჩრდილო მაროკოში გატარებულ რამოდენიმე წელიწადს.

მიუხედავად ამისა, ის მთელი არსებით ქართველი იყო. ის არა მარტო უზადო ქართულით მეტყველებდა, არამედ აგრეთვე მისი გული და აზრი ერთი წუთითაც არ სცილდებოდა მის სამშობლოს; და როცა საჭირო მომენტი ივლუვა, თავიც არ დაუზოგავს მისთვის, მამულის გამოსახსნელად იარაღი აიღო ხელში.

გოგი ბერიძის ინტერესს მუდამ წარმოადგენდა საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა, მუსიკა, ხელოვნება...

გოგის არ შეეძლო, რომ მდგომარეობით ესარგებლა, მისი ხელქვეითი ან მასზე დამოკიდებული დაეჩაგრა, დაემცირებია. ვინც მას ახლოს იცნობდა, ყველა გაკვირვებული იყო მისი უანგარო და გულითადი მეგობრობით, თანაგრძნობით და სულის სიფაქიზით. ის იყო აგრეთვე ტკბილი, საყვარელი და გულისხმიერი მამა.

გოგის ჭირისუფლად რჩება მეუღლე, და, ორი ქალიშვილი, სიძე და შვილიშვილი, ჩვენი დამწუხრებული თანაგრძნობა მათ.

შოთა ბერეჟიანი

\*\*\*

\*\*\*

წელს 31 აგვისტოს, პარიზში, გარდაიცვალა და ორ სექტემბერს დაიკრძალა მამა გაბრიელ ანრი, ჩვენი წმინდა ნინოს ეკლესიის მღვდელი, მარად დაუფიწყარ მამა ილია მელიას გარდაცვალების შემდეგ. მამა გაბრიელი, ფრანგი, ნახევრად ბერძნული წარმოშობის და ორივე ენისა და კულტურის მფლობელი, არც ისე ხნიერი (70 წლის), სიცოცხლით სავსე, გულისხმიერი, ადვილად დამეგობრების უნარიანი სასულიერო მოღვაწე იყო და სულ ცოტა ხანში მთელი ჩვენი სამრევლოს პატივისცემა დაიმსახურა. მით უფრო დასანანია მისი მოულოდნელი გარდაცვალება. გულითადი სამძიმარი მის დამწუხრებულ ოჯახს, საუკუნო ხსენება განსვენებულს.

\*\*\*

\*\*\*

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, წელს, სექტემბრის შუა რიცხვებში, პარიზში გარდაიცვალა ქ-ნი მართა ამილახვარი-დადიანისა და ცხედარი მისი მიბარდა ბურგ-ლა-რენის სასაფლაოს. მის ოჯახს ჩვენი ღრმა თანაგრძნობა.

\*\*\*\*\*

რუსული უბედურება

[Helene Carrere d'Encosse: Le malheur russe (Essai sur le meurtre politique)]



ამ უკანასკნელ დღეებში ფრანგული წიგნის ბაზარზე გამოვიდა კიდევ ერთი შესანიშნავი ნაწარმოები ქ-ნი ელენ კარერ დანკოსის, რომელსაც ეწოდება „რუსული უბედურება“. ამ ხუთას გვერდიან ეს-ეიში დიდი მეცნიერული სიზუსტით ნაჩვენები და განმარტებულია პოლიტიკური მკვლელობების უწყვეტი ჯაჭვი, რომლითაც შებოქილია რუსეთის სახელმწიფო კიევის სამეფოს საფუძვლების ჩაყრიდან სტალინის სიკვდილამდე.

როგორც ავტორიც ბრძანებს, მსოფლიოში არცერთი საზოგადოება არ არსებულა პოლიტიკურ მკვლელობისაგან სამუდამოდ დაზღვეული, მაგრამ თითქმის ყველა საზოგადოებაში არიან პერიოდები, რომლებიც პოლიტიკური მკვლელობის სიხშირით ხასიათდებიან და პერიოდები, როცა მკვლელობათა სიხშირე ნულამდე დადის. ამ წესიდან გამორიცხული ჩანს მხოლოდ რუსეთი. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ: „რუსეთის ისტორია არის უპირველესად პოლიტიკურ მკვლელობათა უწყვეტი ისტორია, რუსეთის ჩამოყალიბების დაწყებიდან—IX საუკუნეში ქრისტიანობის შემოღებიდან, - არ არის არცერთი თაობა, რომელიც გაქვავებული მოწმე არ იყოს პოლიტიკისა და მკვლელობის ურთიერთობის. შესვენების დრო ამ ქვეყანაში მოაქვს ომსა და დაპყრობას, სიკვდილისა და ძალმომრეობის ამ სხვა ფორმას; მაგრამ მისი უპირატესობა ასაა, რომ, რადგანაც ის გარედან მოქმედებს, ის დროებით აკავშირებს საზოგადოებას სიკვდილის მთესველ მტრის წინააღმდეგ. მკვლელობათა ამ გრძელმა ტრადიციამ უდავოდ გამოიმუშავა რუსი ხალხის კოლექტიური შეგნება, რომელშიც მშვიდობიან პოლიტიკურ გარემოს მოლოდინს უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, მაშინ, როცა ძალმომრეობა ან მისი შიში ღრმადაა მასში გამჯდარი. ამ უბედურობისაგან, ისე ღრმად გამჯდარი ყოველ დროში, რომ ზედაპირული მოაზროვნენი რუსულ სულს უწოდებენ, ისმება კითხვა: სადაა მიზეზი და სად შედეგი: დიდი ხნის განმავლობაში წარმოებულმა პოლიტიკურმა მკვლელობებმა გამოიმუშავა ეს უბედური და მორჩილი სოციალური ხასიათი და აქედან, შეუძლებლობა მისგან, რომ სხვებსავე სხვა მიმართულება მისცეს პოლიტიკას? თუ, პირიქით, ეს უბედური, დამფრთხალი შეგნება იწ-

ვეს მასზე თუ ღმერთების რისხვას არა, მკვლელთა განსჯაზეა ინტ.“

თვალის ერთი გადავლებითაც ცხადია წიგნის დედააზრის ორიგინალობა. წიგნი უდავოდ ამდიდრებს ჩვენს ცოდნას რუსეთზე და რუსებზე. წიგნი იკითხება სულის მოუთქმელად, როგორც კარგი პოლიციური რომანი. წიგნი უეჭველად წარმოადგენს ამ წლის შემოდგომის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას და საფრანგეთის საინფორმაციო საშუალებებმა ფართო გაშუქება მისცეს მას. ამ ახალ გამარჯვებასაც გულით ვულოცავთ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს.

\*\*\*

\*\*\*

### „ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე 150 “

ასეთი სათაურისაა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნი. ამ სათაურიდანაც ცხადია წიგნის ხასიათი და დანიშნულება. ინსტიტუტის დირექტორის ბენჯანრი კაშიას შესავალი წერილიდან ვტყობილობთ, რომ ინსტიტუტს უკვე ერთი წელი შესრულება. სიმართლე უნდა ითქვას: ერთი წლის ბალანსი შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ აქ ჩვენ კალამი გასაკიცხად ან განსაჭიქებლად არ აგვიღია. პირიქით გვინდა გავამხნეოთ და აღვნიშნოთ, რომ ის, რაც ჩვენ წინ დევს, გემოვნებით და შინაარსიანად არის გამოცემული. მართალია, სტატიები უმრავლესობა ძველია, მაგრამ მათი ხელახალი გახსენება არც ინტერესსაა მოკლებული და არც მნიშვნელობას. რაც მთავარია, ცივი ძრავა ამუშავდა, უურნალ „ივერიას“ ეს წიგნი მოემატა, მომავლისთვის კი, იმედი, სიჩქარე მოემატება. ამისთვის კი საჭიროა, რომ ჩვენი საზოგადოებიდან მას მასიურად დაეხმარონ, ვისაც რით შეუძლია.

ჩვენი აზრით, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი უფრო ქართველებიდან ევროპელებისაკენ უნდა იყოს მიმართული. იქნებოდა, ისევ ჩემი აზრით, გაცილებით უფრო სასარგებლო, რომ ეს წიგნი და სხვა გამოცემებიც მომავალში გამოცემულიყო ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად...აი მაშინ ინსტიტუტი გაამართლებდა თავის სახელს. ამას, რასაკვირველია, დიდი ორგანიზაცია და კაპიტალი ესაჭიროება, მაგრამ ამაზე ალბათ თავიდანვე იფიქრეს და გაითვალისწინეს ინსტიტუტის თაოსნებმა.

\*\*\*



\*\*\*\*\*

ო მ ი ბ ა რ ბ ა რ ი ზ მ ს

„რეკარნაცია“, „კონცეპტუალური“, „მენტალიტეტის“, „გაშტალტუ-რი“, „მეგალოზობულაციური“, „სტოქასტიკური“, „ექსტენსიურად“, „მეტასოციალური“, „მეგალოსოციალური“ სტაგნაცია“, „დესტრუქტი-ვულ“, „ლატენტური“, აქსიომატური“, სეკულარისტულ“, „ჰომოგენუ-რობა“, „ინდექტორი“, „იდენტური“ ...

ეს უცნაური სიტყვები ამოვწერეთ ჟურნალ „ივერიას“ 31 და 32 ნომრებში გამოქვეყნებულ ვრცელ და საინტერესო სტატიიდან: „ტოტა-ლიტარიზმის რეინკარნაცია.“

ქართული ენის სიწმინდის საჭიროებაზე ავტორს ლექციას არ ვა-კადრებთ. ვიცით ისიც, რომ არის მომენტები მწერლობაში, როცა უცხო ენის ტერმინის ზუსტად შესატყვისი ქართული ვერ გიპოვნი-ათ და აზრის გამოსახატავად იძულებული ხართ ბარბარიზმს შეუ-რიგდეთ. ამ უკიდურეს შემთხვევაშიაც, თავის თავის პატივისმცემე-ლი ავტორი, ტერმინს წინწკლებში ჩასვამს და იქვე განმარტავს ქა-რთულად. მაგრამ, მაგრამ, ბატონებო, ამდენი ბარბარიზმი ერთ სტა-ტიაში?!

ასეთი დაუდევრობა მით უფრო საწყენია, რომ, როგორც თავშივე ვთქვი, რუსეთის ისტორიის შესახებ ეს ნარკვევი (ის, რაც უკვე გამოქვეყნებულია) ძალიან ორიგინალური და საინტერესოა. მის ავტო-რს დასკვნებში შეიძლება, დაეთანხმოთ და შეიძლება, არა, მაგრამ მას აზროვნების სიღრმესა და დონეს, თუ ინტრიგანი არ ხართ, ვერ დაუწუნებთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს გარემოება კიდევ უფრო ავალებდა ავტორს, უფრო მეტი პატივი ეცა ქართლოსიანთა დედაენი-სათვის, რადგანაც, რაც უფრო ნაწარმოები დიდებულია, მით ურო დიდ ზეგავლენას ახდენს ის ენაზე.

ორიოდე სიტყვა თვით ავტორზე. ავტორად დასახელებულია პეტრე იბერი. ამ ნაწარმოების ავტორმა უეჭველად იცის, რომ პეტრე იბე-რი დიდათ ცნობილი ისტორიული პირია და, შაშ, მისი ფსევდონი-მად ხმარება დაუშვებელია, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ამას შეუძლია ავტორის ვინაობაზე გაუგებრობა გამოიწვიოს. თუ ჩვენს ავტორს მაინც და მაინც სურს პეტრე იბერობა, მაშინ მან, როგორც ეს დინასტიებისთვისაა მიღებული, რიგით მაინც განისხვავოს თავი იმ შორეულ წინაპარისაგან.

\*\*\*\*\*



ს ა პ ა ტ ი ო ლ ე გ ი ო ნ ი ს რ ა ი ნ დ ი

საფრანგეთის რესპუბლიკის „ეურნალ ოფისიელ“ 1988 წლის 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა საფრანგეთის რესპუბლიკის ბ-ნი პრეზიდენტის ბრძანება, რომელშიც ნათქვამია:

ეკონომიკის, ფინანსების და ბიუჯეტის დარგში, რაინდის საპატიო წოდება(Grade du Chevalier ) მიენიჭოს ქ-ნ ბენარს, დაბადებულს წერეთელი ელენ, ხაზინის კონტროლიორი, ცენტრალურ ადმინისტრაციის სექციის უფროსი, 27 წლის სამსახური“. ვულოცავთ!

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ს ა ხ ი თ

მეგობარმა თენგიზ გუდავამ, ამ აგვისტოს თვეში, დასაბეჭდად გამომიგზავნა მერაბ კოსტავას ნააზრევი: „ფიქრები საქართველოს მისიაზე“ და მისივე ლექსები. პირველი იქნება დაახლოებით „გუშაგის“ ფორმატის ორასი გვერდი, ლექსები კი ასი გვერდი.

როგორც ყოველთვის, მ. კოსტავას ეს ლექსებიც ხასიათდებიან იდეით, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია: „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, რომელშიც ავტორი გვევლინება ფართე და საფუძვლიანი ერუდიციის მქონე ღრმა მოაზროვნედ. ის იცავს და ანვითარებს ავსტრიელი ანტროპოსოფიის მამამთავრის რუდოლფ შტაინერის სწავლებას ადამიანის და სამყაროს სულთა ურთიერთობაზე.

მ. კოსტავას ეს ნაწარმოები საჭიროთ მიგვაჩნია, გამოიცეს ცალკე წიგნად, რომელიც დაახლოებით სამასგვერდიანი გამოვა და იგი ჩვენი ჯიბისთვის გვარიანი თანხა დაჯდება. „გუშაგის“ სალარო სასტიკად დაკლილია და ჩვენ სხვა გზა არ გვევლევება, გარდა ჩვენი „მილიარდერებისა“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მერაბ კოსტავა კი არის ღირსი იმისა, რომ ემიგრაციამ ცოტა გაიჭირვოს და დანაზოგით მას ეს წიგნი გამოუტყოს.

შემომწირველთა სია წიგნის ბოლოში გამოცხადდება, როგორც ეს ხდებოდა ადრე „თავის-ის ტრიბუნაში“ და ახლა „გუშაგში“.

წინასწარი მადლობით, თქვენი გ. წერეთელი



შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა - ფ რ ა ნ კ ე ბ შ ი

ირაკლი ოთხმეზური .....	149	ზოსიმე ჯიშკარიანი .....	300
მირიან მელუა .....	250	ვილი ემუხვარი .....	100
ანონიმი ინგლისიდან .....	100	მიხეილ თარაშვილი .....	300
მართა სტურუა .....	100	ავთანდილ ფარჯანაძე .....	500
რუბენ გვეტაძე .....	150	დავით თოხაძე .....	1.000
ქეთევან ბარნოვი .....	250	აკაკი შავგულიძე .....	1.000
		შალვა ცინცაძე .....	280

ჯ ა მ ი

4.479

ყველას დიდი მადლობა გუშაგისაგან.

\*\*\*\*\*

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ქ რ ო ნ ი კ ა

აკაკი წერეთლის იუბილე. ამ წლის 21 ივნისს გაზ. კომუნისტმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ ბ-ნ ოთარ ჩერქეზიას

თავმჯდომარეობით უკვე შექმნილა აკაკი წერეთლის 150 წლის-თავის საიუბილეო კომისია და რომ იუბილე ჩატარდება 1990 წლის შემოდგომაზე.

\*

ივლისის პირველ რიცხვებში, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სსრკ სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი უჩა ჯაფარიძე.

\*

17 სექტემბრის გაზ. „კომუნისტიდან“ ვგებულობთ, რომ თბილისში გიორგი სააკაძის მოედანზე გაუხსნიათ გიორგი სააკაძის ძეგლი. ეს კარგია, მაგრამ გიორგი სააკაძეზე უმაღლეს, პეტრე ბაგრატიონზე დიდი ხნით ადრე...და კიდევ უფრო ადრე დავით IV აღმაშენებლის ძეგლ უნდა აღმართულიყო თბილისში ან ქუთაისში.

\*

იშვიათი არქეოლოგიური აღმოჩენა. საირხეს ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრებისას ახლახანს აღმოუჩენიათ მდიდრული საფლავები ოქროს ზოდებით, ბრილიანტებით და სხვა, რომელიც ქ. წ. IV საუკუნით თარიღდება. ნაპოვნია ელინური წარმომავლობის საუნჯე. ერთ-ერთ ჭურჭელზე ბერძნულად ყოფილა მფლობელის სახელი ამოკვეთილი, რომელიც ჯერ წაკითხული არ არის. („კომუნისტი“ 14/988)

\*\*\*

\*\*\*\*\*



შ ი ნ ა ა რ ს ი

- .2 თ ა ვ ი დ ა თ ა ვ ი მ ო წ ი ნ ა ვ ე
- .5 ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსება სამშობლოში  
(დეკლარაცია, პროგრამა, წესდება)
- .14 ინტერვიუ გიორგი ჭანტურიასთან თენგიზ გუდავა
- .18 ი. ჭავჭავაძის საზოგადოების ორად გაყოფა
- ი. ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება
- .19 ზაქარია ლაშქარაშვილის განცხადება
- .23 ი. ჭავჭავაძის საზოგადოებასთან დაკავშირებული საკითხები
- .27 თენგიზ გუდავას ღია წერილი გ. წერეთლისადმი
- .30 ჩვენი კომენტარი გ უ შ ა გ ი
- .31 თ ა ვ ი II – თ ვ ი თ გ ა მ ო ც ე მ ა  
საქართველოს ნუ გამოვდებთ შარაზე ნოდარ წულეისკირი  
გასახლებული მესხები გურამ მამულია
- .35 ბერლინის კედელი საქართველოში მერაბ კოსტავა
- .40 1988 წ. 24 თებერვალი ირაკლი წერეთელი
- .46 21 - 22 სექტემბრის მანიფესტაციები თბილისში
- .48 ი. ჭ.-ის საზ.-ის მიმართვა ჯუმბერ პატიაშვილისადმი
- .50 პრეზიდენტი რეიგანი საბჭოთა კავშირში
- .52 თ ა ვ ი III
- .57 დამფუძნებელი კრებიდან ირაკლი ოთხმეწური
- .58 სიტყვა დამფუძნებელ კრებაში სპირიდონ კედია
- .66 ს ე პ ი დ ა ს ე გ ო ზაქარია ლაშქარაშვილი
- .73 თ ა ვ ი IV – ლ ე ქ ს ე ბ ი  
ძმას ქრისტესმიერს მერაბ კოსტავა  
წამებულ ძმისადმი ზვიად გამსახურდია  
წინაპართა ღალადი თ. ჩიანი  
ივანე ჯავახიშვილს გივი შაორელი  
ძმებისადმი გიორგი ტოგონიძე
- .83 ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო კ უ თ ხ ე  
ნეკროლოგები: ნამეტია გოგუაძისა, ვალიკო ჩუბინიძისა,  
გოგი ბერიძისა და განცხადებები: მამა გაბრიელ ანრის და  
ქ-ნ მართა ამილახვარის გარდაცვალებისა.
- .91 ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი დ ა წ ი გ ნ ე ბ ი გულბათი
- .95 გუშავის ფონდი და სამშობლოს ქრონიკა რედაქცია

112/1



# GOUCHAGUI

*PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE*

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

\*\*\*\*\*

EDITION HORS COMMERCE